ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 10 ნოემბერი 1998 №204 (739) ფასი 50 თეთრი




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 9 | 3 | 0 | 37:7 | 30 |
| ტორპედო | 13 | 9 | 2 | 2 | 31:13 | 29 |
| კოლხეთი | 12 | 7 | 2 | 3 | 29:16 | 23 |
| ბათუმი | 13 | 6 | 5 | 2 | 21:11 | 23 |
| ლოკომოტივი | 13 | 5 | 8 | 0 | 15:5 | 23 |
| დილა | 13 | 6 | 3 | 4 | 18:14 | 21 |
| იბერია | 13 | 5 | 1 | 7 | 23:28 | 16 |
| არსენალი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:23 | 16 |
| სიონი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:28 | 14 |
| სამგურალი | 13 | 4 | 1 | 8 | 12:27 | 13 |
| ოდიში | 13 | 4 | 1 | 8 | 10:23 | 13 |
| გორდა | 13 | 2 | 7 | 4 | 7:8 | 13 |
| მერანი | 13 | 2 | 7 | 4 | 7:13 | 13 |
| თსუ | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| ვიტ ჯორჯია* | 13 | 4 | 2 | 7 | 13:15 | 11 |
| გურია | 13 | 3 | 1 | 9 | 14:32 | 10 |

*„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

შაბათს მცხეთაში: „ლოკომოტივი" — „გორდა". გიორგი ღუდუშაურის (ბურთით) და მიხეილ სახვაძის ჭიდილმა რკინიგზელები მერვედ, რუსთაველები კი მეშვიდედ დააჯერა ფრეს

საქართველოს ჩემპიონატი

## 13 ტური

6 ნოემბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| თსუ | 1 |

7 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ოდიში | 1 |
| არსენალი | 2 |
| ბათუმი | 2 |
| კოლხეთი | 1 |
| იბერია | 1 |
| სიონი | 2 |
| ლოკომოტივი | 0 |
| გორდა | 0 |
| ტორპედო | 2 |
| მერანი | 0 |
| გურია | 0 |
| დინამო | 1 |
| დილა | 0 |
| სამგურალი | 1 |

# აირევა იბერია?

მეათე ეროვნული ჩემპიონატი დებიუტანტმა სამტრედიის „იბერიამ" ბრწყინვალედ დაიწყო. კლუბის მესვეურებს მადა ჭამაში მოუვიდათ და ხმამაღლა განაცხადეს, ევროსარბიელს ვუმიზნებთო.

ბოლო ხანს კი იმერლებმა რატომღაც თამაშს უკლეს და ჩემპიონატში ერთ-ერთი უცნაური გუნდის სახელიც დაიგდეს. არადა, „იბერიას" მშიერი და განწირული კლუბების მარაქაში ვერავინ მოიხსენიებს. სამტრედიელებს 28 ფეხბურთელი ჰყავთ განაცხადში და მათ ნორმალური პირობებიც შეუქმნეს, მაგრამ...

მეცამეტე ტურში „სიონთან" საშინაო მარცხის მერე „იბერიის" ხელმძღვანელობა, ალბათ, კარდინალურ ცვლილებებს მიმართავს. სამტრედიელები იძულებულნი იქნებიან, შემადგენლობა გადაახალისონ, რადგან დავით ხუჭუას და ბესიკ ამაშუკელს გუნდის დატოვება განუზრახავთ.

იბერიელთა კლუბის საპატიო რეზიდენტ გიორგი დარასელიას დარად, ამ ფეხბურთელებმაც აღთქმულ მიწა° ; ბურთაობა ისურვეს. ისინი ამ კვირაში ისრაელს მიემგზავრებიან გასასინჯად. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. ერთი კია, მათ გზასვე, ცხადია, ვერ დაადგება, მაგრამ გუნდიდან წასვლა, ალბათ, მწვრთნელ ბადრი ქორიძესაც მოუწევს.

„სიონთან" 1:2 წაგების მერე აღშფოთებული სამტრედიული ფანობა მას ამასვე მოუწოდებდა და ცხელ გულზე თავადაც განაცხადა, მორჩა, აქ გამჩერებელი აღარ ვარო.

თუმცა, ყველაფერი, ალბათ, კლუბის პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილის ისრაელიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე გაირკვევა.

# გუცაევი შორს არ წასულა

## სანაკრებო ოცეული საქართველოში, ახლო საზღვარგარეთსა და ახლო აღმოსავლეთში მოიძია

18 ნოემბერს საქართველოს კლუბების ნაკრები ესტონეთის ეროვნულ გუნდს ამხანაურად გაეჯიბრება. ბალტიისპირელებთან საპაექროდ ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ლადიმერ გუცაევმა ძირითადად ეროვნულ ჩემპიონატში თავგამოჩენილნი უხმო და მათ რუსეთში, უკრაინასა და ისრაელში გადახვეწილი ნაკრების კანდიდატებიც დაამატა.

მეკარეები

| | |
|---|---|
| ...ოსო გრიშიკაშვილი | ვენტსპილსი, ლატვია |
| ...იორგი ლომაია | მერანი, თბილისი |

მცველები

| | |
|---|---|
| ...ევი დიდავა | დინამო, თბილისი |
| ...იორგი ბალაშვილი | ლოკომოტივი, თბილისი |
| ...ა ჩხაიძე | ტორპედო, ქუთაისი |
| ...იხეილ ქობულაძე | კოლხეთი, ფოთი |
| ...მუკა წერეთელი | ალანია, ვლადიკავკაზი, რუსეთი |
| ...ვიად ჯელაძე | დინამო, თბილისი |
| ...ურაბ ფოფხაძე | კრილია სოვეტოვი, სამარა, რუსეთი |

ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| ...ევან ცქიტიშვილი | დინამო, თბილისი |
| ...იორგი დარასელია | ჰაპოელი ზაფრირიმი, ჰულონი, ისრაელი |
| ...იორგი კიკნაძე | დინამო, თბილისი |
| ...ახა კვეტენაძე | ტორპედო, ქუთაისი |
| ...იორგი ღუდუშაური | ლოკომოტივი, თბილისი |
| ...იორგი რევაზიშვილი | კრილია სოვეტოვი, სამარა, რუსეთი |
| ...ატი ალექსიძე | დინამო, თბილისი |

თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| ...იორგი დემეტრაძე | ალანია, ვლადიკავკაზი, რუსეთი |
| ...იხეილ აშვეთია | დინამო, თბილისი |
| ...ავით ჯანაშია | ტორპედო, ქუთაისი |
| ...იხეილ ფოცხვერია | შახტიორი, დონეცკი, უკრაინა |

გუცაევის რჩეულნი 15 ნოემბერს შეიკრიბებიან და სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდებიან, სავარჯიშოდ კი მცხეთას ესტუმრებიან. ოცეულს საბოლოოდ ორი ...აცი დააკლდება.

მიხეილ საგახტარიშვილი

# მიხეილ ქორქიას პირველი სამქულიანი

## ახალმა პრეზიდენტმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და...

გიორგი ვაშაკიძე ქუთაისიდან

შაბათის „სარბიელში" გაუწყეთ, „ტორპედოს" ძველმა მეპატრონემ ბესიკ ჯიქიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და გუნდი ახალ პრეზიდენტს გადაულოცაო.

„ტორპედოს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ყველასთვის ცნობილი კალათბურთელი, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მიხეილ ქორქია.

„ტორპედ... გადარჩა, გადაურჩა დაშლას. იმედია, აწი ყველაფერს მოევლება, ქუთაისური კლუბი დავალიანებასაც გაისტუმრებს და ძველებურადაც იბურთავებს, იშტაზე მოსული ტორპედოელებიც ჩემპიონატს ინტრიგას შეუნარჩუნებენ. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო.

შაბათს, „მერანთან" შეხვედრამდე „ტორპედოში" კვლავ გაურკვევლობა სუფევდა. ფეხბურთელები თამაშზე გასვლას უარობდნენ, გვეყო ამდენი ცრუ დაპირებანიო. ის კი არა, გუნდს მთელი კვირა არ უვარჯიშია. ჰოდა, გამოჩნდა, ბატონო, ახალი პრეზიდენტი და ერთი თვის ხელფასებიც წინასწარ გადაუხადა. ამით შეგულიანებულმა ფეხბურთელებმაც ნაივარჯიშეს, მერანელებს თბილისური ოთხეულის (ვაშაკიძე, ჯინჭარაძე, ყიფიანი, მეტრეველი) გამოკლებით საბრძოლო შემადგენლობით დახვდნენ და მოიგეს.

„ტორპედომ" კი მოიგო, მაგრამ უცხო თვალიც შეამჩნევდა, გუნდი ძველებურად რომ ვერ ბურთაობს, თითქოს რაღაც აკლიაო და სწორედ ეს რაღაც, ეტყობა, უვარჯიშებლობა გახლავთ.

„მერანთან" მატჩი დასრულდა თუ არა, სამთავრობო ლოჟაში მინი-პრესკონფერენცია გამართა კლუბის ახალმა პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ ქორქიამ, რომლის შესახებაც ხვალინდელ „სარბიელში" მოგითხრობთ, დღეს კი უშუალოდ მატჩზე...

იხილეთ მეორე გვერდი



რას მოუტანს ქორქია „ტორპედოს" და „ტორპედო" ქორქიას?

# პირველი სამქულიანი

ქუთაისი
7 ნოემბერი
14 საათი
გივი კილაძე
4 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 2:0 მერანი

1:0 კ. კვეტენაძე (42), 2:0 იონანიძე (51პ)
ტორპედო: ჭანტურია, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე (ქებაძე 80), თურმანიძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 46), იონანიძე (იმედაძე 80)
სათადარიგო: მამარდაშვილი
მერანი: ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი (ჯიშკარიანი 79), დავითნიძე, დანელია (ბაჯელიძე 75), გენაძე, გელა ქორიძე, ხარებავა, გ. კვეტენაძე (მესხი 29), ხუციშვილი, დავითაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყეპია, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი
გაფრთხილება: დავითნიძე (19), ჩხეტიანი (77)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

### დასაწყისი პირველ გვერდზე

შეხვედრა გუნდებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს. ქუთაისელებმა დასაწყისშივე მოიპოვეს უპირატესობა. მთელი შეხვედრის მანძილზე ასე გრძელდებოდა, მაგრამ იყო მომენტები, როდესაც „მერანი“ ფლობდა ინიციატივას და ერთი ორჯერაც დაემუქრა ჭანტურიას კარს, ეს განსაკუთრებით მანამ მოახერხეს, სანამ გოლს გაუშვებდნენ.

მე-7 წუთზე „ტორპედომ“ ანგარიშის გახსნის რეალური შანსი დაკარგა. ქუთაისელებმა კუთხური მოაწოდეს, „მერანის“ მცველები პოზიციურად შეცდნენ, რითაც ჩხეტიანმა ისარგებლა, კართან ახლოს მყოფმა ყუმბარისებურად გაისროლა ბურთი და ხარიხა შეაზანზარა. ქუთაისელებს დასაწყისშივე სურდათ გოლის გატანა. ეს რომ ვერ შეძლეს, ერთი პერიოდი აირივნენ და ქაოსურადაც უტევდნენ, „მერანი“ კი გონს მოეგო, ისარგებლა ამ მომენტით და კონტრშეტევებზე მწვავედ იჩხვლიტებოდა. მე-14 წუთზე გელა ქორიძის შორიდან დარტყმულ ბურთს ჭანტურია ლამაზ, აკრობატულ ნახტომში დაეუფლა. პირველ ტაიმში „ტორპედოს“ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ მომხვდურნი ლომაიამ არ გაახარა. 21-ე წუთზე იონანიძის ჩაწოდებული ჯანაშიამ გაატარა და კახა კვეტენაძემაც დარტყმა არ დაახანა, თუმცა მეკარეს ვერ ააცილა.

„ტორპედოს“ ორჯერ ჰქონდა გატანის შანსი. პირველზე ვთქვით, მეორედ ეს 28-ე წუთზე მოხდა, ჩხეტიანის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი ზურაბ იონანიძემ ტრანსპორტელ მცველთან საჰაერო დუელში მოიგო, თავი მძლავრადაც დაარტყა ბურთს, მაგრამ ლომაია კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ამან სტადიონზე მოსული ოთხი ათასამდე ქომაგი აალელვა. ისინი აზმაურდნენ და მთელი შეხვედის მანძილზე არც გაჩერებულან, გულიანად და მხურვალედ ქომაგობდნენ საყვარელ გუნდს. 37-ე წუთზე ფეხმტკივან გიორგი კვეტენაძის ნაცვლად მოედანზე შესულ მიხეილ მესხს რომ ეყოჩალა, „ტორპედო“ მდევრის როლში აღმოჩნდებოდა. ამ მომენტმა „ტორპედოს“ ქომაგთ გული შეუქანა. დევიძემ მარჯვენა ფლანგიდან ბურთი მეკარის ბაქანში ჩაჰკიდა, ქუთაისელი მცველები პოზიციურად შეცდნენ და კარის წინ უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა მესხმაც დარტყმა არ დააყოვნა, ოღონდ ბურთი ზევიდან გადაევლო ჭანტურიას კარს.

42-ე წუთზე კი „ტორპედომ“ მაინც გაიტანა, გაიტანა და ქომაგნი და ამასთან ერთად ახალი პრეზიდენტი მიხეილ ქორქიაც ძლიერ გაახარა. დავით ჯანაშიამ გრძელი რეიდი წამოიწყო ბურთიანად საჯარიმოში შესულმა იონანიძეს მიაწოდა, მცველის ზურგიდან ასხლეტილი ზურაბს კი მიუვიდა და იმანაც ვითომ კარში დაარტყა, მაგრამ პასი გამოუვიდა, რომელიც ისევ ჯანაშიას ნადავლი გახდა. ჯანომ უმალ კახა კვეტენაძე მონახა. მანაც ძლიერად დაარტყა ბურთს ფეხი და საჯარიმოს ხაზიდან „მერანის“ კარის ცხრიანში შეჭედა 1:0.

დაიწყო მეორე ნახევარი, შეიქმნა პირველივე მომენტი და თერთმეტმეტრიანიც დაინიშნა — მატჩში საუკეთესო კახა კვეტენაძემ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, ორ მეურვეს გასცდა, საჯარიმოში შესული კედლად აღმართულ ასპინძელაშვილს შეეჩეხა, რომელმაც იგი წააქცია და არბიტრმა თამაზ ლორთქიფანიძემაც პენალტის ნიშნულისკენ გასწია. იონანიძემ დარტყმა უნაკლოდ შეასრულა, ლომაიაც დააღონა და ჩემპიონატში თავისი გოლთა რიცხვიც ათამდე დაამრგვალა — 2:0.

ამის მერე „ტორპედო“ კვლავ განაგრძობდა შეტევებს. 59-ე წუთზე მესხმა „ტორპედო“ კონტრშეტევაზე გამოიჭირა, დაცვა გაარღვია და ჭანტურიას პირისპირ დარჩა, ძლიერედაც დაარტყა, მაგრამ მის შესახვედრად კარიდან გამოვარდნილ, ჩაწოლილ მეკარეს ვერ ააცილა. ამის შემდეგ „მერანი“ კვლავ დაცვაში ჩაჯდა და რამდენჯერმე უსიამოვნო წუთების გადატანაც მოუხდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჯანაშია აქტიურობდა. კვეტენაძემ ორჯერ ტყუპისცალი პასებით ერთი-ერთზე გაიყვანა. თუ პირველ შემთხვევაში ლომაიამ აული დარტყმა, მეორედ თავად გააცუდა. „ტორპედო“ უტევდა, ფეხბურთელებს ახალი პრეზიდენტის წინაშე თავის მოწონება სურდათ. ეს ნაწილობრივ გამოუვიდათ კიდეც, მაგრამ, როგორც უკვე ალვნიშნე, აშკარად ეტყობოდათ, რომ ერთი კვირის უვარჯიშებელნი ძველებურად ვერ ბურთაობდნენ.

76-ე წუთზე „ტორპედოს“ შეეძლო, მესამედ გაეტანა, მაგრამ ამ დღეს მერანელთაგან საუკეთესო გიორგი ლომაიამ არ დაანება. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კართან ახლოს მყოფი ზაზა ვაჩიბერაძე ნახევარბრუნით შეეგება, ლომაიამ პოზიცია სწორად შეარჩია და ხიფათიც განმუხტა.

„ტორპედოს“ თავკაცმა ჯემალ ხერხაძემ ჩათვალა, შეხვედრა მოგებულიაო და სათადარიგოებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. სკამზე კი მხოლოდ მეორე მეკარე დავით მამარდაშვილი იჯდა. შემცვლელთაგან საქებარი ახალგაზრდა იმედაძეზე ითქმის. იგი ისე ჩაერთო თამაშში, გეგონებოდათ, ძირითადში მუდმივად აქვს დაჯავშნული ადგილიო...

ზუგდიდი
7 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
1000 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 1:2 არსენალი

0:1 ზირაქიშვილი (22), 1:1 ენდელაძე (52პ), 1:2 ხოსროშვილი (54)
ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია (თოლორაია 62), პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ანჯაფარიძე, ჯაბუა, ტაბაღუა, კუტალია, მარკოზია, თოლორდავა, ენდელაძე
სათადარიგონი: გოგია, იოსავა, კ. კვეკვესკირი, ჯოჯუა, აკობია
არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა, დ. კაპანაძე ვ. გველესიანი, გემეზაშვილი (ამირიძე 77), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (ქიქავა 28), ლაცაბიძე, კორღალიძე, ხოსროშვილი (ყუფარაძე 88), ტარიელაშვილი
სათადარიგონი: აბაშიძე, გ. სულაძე, ლომიძე
გაფრთხილება: ქიქავა (30), გემეზაშვილი (44), ტარიელაშვილი (50), ჯაბუა (65)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

### თენგიზ ძოჩუა ზუგდიდიდან

„ოდიშს“ 3 ოქტომბრის შემდეგ არ მოეგო. ბოლო ტურებში „არსენალიც“ ვერ დაიკვეხნიდა მაინცდამაინც დიდი მიღწევებით და სტუმარიცა და მასპინძელიც სატურნირო ცხრილის შუაგულში, მაგრამ მეტად სახიფათო ზონაში იმყოფებოდნენ, აქედან გამომდინარე მოსალოდნელი იყო, რომ ორივე გუნდი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდა. თანაც არმიელთა ფათო კუთხურის ჩაწოდება შეძლეს. თი- თქოს გოლიც გარდუვალი იყო, მაგრ- ბოლო მომენტში ტაბაღუამ ვერ გამოი- ყენა მცველთა და მეკარის შეცდომა. მი- სი ახლო მანძილიდან თავით დარტყმუ- ლი ბურთი ხარიხას მოხვდა.

გოლი კი მაინც გავიდა, მაგრამ მოუ- ლოდნელად საპირისპირო მიმართულე- ბით. შეტევებში გართულ ზუგდიდელებ- გამოეპარათ არმიელთა კონტრშეტევა და საჯარიმოში უყურადღებოდ მიტოვებუ- ლმა ზირაქიშვილმა შანსი არ დაუტოვ- ნაყოფიას. ამის მერე პირველი ტაიმი- დამთავრებამდე „არსენალი“ აულელვე- ბლად აკონტროლებდა სიტუაციას. მხო- ლოდ ერთხელ გამოცოცხლდა მაყურებე- ლი, როცა საჯარიმოს კუთხიდან ჯაბუ- ას დარტყმული მეკარემ დიდი გაჭირვე- ბით მოიგერია კუთხურზე.

მატჩი ახალი განახლებული იყო, როც- სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეუ- ლობით პაატა ლურსმანაშვილმა ისარგე- ბლა, მაგრამ მისი ხუთიოდე მეტრიდან და- რტყმული მცველმა ზედ კარის ხაზიდა- მოიგერია. ამას მასპინძელთა შტურმი მო- ჰყვა და შედეგიც გამოიღო. საჯარიმოში შეჭრილი ენდელაძის გაჩერება ჩლაიძემ მხო- ლოდ აკრძალული ილეთით მოახერხა და თვით დაზარებულმა თერთმეტმეტრიანი და- რტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ორ წუთში პაატა ლურსმანაშვილმა უ- ყინარ სიტუაციაში თავით ვერ შესწვდა ბურთს და მის უკან მყოფი ხოსროშვი- ლი დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, მა- ნაც მცველთან ბრძოლისას მოულოდნე- ლად დაარტყა და კარიდან გამოსულ ნა- ყოფიას ბურთი თავზე გადაატარა.

# არმიამ ზუგდიდი აილო

ახალ მწვრთნელ მამუკა გეგეჭკორისთვის ეს პირველი საგარეო გამოცდა იყო.

მატჩი საერთო ჯამში საინტერესო სანახავი გამოდგა. თავდაპირველად რამდენიმე წუთიანი ურთიერთდაზვერვის შემდეგ უკვე მეკარეებსაც მოუწიათ თამაშში სერიოზულად ჩართვა. ზაზა ზირაქიშვილის გასროლის მასპინძელთა კარის დარაჯი ადგილზე დახვდა. ამას ოდიშელთა გააქტიურება მოჰყვა. კუტალიას ორჯერ შეეძლო თავი გამოეჩინა, მაგრამ ორჯერვე პირისპირ გასულმა მეკარესთან ვერაფერი გააწყო. ჰოდა, სამი წუთის განმავლობაში მასპინძლებმა სამი სახი-

ამის შემდეგ სტუმრები მიზანდასახულ- და გააზრებულად მოქმედებდნენ. ისინი ყო- ველგვარი გამწვავების გარეშე ცდილობდნ- მატჩის სასურველ დასასრულამდე მიყვან- 

დარჩენილ დროში მამუკა გეგეჭკო- რის შეგირდებმა რამდენჯერმე 3-4 წუ- თის განმავლობაში ისე დაუმალეს ბუ- რთი ინერტულად და უაზროდ მოქმე- ზუგდიდელებს, რომ მასთან შეხებაც სა- ნატრელი გაუხდათ, რასაც სტადიონზე მყოფი მცირერიცხოვანი მაყურებლის მხ- არული შეძახილები მოჰყვა. ისინი მოე- დანზე მეორე ბურთის შეტანას ითხო- ვდნენ მასპინძლებისთვის.

ბათუმი
7 ნოემბერი
14 საათი
დინამო
1 500 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 2:1 კოლხეთი

0:1 გვასალია (44), 1:1 გადელია (62), 1:2 მაჭუტაძე (68)
ბათუმი: მალაყმაძე, პაპიძე, აფხაზავა (ფუტკარაძე 69), სიჭინავა, კანტიძე (თორლაშვილი 46), გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია (მაქაცარია 88)
სათადარიგონი: ტოგონიძე, ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი, რომანაძე
კოლხეთი: ქვაჩახია, ქუტიძე, ტორჩინავა, ახვლედიანი, შალამბერიძე, ლალანიძე (გიორგობიანი 69), დ. ნოზაძე, კალანდაძე (შავგულიძე 86), გვასალია, გაბისონია, მ. ქობულაძე
სათადარიგონი: ჩემია, კრასოვსკი, ბაჩილავა
გაფრთხილება: გაბისონია (2), ლალანიძე (4), პაპიძე (22), შალამბერიძე (31), მაჭუტაძე (83), რუსია (89)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ს. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

### იუზა კაციტაძე ბათუმიდან

მეცხრე ჩემპიონატის მედალოსნებმა მიმდინარე გათამაშება უხეიროდ, გაუთვალისწინებელი დანაკარგებით დაიწყეს, მაგრამ სასტარტო „ჩავარდნის“ შემდეგ მკვეთრად გააუმჯობესეს თამაში და სატურნირო ცხრილშიც წინ წაიწიეს. ცნობილი ამბავია, ზღვისპირელები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, ბათუმში იქნება თუ ფოთში, მათი შეხვედრები მძაფრი, უკომპრომისო ბრძოლით გამოირჩევა. ამჯერადაც ასე იყო. სტუმარ-მასპინძელმა შესაშური მონდომებით, თავდაუზოგავად ითამაშეს და, მოგეცათ ლხენა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, ჩვენი უფერული ჩემპიონატის ფონზე ლაღი, ტემპიანი, აზარტული და ამასთან გააზრებული ბურთაობის მოწმენი კი გავხდით. სხივი წკვარამში — მე ამ თამაშს ასე მოვნათლავდი.

დებიუტში ფეხბურთელებზე მეტად არბიტრმა გამოიდო თავი, ოთხ წუთში ორი კოლხი „გააყვითლა“ — ენას თუ არ დაიმოკლებთ, უარესს დაგმართებთო. პასუხად ლალანიძემ ბათუმელთა კარისკენ გაილაშქრა, კარგად დაუგორა ბურთი შეტევაში ჩართულ ქუტიძეს, რომლის 25 მეტრიდან ძლიერად დარტყმული ოდნავ აცდა მიზანს. მერე ლალანიძემ ასეთივე მანძილიდან საჯარიმო დაარტყა და მასპინძლები ისევ გადარჩნენ — ბურთმა ხარიხას გადაუქროლა. გაბისონიაც აქტიურობდა. მართალია, წივწივაძის არყოფნაში

# სხივი წკვარამში

გელას ხშირ შემთხვევაში მარტო უხდებოდა ბათუმელ მცველებთან ბრძოლა, მაგრამ ამას არ უშინდებოდა და დიდი თავსატეხი გაუჩინა პაპიძეს და ჭიჭვეიშვილს, რომლებიც მას მორიგეობით მეურვეობდნენ.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას ბათუმელები ფლობდნენ, მაგრამ მისი გამოყენება ნამეტანი უჭირდათ. კოლხებმა ისინი მხოლოდ ორჯერ შეუშვეს თავიანთ საჯარიმოში და ორჯერვე კინალამ დაისაჯნენ. მე-15 წუთზე რუსია აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, შეუჩერებლივ ძლიერად გაგზავნა ბურთი კარისაკენ, თუმცა მას შალამბერიძე გადაეღობა, მკერდით მოიგერია. მეორედ 27-ე წუთზე გადელიამ დააფრთხო ფოთელთა გოლკიპერი, მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, კარსაც მიუახლოვდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ააცილა. ამის შემდეგ მასპინძლებს, დიდი სურვილის მიუხედავად, ქვაჩახია არ შეუწუხებიათ. კოლხებმა მხოლოდ ერთხელ და ისიც შორიდან დაარტყმევინეს სიჭინავას. მაგრამ მეტოქის შეტევების ჩაშლა სულაც არ იყო ფოთელთა თვითმიზანი. ისინიც ხშირად გადადიოდნენ იერიშზე. 37-ე წუთზე შეტევა ნოზაძემ წამოიწყო და კალანდაძეს გააგრძელებინა, ამან დროული პასი გასცა გვასალიაზე, რომელმაც საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან დააპირა დარტყმა, მაგრამ ბურთი აეჭრა. სამაგიეროდ გვასალიამ ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ითამაშა ჩინებულად. მან შეტევის მარჯვენა ფრთაზე მიიღო ნოზაძისაგან გრძელი ზუსტი პასი, წინ გაიჭრა, ბათუმელთა საჯარიმოში პაპიძე დაიბრიყვა და დაბნეულ მეკარესაც აღარ დაუტოვა შანსი. მოკლედ, ტაიმი „კოლხეთმა“ მოიგო.

თამაში განახლდა თუ არა, მასპინძლებმა გააფთრებით, ფართო ფრონტით შეუტიეს. რუსიასაც უმალ მიეცა გატანის რეალური შანსი, მაგრამ ათიოდე მეტრიდან, ხელს რომ არავინ უშლიდა, პირდაპირ ქვაჩახიას დაუმიზნა და მეკარემაც განმუხტა სიტუაცია. კოლხები ლამის მთელი გუნდით დაცვაში ჩავიდნენ და ამით ბევრიც წააგეს. ბათუმელებს 57-ე წუთზეც ჰქონდათ გაყაიმების შესაძლებლობა, როცა ტულუშმა საჯარიმოდან კარგად ჩაუწოდა გადელიას, მანაც თავური შეაგება, მაგრამ კარს ზემოთ მოუვიდა. გოლი ამ ეპიზოდიდან ხუთ წუთში გავიდა. კვარაცხელიამ სტუმრები საჯარიმოს წინა ხაზიდან ორ-სამ მეტრში დააჯარიმა. შალამბერიძე ხელებს ასავსავებდა, წესი არ დამირღვევიაო. არაფერი გაუვიდა. ბათუმელებმა მანამდე რამდენიმე ანალოგიურ სიტუაციაში გათამაშება არჩიეს და ახლაც ოთხნი იყვნენ ბურთთან ახლო — მახარაძე, გადელია, სიჭინავა და თორლაშვილი. სტუმრებმა თითქოს ყველაფერი სწორად გააკეთეს, მეკარის მითითებით ფართო „კედელი“ აღმართეს, ქვაჩახიამ კარში ოდნავ მარცხნივ დაიჭირა ადგილი. მცირე პაუზა. გადელიამ, ფაქტობრივად, გამორბენის გარეშე დაარტყა და ბურთი ქვაჩახიასგან შორეულ ცხრიანში გაახვია. ანგარიში გათანაბრდა და მასპინძლებს კიდევ უფრო დიდი გული მიეცათ. კოლხთა კარზე დაწოლა გაძლიერდა. რამდენიმე წუთში მაჭუტაძემ სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ძლიერი დარტყმით დააწინაურა კიდევაც თავისიანები. ბევრს ეგონა, რომ ფოთელები საბოლოოდ გატყდებოდნენ და „ბათუმი“ წარმატებას განავითარებდა. მოხდა კი პირიქით. მასპინძლებს დიდი ჯაფა დაადგათ. მატჩის უკანასკნელი ოცი წუთი სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა. „ბათუმი“ საკუთარ საჯარიმოს მიჯაჭვული აღმოჩნდა, იშვიათად თუ გამოჩნდებოდა მეტოქის ნახევარზე. „კოლხეთს“ შეეძლო მატჩის გადარჩენა, მაგრამ არ გაუმართლა. 76-ე წუთზე ახვლედიანმა, რომელმაც საუცხოოდ ჩაატარა მთელი შეხვედრა, მარჯვენა ფრთიდან მასპინძელთა კარის გასწვრივ გაჭრა ბურთი, სამეკარეოსთან ახლო მას ქობულაძე დაუხვდა. იქედან არგატანა გატანაზე გაცილებით ძნელი იყო, მაგრამ რა, კოლხმა ნაღდზე-ნაღდი მომენტით ვერ ისარგებლა. კიდევ რომელი ეპიზოდი გავიხსენოთ. ჰო, 84-ე წუთზე გვასალიას მიერ ჩაწოდებულს ქუტიძის თავური მოჰყვა და „ბათუმი“ მალაყმაძემ და სასწაულმა იხსნა.

ბოლოს კი... თამაშს წუთიღა აკლდა, როცა სამი ბათუმელი ორი კოლხი მცველის წინააღმდეგ დარჩა. მაჭუტაძემ შეაგდო კიდევაც ბურთი სტუმართა კარში. კვარაცხელიამ გატანა დააფიქსირა და ცენტრისკენ გაემართა, მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლა მოუწია. თანამსაჯი სოსო შალამბერიძე პატიოსნად არ უშვებდა ალამს ძირს. მაჭუტაძემ ხომ აშკარა თამაშგარედან გაიტანა. კვარაცხელიამ ეს თავად ვერ შენიშნა და არც დამხმარესაკენ გაუხედავს როცა ჯერ არს.

ამ ფაქტს ერთი ალიაქოთი მოჰყვა. მაყურებელი თანამსაჯს აგინებდა, კოლხთა ხელმძღვანელობა კვარაცხელიას და ამ მატჩზე მის გამომგზავნს, ყველას „ტრუპებად“ (იგულისხმეთ გვამებად) გაქცევთო. ასე იყო, საინტერესო და დაძაბულ თამაშს ბოლოს მიადგა ჩრდილი.

სამტრედია
7 ნოემბერი
14 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 15 000)

## იბერია 1:2 სიონი

1:0 ჩომახიძე (16), 1:1 მ. სამხარაძე (38), 1:2 მ. გოგოლაძე (62პ)
იბერია: ჩაჩუა, გაბრიჭიძე (გეგეშიძე 64), გ. ლურსმანაშვილი, მესიაჩენკო, ი. გიგიაძე, ვარდიაშვილი (ხუჭუა 46), შ. ჩომახიძე, გ. ჭელიძე, გ. გიგიაძე, ლორთქიფანიძე (ამაშუკელი 46), ივეჩიანი
სათადარიგონი: ა. ჩომახიძე, მუმლაძე, სადილიანი, ფხაკაძე
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. გაგუა, მ. სამხარაძე (გ. ჯაფარიძე 88), ჩალაძე, მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, სულთანოვი, მოსეშვილი (დ. სვანიძე 88)
სათადარიგონი: ზ. მეტრეველი, ქობელაშვილი, დ. ჯაფარიძე, დალაქიშვილი, ჯაგიდისი
გაფრთხილება: მოსეშვილი (39), კ. გოდერძიშვილი (80)
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი), თ. თოდუა (მარტვილი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

### კონსტანტინე გოგიშვილი სამტრედიიდან

სამტრედიული შეხვედრის დამთავრების შემდეგ გულშემატკივართა ნახევარი აიყარა და გასახდელების წინ მოჯარდა. ყველა მათგანი ერთსა და იმავეს გაიძახოდა — ვნახოთ, შევხვდეთ ერთი ფეხბურთელებს, დაველაპარაკოთ, გავიგოთ, რა უშლით ხელს, რატომ აღარ (თუ ვეღარ) თამაშობენ ძველებურადო.

ნერვებმოშლილ მაყურებელს ბადრი ქორიძე გაეპასუხა. სამტრედიელთა მწვრთნელს მიკიბვ-მოკიბვა არ დაუწყია. — მე თვითონ ფეხბურთელი ვიყავი, გუნდში არეულობაა, მოედანი დღესლა დავხაზეთ. მალე ყველაფერს გაიგებთო — მიახალა ხალხს და იქაურობას გაერიდა.

„იბერიას“ რომ უჭირდა, ადრეც გამცნეც, „სიონთან“ შინაურმა მარცხმა საბოლოოდ ნათელი მოჰფინა ყველაფერს და თვითონ მათმა მწვრთნელმა აღიარა გუნდის კრიზისული მდგომარეობა.

— ახლა „იბერიაში“ 27 ფეხბურთელი მყავს, თითქმის ყოველ მეორეს თამაში არ უწევს და მეუბნებიან, თუ არ მათამაშებდი, რაღას მიტოვებდი გუნდ-

# ბელურების გადაფრენა

შიო — ამ სიტყვებით ბადრი ქორიძ- მანქანაში ჩაჯდა, უფრო სწორად, იქ- მოფუსფუსე გუნდის მესვეურებმა ხალხს მიარიდეს და ამით „იბერიის“ დამრიგე- ბლის „ექსკლუზივიც“ მორჩა.

მოგებას იმსახურებდნენო, ვერ ვიტყვი- ბოლნისელებზე. მათ იმ დღეს ფორტუნ- და ბიძინა ივეჩიანი ერთდროულად წყა- ლობდნენ. სამჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა ივეჩიანმა ხუთიოდე მეტრიდან კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა ბურთი.

ყველაფერი ისე მიდიოდა, „იბერიას“ უნდა მოეგო. გახსნეს კიდეც სამტრედიე- ლებმა ანგარიში — შოთა ჩომახიძემ ოცი- ოდე მეტრიდან მოჭრილად დაურტყა ჯა- რიმა ვოლკოვს და იმდენად ოსტატუ- რად, ბურთი ზედ ცხვირწინ დაუბზრია- ლდა ბოლნისელ მეკარეს და ხელებში გაუსხლტა. ერთხელაც გააკეთა პირველ ნახევარში ჩომახიძემ იგივე, მაგრამ მა- ინ ვოლკოვის ხელიდან ასხლეტილი ბუ- რთი კარში არა, კარის წინ დავარდა მკითხველისთვის უფრო თვალსაჩინო და ადვილი წარმოსადგენი რომ გახდეს, იმა- საც დავძენთ, რომ „ხატულას“ დარტყმუ- ლი „სადღაც, რაღაცაში“ რობერტო კა- რლოსის ცნობილ დარტყმას ჰგავს...

მერე იყო სამტრედიელთა დაცვის ცე- ნტრის ტრადიციული შეცდომა და მა- რზა სამხარაძის საპასუხო გოლი. შე- მდეგ სოსო გიგიაძემ საჯარიმოში მა- რჯვე სარმა ამოუსვა მოსეშვილს და მე- რმან გოგოლაძემ პენალტით დააწინაურა „სიონი“. დასასრულ კი „იბერია“ დასა- ხლდა ბოლნისელთა ნახევარზე, მაგრამ უკბილო და უჯიგრო გამოდგა იბერიე- ლთა გარჯა. შედეგად — „იბერიის“ მე- ნაური მარცხი აუტსაიდერთან.

მატჩის მერე ხალხი ამას ამბობდა — წასვლა უნდათ, არ აწუხებთ გუნდის ბე- დიო. კიდევ იმას იძახდნენ იმერლები — ასე იცის მოწვეული და ჩამოყვანილ- ხალხის იმედზე ყოფნამო და სხვა მრა- ვალი (უხერხულიც) რამ ითქვა იმ დღეს მანჯგალაძეზე.

„იბერიას“ რა ჭირიც ჭირს, მალე გა- მოჩნდება, ისე კი ყველაფერი იქეთ მი- დის, ემიგრანტი ქართველი ფეხბურთე- ლების სია ხუთიოდე ყოფილმა იბერ- იელმაც შეავსოს.

სამტრედიიდან ბელურების არა და, „ფეხბურთელების“ გადაფრენა იწყება...

ლანჩხუთი
7 ნოემბერი
14 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
1500 (ტევადობა 22 000)

## გურია 0:1 დინამო

0:1 აშვეთია (73)
გურია: გოგუა, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, ლორია, თიბილაშვილი, დ. მახარაძე, გ. გიორგაძე, მელაძე, ბულუხია
სათადარიგონი: ვარდანიძე, პატარაია, ჩიკვილაძე
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, გუჩუა, ა. სახვაძე, კიკნაძე, კვარაცხელია, ცქიტიშვილი, დ. მუჯირი, აშვეთია
სათადარიგონი: სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, გ. შენგელია, ი. მახარაძე, საჯაია, ბურდული
გაფრთხილება: დ. მახარაძე (39), კვარაცხელია (70), სახვაძე (80)
მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), ლ. მიქელაძე, გ.ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

იყო დრო შაბათს დაპირისპირებული გუნდების მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა. ეს პირველი ეროვნული ჩემპიონატის დროს იყო, როცა „გურიამ" ჩემპიონობა ვერა, მაგრამ თასი კი აართვა „დინამოს". მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ულმობელმა ჟამთა სვლამ, გურულები დაბეჩავებულ გუნდთა მარაქაში მყარად გარია და ყოველ წელს გაჩემპიონებულებთან, აბა რა ბრძოლაზე ექნებოდათ საუბარი. ცხრილის პირველი და ბოლოდან პირველი გუნდების ეს მატჩიც, წესით ადვილად პროგნოზირებადი უნდა ყოფილიყო. თუმცა, არც მთლად მასე იყო საქმე. თავიდანვე გეტყვით, რომ მატჩის შემხედვარე კაცი ვერ იტყოდა, ვინ ლიდერი იყო და ვინ აუტსაიდერი. უფრო მეტიც, „დინამო" ბულუხიას უნდა უმადლოდეს, სახლში მორიგი სამი ქულით რომ გაემგზავრა და თუ რა ჩაიდინა ასეთი ბულუხიამ ამაზე ქვემოთ.

მატჩის დამთავრების შემდეგ, ბლოკნოტში რომ ჩავიხედე, გავოგნდი. წარმოგიდგენიათ, მთელი 90 წუთის განმავლობაში, მეტოქეთა მიერ შექმნილი 4-5 ეპიზოდი ჩავთვალე აღნიშვნის ღირსად და აქედან სტუმართა მხოლოდ ერთი-გატანილი გოლი მოვინიშნე. დანარჩენი კი გურულებისა იყო, რომელთაც კაცი ვერ გაამტყუნებს. მათ, რაც შეეძლოთ ითამაშეს, ჯიგრიანათ იბრძოლეს, მეტოქეს ერთი გოჯი მიწა არ დაუთმეს და მოგებასაც იმსახურებდნენ. აი, „დინამოს" კი რა ვუყოთ? ამათ რა მოუვიდათ? არა, ისე არ გამიგოთ თითქოს მათ მეტოქის კარისკენ არც გაუხედავთ, მაგრამ ფაქტია, რომ შორი უზუსტო დარტყმების გარდა ღირებული სხვა არაფერი შეუქმნიათ. აშკარაა, გუნდი ღრმა კრიზისშია. ფეხბურთელებიც უგულოდ ბურთაობენ — ზოგს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი, ზოგს ჩემოდნები უკვე გამზადებული აქვთ. ჰოდა, ასეთი განწყობით ალბათ პირველ წრეს ჩაამთავრებენ და მერე...

# ვინ ვინ არის?

„დინამოს" კომპლექსი ჩვენში, რომ ჯერ კიდევ ბევრ გუნდს გააჩნია ეს უდავოა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მასპინძლებმა ერთობ რიდით დაიწყეს მატჩი, მაგრამ მალე იგრძნეს მეტოქე რისი მაქნისიც იყო — მღელვარება დაიოკეს, თამაში დაალაგეს და მწყობრად შეუტიეს კიდევაც. პირველ წუთებში თბილისელთაგან არჩილ სახვაძე გამოირჩეოდა, რომელმაც მარცხენა ფლანგი პირდაპირ აიკლო. მაგრამ შედეგი? არც არაფერი. მის ჩაწოდებულ ბურთებს, კარში დამრტყმელი არავინ გამოუჩნდა. ამასობაში გიორგაძეც გააქტიურდა ამავე ფლანგზე და სახვაძეს უკან გარჯა მოუხდა. ჩია ექს-კოლხმა კი მთელი მატჩი დიდებულად ჩაატარა და ფიზიკურად ძლიერი მეტოქე მცველები, მხოლოდ უხეშობის ხარჯზე ცდილობდნენ მის შეჩერებას. მაგრამ მარტო „კოჭოია" და წინ ეულად მყოფი დავით მახარაძე, რიცხვმრავალ მცველებთან ვერაფერს გახდნენ და პირველი ტაიმი საგოლე მომენტებით მწირი გამოდგა, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდს, როცა შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე, ბულუხია ვალდებული იყო გაეტანა. მარცხნიდან კუთხური თიბილაშვილმა ჩააწოდა. გვარამაძე და მცველები შეცდნენ. უმეთვალყუროდ მიტოვებულმა ბულუხიამ კი, გარე ძელთან ორიოდ მეტრში მყოფმა ბურთს ფეხი უხეიროდ დაუხვედრა და ხარიხას სასწაულებრივ გადააშორა. მორჩა, ეს იყო და ეს. მეტი შესვენებამდე არაფერი შექმნილა.

თამაშის განახლებისთანავე კვლავ „დინამო" გადაურჩა გოლს, როცა ერთობ აქტიური განევი ათი მეტრიდან გატანას ცდილობდა, მაგრამ ბურთი ჯელაძემ ფეხით მოიგერია. თანაბარი თამაშის ფონზე, შეიძლებოდა მატჩი უგოლოდაც ჩავლილიყო, თუმცა 73-ე წუთზე სტუმრებმა მაინც თავისი გაიტანეს. წინა ტურის დარად, კვლავ აშვეთიამ ივარგა. მანამდე კაპიკის საღირალი რომ არ გაუკეთებია, ამჯერად ცქიტიშვილის კუთხურს დროულად გამოეხმაურა, კუკულაძეს წამით დაასწრო და თავით გოგუას აუღებელი დაურტყა.

დარჩენილ დროში გურულებმა თამაშის გადარჩენა სცადეს და ბოლო ხუთ წუთში, ორჯერ გატანაც მართებდათ. ორჯერვე კვლავ ბულუხიას მიეცა შანსი. პირველ შემთხვევაში მახარაძის წამოწყებული შეტევა, გიორგაძემ გააგრძელა, რომელმაც თავის მხრივ საჯარიმოში ბულუხიას დაუგორა, რომლის მზაკვრული დარტყმა ძელთა კვეთამ აისხლიტა. ხოლო მსაჯის წამატებულ წუთებში, გვარამაძეს რომ არ ეყოჩაღა, „გურია" დაუგეგმავ ქულასაც აიღებდა, მაგრამ პირისპირ გასულ ბულუხიას სამიოდ მეტრიდან გასროლილ ბურთს კოშკა თავგანწირულ ვარდნაში გადაელობა.

მოკლედ, ჩემპიონატის ლიდერი წაუგებელ სვლას კი აგრძელებს, თუმცა თანდათან უფრო უჭირს შედეგის მიღწევა. ჰოდა, მავანი იფიქრებს ჩემპიონატის დონე ამაღლებულა და ეგ არისო. უბედურება კი სწორედ ამაშია, რადგან ეს ყველაფერი უფრო „დინამოს"დაუძლურების შედეგია და არა მისი მეტოქეების გაძლიერების. არა, ამით გურულების თავგანწირულ თამაშს სულაც არ ვაკნინებ — მათ რაც შეეძლოთ გააკეთეს, ოღონდ სტუმრები რომ თამაშის გუნებაზე ვერ იყვნენ, ეს უდავოა. ასე რომ „დინამომ" კი მოიგო, მაგრამ ვაი ასეთ მოგებას.

გორი
7 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:1 სამგურალი

0:1 მახვილაძე (67)
ფაიქიძემ ვერ გაიტანა პენალტი (76)
დილა: თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია, გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, შატაკიშვილი, რ. ახალკაცი (მოსულიშვილი 58), თაყაძე, ბ. ჩიტაია
სათადარიგონი: მდივანი, ლ. გოჩაშვილი, აკოფიანი, დ. მაისურაძე
სამგურალი: ხაჩირაშვილი, დ. ჭელიძე, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ღონღაძე 83), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე (ფაიქიძე 61), თევდორაძე (ი. ხაჭაპურიძე 85), კ. ჯანაშია
სათადარიგონი: სტურუა, ჯავახაძე, უგულავა, ფრანგიშვილი
გაფრთხილება: ძაგნიძე (88)
მსაჯები: ს. კახიანი, ვ. ჩოჩიშვილი, ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

ვახტანგ ბზიკაძე გორიდან

ვილას ახსოვს, ბოლოს როდის აღინიშნა საქართველოში მასშტაბურად ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული. მაგრამ ხომ იცით, გორი გორია — საბჭოეთის ბელადი სტალინის დღემდე შემონახული ძეგლით. და მაშინ, როცა ქალაქს არჩევნების წინ მოქკავშირის ლი-

# დღეს 7 ნოემბერია...

დერი და პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია უნდა სწვეოდა, აქაურმა კომუნისტებმა 7 ნოემბერი გაიხსენეს...

გორის ცენტრალური სტადიონის მინდორზე რევოლუციური არაფერი მომხდარა. კი, მართალია, „დილამ" ბევრისთვის მოულოდნელად წააგო, მაგრამ ეს პირველი საშინაო მარცხი არ ყოფილა და არც ალოგიკურ შედეგად ჩაითვლებოდა. „სამგურალმა" მასპინძლები პირწმინდად დაჩაგრა.

მაგრამ დავიწყოთ იმით, რითაც დასრულდა მატჩი, საყვარელი გუნდის ამ აუხსნელი წარუმატებლობით გულდათუთქულმა გორელებმა რაღაც იეჭვეს. ვერ ვიტყვი, ჩემს გასაგონად ითქვა-მეთქი, მაგრამ ყური კი მაინც მოვკარი — „დაწერენ ახლა სამშაბათს „სარბიელში", „სამგურალმა" მაგრა ითამაშა და ღირსეულად მოიგოო". ერთი მათგანი კი სულაც მოვიდა და ხვეწნანარევი ხმით მითხრა — დაწერეთ, რაც ხდება, ამაზე თვალი როდემდე უნდა დავხუჭოთო — სახტად დავრჩი. რაგინდ ფანი, არ შეიძლებოდა, მსაჯობით უკმაყოფილო დარჩენილიყო. „სამგურალს" ორი გოლი არ ჩაუთვალეს, გორელებს შეტევაში ნებსით თუ უნებლიეთ ორჯერ თამაშგარე აპატიეს, ასეთი სტუმართათვის არაფერი შეუწევიათ, მასპინძელთა კარში დანიშნულ პენალტზეც ხმა არავის ამოუღია და რა გასაკვირია, „დილას" ქომაგებს პრეტენზიას რომ ვერ მივუხვდი.

— ჩაწყობილი იყოო — წყალში ჩაუყარეს გამარჯვებულთ გარჯა და წაგებულთ თავსლაფი უმატეს.

ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ. მატჩის სურათის ობიექტურ აღწერას შემოგთავაზებთ და დასკვნებიც თავად გამოიტანეთ.

სტუმრები თავიდანვე მონდომებით შეუდგნენ საქმეს. პირველ 15 წუთში სამჯერ მაინც დაემუქრნენ ხიფათით მასპინძელთა კარს. თუმცა, შორიდან დარტყმული ბურთები ერთხელ გივი ჯანელიძეს და ორჯერაც შიო დარსაძეს გორელთა მეკარე თამაზ ილურიძემ იოლად აუღო. ამ დროში უქმად არც მასპინძელთა წინახაზელები ყოფილან. ბექა ჩიტაიას მეტოქის საჯარიმოში ჭელიძესთან შეჯახება რომ არ გაეფორმებინა, არბიტრს ეგებ მართლა დასჭირვებოდა პენალტის დანიშვნა. მაგრამ პირველად კახიანმა მხოლოდ მეთექვსმეტე წუთზე მისცა გორელებს საჯარიმოდან კარში დარტყმის შანსი. თუმცა მარეხაშვილის კედელსშემოვლებულ ბურთს ხაჩირაშვილი დიდი ჯაფის გარეშე დაეუფლა.

სამ წუთში ახლა სტუმრები აწვდიდნენ ბურთს ფლანგური საჯარიმო დარტყმით, ძაგნიძემ მცველ გივი ჯანელიძეს თავზეც დაასვა, მაგრამ თანამსაჯმა ალექსანდრე მეშკოვმა ჩათვალა, მოიერიშემ თამაშგარედან გაიტანაო და 0:0 ძალაში დარჩა.

22-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილმა გელა ძაგნიძემ თავადვე დარტყმა ამჯობინა, ილურიძის მოგერიებულ ბურთზე ჯინჭარაძეს მართებდა დამატება, მაგრამ არც უფიქრია.

აქედან მოყოლებული 15 წუთის თამაშმა სტუმართა ნახევარზე გადაინაცვლა, თუმცა გორელებმა [illegible] ბრძოლა გააჩაღეს — სახიფათო მომენტის შექმნა „სამგურალის" მცველებმა და მათმა დამხმარე ნახევარმცველებმა არ დაანებეს. ერთადერთხელ შატაკიშვილმა სცადა შორიდან ბედი, მაგრამ ბურთის კარში დარტყმა ერთი შეხებით მოინდომა, აეჭრა და გვარიანად ააცილა.

პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა. სტუმრები მასპინძლებს თუ არ სჯობდნენ, არაფრით ჩამოუვარდებოდნენ და ფრეც მათ წისქვილზე ასხამდა წყალს.

გორელებმა ვერც მეორე ტაიმში ააწყვეს თამაში და მათმა მწვრთნელმა ივანე თაყაძემ უფროსი ვაჟი, თავდამსხმელი რომან ახალკაცი (ნუ გაიკვირვებთ, ნამდვილად ასეა) თანაამპლუელი გიორგი მოსულიშვილით შეცვალა. რა მაგის პასუხი იყო, მაგრამ გაიოზ დარსაძემაც ფორვარდს უხმო და სამ წუთში ფაიქიძე შეუნაცვლა თავის მოგვარე საყრდენ შოთა დარსაძეს.

61-ე წუთზე „სამგურალს" ჯანაშიას დარტყმით შეეძლო დაწინაურება, მაგრამ კახამ მომენტი ხელიდან გაუშვა. სამ წუთში ფაიქიძემ გაიტანა, მეკარეს ზურგსუკან ჩაუკიდა ბურთი, მაგრამ ახლა ვახტანგ ჩოჩიშვილმა დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა. სტუმრებს მსაჯებთან კამათი არ დაუწყიათ, კარგად დაწყებული საქმე ძველებურადვე გააგრძელეს და კაპიტანმა მახვილაძემ თევდორაძის კარგი პასით ოსტატურად გაუტანა ილურიძეს.

დიდი დრო არ გასულა და სტუმრებს ანგარიშის გაზრდის შანსი მიეცათ, ფაიქიძემ გორელთა მეკარე საჯარიმოს გარეთ, მარჯვენა ფლანგზე გაიტყუა, მერე ბურთი ჯანაშიას დაუგორა და მანაც დაუცველ კარში მახვილი კუთხიდან სცადა ჩაკიდება — ვერ შეასრულა. წუთიც და ფაიქიძემ ჯინჭარაძეს მისც კარგი პასი, მან კი მეკარეს გაარტყა. ერთ წუთში ამ ორის კომბინაციას პენალტი მოჰყვა — ახლა ჯინჭარაძე იყო ასისტენტი, ფაიქომ მეკარეზე ითამაშა და ილურიძემ ორივე ფეხით დაიჭირა მოიერიშე.

თერთმეტმეტრიანი თვით დაზარალებულმა დაარტყა — ბურთი შიგნიდან მოხვდა მარცხენა ძელს, იქიდან გადმოვარდნილი კუთხის გამომცნობ მეკარეს — კარში შესვლა კი არ ინება.

მასპინძლები განგებამ არ გაწირა, მაგრამ მაინც ვერ ივარგეს. ის კი არა, თამაშის გასრულებამდე ათი წუთით ადრე კუთხურიდან ძაგნიძის ჩაწოდებულ ბურთს, დასწრებაზე მოთამაშე მალხაზ თევდორაძემ ისე ოსტატურად დაჰკრა თავი, ილურიძე მცველთაგან დაუცველ ადგილზე რომ არ მდგარიყო, მეორედ მოუწევდა ბადიდან ბურთის გამოტანა. თამაში ისევ „სამგურალმა" წაიყვანა. გორელებმა კი ორჯერ შორიდან სცადეს ქულის გადარჩენა. გაგა ჩიტაიას ხაჩირაშვილმა აუღო, თაყაძის მოჭრილმა ბურთმა კი საოცარი ტრაექტორია მოხაზა და სანტიმეტრებში ჩაუქროლა შორეულ ჯვარედინს.

ტაქტიკურად უფრო განათლებულმა გუნდმა იმარჯვა. ისე, სტუმართა დამრიგებელმა ბევრი კი ინერვიულა და საკუთარ ხელქვეითთა მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის ფორმებსაც დიდხანს არ არჩევდა. ერთხელაც, აღელვებულს „დილას" ფანობამ სტვენა-ქოქოლა დააყარა. მწვთრნელიც ასეთი უნდა, მაყურებელთა საქციელზე რეაქცია არ ჰქონიაო, მოუწონა თავდაჭერილობა დარსაძეს გორის გამგებელმა.

მატჩის შემდეგ, როცა გაიოზ დარსაძეს ვუთხარი, ფაიქიძეს რომ 90 წუთს ასეთი სისწრაფით შეეძლოს თამაში, თქვენი, ლამის უთავდამსხმელო გუნდის ბედს ძალი არ დაჰყვებოდა-მეთქი, მიპასუხა: შეცვლაზე შესული თემურის ასეთი უპირატესობა უკვე დაღლილი მეტოქის ფონზეა შთამბეჭდავი. ისე, დღეს მართლაც კარგად ითამაშა, პენალტიც სწორად დაარტყა, მაგრამ არ გაუმართლაო.

სამაგიეროდ, „სამგურალის" ხელმძღვანელობას გაუმართლდა თადარიგი — გუნდი გორს წინა დღით რომ ეწვია და სულ რაღაც 300 ლარად იქაურ სასტუმროში მოასვენა.

თავში ნახსენებ თემაზე კი ამას ვიტყვი: „დილას" ახალგაზრდულ შემადგენლობას წლევანდელ თამაშებში გამოჩენილი თავდადებით უნდობლობა აქამდე არ დაუმსახურებია. „სამგურალმაც" მათ თამაშს ის დაუპირისპირა, რასაც მხოლოდ თავგამოდებით ვერ დაამარცხებ. და თუ ვინმე იმან დააეჭვა, რომ გორელებს შაბათს ესეც აკლდათ, დაფიქრდეს, განა მხოლოდ თავგანწირვით გახვალ ფონს ყოველთვის.

მცხეთა
7 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## ლოკომოტივი 0:0 გორდა

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, თარხნიშვილი, კოტორაშვილი, კ. მელქაძე, ნ. მინდიაშვილი (ხორგუაშვილი 67), კ. გოგოლაძე, დ. გოდერძიშვილი, გ. ღუდუშაური (დაუშვილი 46)
სათადარიგონი: დოლაბერიძე, გიორგი ქორიძე, არსოშვილი, მარლიშვილი, ქვარცხავა,
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი (ჩუხუა 46), კ. ალადაშვილი
სათადარიგონი: ბედიაშვილი, ქოიავა, ჩოხელი, ზ. ლაბაძე, დ. მენთეშაშვილი, შ. კაპანაძე
გაფრთხილება: ბურნაძე (19), ჩუხუა (71), მჭედლიძე (77), ბალაშვილი (90)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე; გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

„ლოკომოტივმა" მორიგი ორი ქულა დაკარგა ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერთან შეხვედრაში.

შაბათს „არმაზზე" ორი უცნაური გუნდი თამაშობდა — ლიდერი და აუტსაიდერი, წაუგებელი და ბევრჯერ დამარცხებული, შესაბამისად, სხვადასხვა მიზნისთვის მებრძოლნი. მატჩი კი ფრედ დამთავრდა და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. წლეულს „გორდას" ერთი უცნაურობა დასჩემდა — ლიდერებთან პაექრობისას საოცრად იცვლის სახეს და შესაშურ მობილიზებას ავლენს. „დილა", „კოლხეთი", „ბათუმი", „დინამო" — ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო რუსთაველთა დამარცხება. ამ გუნდებს ახლა „ლოკომოტივიც" დაემატა. რუსთაველებმა ტრადიცია არ დაარღვიეს და მორიგი „სალიდერო ფრე" მიითვალეს. ჯერაც დაუმარცხებელ რკინიგზელებს ამ შეხვედრამდე შვიდი მატჩი ჰქონდათ ფრედ ნათამაშევი. თემურ მახარაძის ხელში უდავოდ სასიკეთოდ გარდაქმნილ გუნდს შეტევის ხაზში თვალშისაცემი ხარვეზი აქვს — უჭირს გოლის გატანა, უმთავრესი რამ ფეხბურთში.

# არ მომიგო, არ წააგებ!

„გორდასთან" შეხვედრაშიც რკინიგზელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, სახიფათო მომენტიც ბევრი შექმნეს, მაგრამ ვერ გაიტანეს, არც გაუშვეს და ორი ქულა ქარს გაატანეს.

საწყის ხუთ წუთში „ლოკომოტივმა" სამი ხელსაყრელი მომენტი გააცუდა. ორჯერ ღუდუშაურს აუღო ქორიძემ. ერთხელ კი დავითაშვილის ეფექტურად დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ნათელი გახდა, რომ „გორდა" დაცვით ტაქტიკას აირჩევდა და ფონს გასვლას კონტრშეტევებით ეცდებოდა. მიუხედავად ტრავმირებული ბექაურის არყოფნისა, სტუმართა დაცვის ხაზი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა, მეორე სართულზე მშვენივრად თამაშობდა ბურნაძე, კედელაშვილი კი გადაულახავ დაბრკოლებად იქცა რკინიგზელთათვის. პირველი ნახევარი ისე მიილია, მასპინძლები რუსთაველთა საჯარიმოს მისადგომებს არ მოსცილებიან. ამ ხნის მანძილზე ერთხელ კოტორაშვილს აუღო ქორიძემ. ტაიმის მიწურულს კი მანვე აშკარა გოლისგან იხსნა კარი — ღუდუშაურის ჩაწოდებული ბურთი გოგოლაძემ თავით დაუგდო გოდერძიშვილს, მისი ახლო მანძილიდან დარტყმული კი ქორიძემ უკუაგდო. მერე ბურნაძემ იმარჯვა და მდგომარეობაც განიმუხტა. მეორე ტაიმი მასპინძლებმა გააფთრებული იერიშებით დაიწყეს. ხუთწუთიან მონაკვეთში მარტო ბურნაძემ 7-ჯერ (!) გამოიტანა თავით ბურთი საკუთარი საჯარიმოდან. 57-ე წუთზე მინდიაშვილმა გოგოლაძეს მახვილგონიერული გადაცემა მიაწოდა. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ბოლო წამს კედელაშვილმა დაზღვევაზე თავგანწირვით ითამაშა. მოკლედ, გოლი არ გადიოდა და თემურ მახარაძემ თავდასხმის გასაძლიერებლად მარეხაშვილი შეიყვანა მინდორზე, თუმცა ამით არც არაფერი შეცვლილა. დროის გასვლასთან ერთად მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ და „გორდას" ხეირიანი კონტრშეტევის განხორციელების მეტი საშუალება მიეცა. 83-ე წუთზე ბალაშვილს ჩუხუა გაექცა, მაგრამ მისი სუსტი დარტყმა ჯანელიძემ ადვილად მოიგერია.



რუსთაველმა კედელაშვილმა გოგოლაძე არ გაახარა

მაქს კლიმოვის ფოტო

ბოლო წუთზე კი „ლოკომოტივი" გოლს გადაურჩა — კილასონიას ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი ჩუხუამ მკერდით ჩამოიღო და ახლო მანძილიდან კარის ხაზზე ეულად დარჩენილ ჯანელიძეს გაარტყა.

# ჩვენი ბურთი არ გასკდარა

## ინგლისი

### XII ტური

**ვესტ ჰემი 1:1 ჩელსი**

1:0 რადოკი (4), 1:1 ბაბაიარო (76)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, ლემპარდი, ხინკლერი, კელერი, ბერკოვიჩი (მოზსი 87), კიტსონი, რაიტი
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, დესაი, პოიეტი, კაზირაგი (ტ.ა.ფლო 24), უაიზი, ლე სო, დი მატეო (პეტრესკუ 46), ფერერი, ლემბორდი, ძოლა (ნიკოლსი 66)
გაფრთხილება: ლომასი, პოიეტი
მსაჯი: ბარბერი

**ლიდსი 2:1 შეფილდი**

0:1 ბუთი (3), 1:1 ჯიმი (40), 2:1 ვუდგეიტი (61)
ლიდსი: მარტინი, ჰიდენი, ვუდგეიტი, მოლენაარი, უეზეროლი (ვაინჰარდი 45), ჰარტი, ჰოფკინი, ბოუერი, მაკფეილი (ჰაალანდი 75), კიუელი, ჯიმი
შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ტომი, უოქერი, ჰინჩქლიფი, ალექსანდერსონი, იონკი (მეჯილტონი 68), სონერი, რუდი, ბუთი, ჰემფრიზი (ნიუსომი 79)
გაფრთხილება: ჰარტი, ბოუერი, იონკი
მსაჯი: ბურგი

**არსენალი 1:0 ევერტონი**

1:0 ანელკა (6)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ლუნგბერგი, ანელკა, ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, პეტი, გრიმანდი
ევერტონი: მერი, კლელანდი (ატკისონი 77), ბოლი, დაკური, უოტსონი (კადამარტერი 45), ანსუორსი, კოლინზი, ფერგიუსონი, მატერაცი (მილიგანი 84), ბაკაიოკო, დუნე
გაფრთხილება: გრიმანდი, კიოუნი, პეტი, დუნე, მატერაცი, კოლინზი, ფერგიუსონი, კადამარტერი
მსაჯი: ვილარდი

**მანჩესტერი 0:0 ნიუკასლი**

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბექემი, კოული, ბლომკვისტი (სოლსკიაერი 88), კინი, სქოულზი, იორკი, ბრაუნი (იონსენი 58, ბათი 83)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ჰიუზი, შარვე, დაბიზასი, ჰამანი (სპიდი 66), ბეტი, გლასი, შირერი, გეორგიადისი, დალგლიში
გაფრთხილება: სტამი, ბლომკვისტი, ბექემი, დაბიზასი, შირერი, შარვე
მსაჯი: დანი

**ასტონ ვილა 3:2 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 დაბლინი (31, 35), 3:0 კოლიმორი (48), 3:1 ანდერტონი (65პ), 3:2 ვეგა (76)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, უოტსონი, ტეილორი, კოლიმორი, მერსონი, დაბლინი (დრეიპერი 82), ბერი, ჰენდრი
ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, ნილსენი, ფოქსი (სინტონი 45), ანდერტონი, ედინბურგი (ვეგა 45), ჟინოლა, სქაილზი, ივერსენი, კემპბელი, კლემენსი (ალენი 82)
გაფრთხილება: დაბლინი, ეჰიოგუ, ტეილორი, ჟინოლა
მსაჯი: პარისი

**ბლექბერნი 1:2 ქოვენთრი**

0:1 ჰაკერბი (54), 1:1 შერვუდი (73), 1:2 ველანი (74)
ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, დევიდსონი, შერვუდი, პიკოკი (მარკოლინი 45), ენჩოსი, სატონი (დევისი 45), დაფი, ბლეიკი, ჯონსონი, დეილი
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, შოუ, ბრინი (უილიამსი 53), ჰაკერბი, ველანი, მაკალისტერი (ბოატენგი 89), ტელფერი, კლემენტი, ფროგეტი, ედვორსი
გაფრთხილება: პიკოკი, სატონი, ჯონსონი, მაკალისტერი, კლემენტი
მსაჯი: დარკინი

**ჩარლტონი 0:0 ლესტერი**

ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, იუდსი, კინსელა, ჰანტი, მენდონკა, რობინსონი, კ. ჯონსი, მორტიმერი (ს. ჯონსი 30), ტილერი
ლესტერი: კელერი, სინკლერი, იზეტი, ლენონი, ჰესკი, ჯაპი, სევიჯი, ელიოტი, ალსორნი, უოლში, ზაგორაკისი (უილსონი 64)
გაფრთხილება: რობინსონი, იზეტი, ლენონი, ჰესკი
მსაჯი: ელერეი

**ლივერპული 1:2 დერბი**

0:1 ჰარპერი (6), 0:2 ვანჩოპე (27), 1:2 რედნაპი (84)
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, მაკმანამანი, ფაულერი, ოუენი, რედნაპი, ჰეგემი (ტომსონი 67), ბერგერი (მაკატირი 32), ინსი, ბიორნებიუ, კარაგერი
დერბი: ჰოლტი, კარბონარი, პაუელი, დორიგო, ვანჩოპე, დელაპი (კოზლუკი 73), ჰარპერი (ბრიჯ-უილკინსონი 90), ბოჰინენი, ლაურსენი, ელიოტი, ბარტონი
გაფრთხილება: ბერგერი, რედნაპი, ბოჰინენი, კოზლუკი, ჰოლტი
მსაჯი: რენი

**ნოტინგემი 0:1 უიმბლდონი**

0:1 გეილი (23)
ნოტინგემი: ბისანტი, როჯერსი, ჩეტლი, სტოუნი, ჯემილი, ბარტ-უილიამსი, არმსტრონგი, ლიტლი (ბონელეირი 72), გრეი, ჰერვუდი (ფრიდმენი 82), ვან ჰოიდონკი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, კიმბლი, პერი, თეთჩერი, ერლი, გეილი, ლიბერნი (რობერტსი 72), ჰიუზი (ერდლი 60), იუელი, ანსუორსი
გაფრთხილება: იუელი
მსაჯი: პოლი

**საუთჰემპტონი 3:3 მიდლსბრო**

0:1 გესქოინი (47), 1:1 მონკოუ (61), 1:2 ლუნდეკვამი (66ს.კ.), 2:2 ბიტი (82), 3:2 ოსტენსტადი (85), 3:3 ფესტა (90)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, ბენალი (ბიტი 76), პალმერი, მონკოუ, ლუნდეკვამი, რიპლი, ჰიუზი, ოსტენსტადი, ლე ტისიე, ბრიჯი
მიდლსბრო: ბერესფორდი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, კუპერი, მუსტო, გესქოინი, თაუნსენდი, რიკარდი (სტამპი 69), დინი
გაფრთხილება: პალმერი, მონკოუ, მუსტო, რიკარდი, გესქოინი, თაუნსენდი
გაძევება: მუსტო (62), სტამპი (87)
მსაჯი: ელკოკი

„ასტონ ვილა" კვლავ ლიდერია და „ასტონ ვილას" კვლავ ჰყავს თავდასხმის ლიდერი.

მას შემდეგ, რაც „ვილას" ტრინიდადელი დუაიტ იორკი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადაბარგდა, ხოლო ბირმინგემელმა კლუბმა პრემიერლიგის ცხრილის პირველ სტრიქონზე დაიკავა ადგილი, მედია ალაპარაკდა, კარგი მენეჯერის ხელში გუნდი ერთი რომელიმე ამორჩეული მეგოლეს გარეშეც იოლად გავაო. მაგრამ ვილაპარკელი გრეგორი იმთავითვე ეძებდა ახალ მეგოლეს.

და გრეგორიმ ამორჩია — მაჩანჩალა „ქოვენთრის" ერთადერთი იმედი, ნაკრებშიაც რამდენჯერმე დაძახებული დიონ დაბლინი.

„ქოვენთრი" დაბლინის გარეშე დარჩა, სანაცვლოდ კი 3,5 მილიონი დოლარი მიიღო. დიონმა კი, „ვილას" ახალმა იორკმა დაამტკიცა, რომ კარგ გუნდში უფრო შედეგიანად ურტყამს ბურთს.

შაბათს, „ვილა პარკის" მინდორზე, დაბლინმა ოთხ წუთში ორი გოლი გაუტანა „ტოტენჰემ ჰოთსპურს", რომელიც მეტად მძიმედ გამოდის მრავალწლიანი კრიზისიდან. შეხვედრის პირველ ნახევარ საათს ლონდონელები კარგად უმკლავდებოდნენ გამარჯვებამონატრებულ მასპინძლებს. ზედიზედ ორი სათასო მარცხის შემდეგ („ჩელსისთან" და „სელტასთან") „ვილას" არა მხოლოდ ლიდერობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა გამარჯვება.

ნახევარი საათის შემდეგ კი დაიწყო ის, რასაც თამაშის შემდეგ ლონდონელთა მრავლისმნახველმა მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა „ნაღდად ტოტენჰემური ჩაფლავება უწოდა". მცველთა სამარცხვინო შეცდომებმა დაბლინის ორი გოლი შვა. 48-ე წუთზე კი კოლიმორმა ანგარიში გაასამა.

მაგრამ „ტოტენჰემი" გამოფხიზლდა. გრემის ხელში ამ გუნდის ბრძოლის უნარი მართლაც თვალსა და ხელს შუა იზრდება. დარენ ანდერტონის ზუსტმა პენალტმა და შეცვლაზე შესული რამონ ვეგას გოლმა შეხვედრის ბოლო თოთხმეტი წუთი განსაკუთრებით დაძაბა. თუმცა, სტუმრები თავს ველარ გადაახტნენ — 3:2 და „ვილა" კვლავ ლიდერობს 11 თამაშიდან 25 ქულით.

დაბლინის გარეშე დარჩენილი „ქოვენთრი" კი ბლექბერნს ეწვია და „ივუდ პარკზევე" დასცა ეს საბრალო გუნდი — 2:1. მაჩანჩალათა ჭიდილში ანგარიში დარენ ჰაკერბიმ გახსნა 54-ე წუთზე. მასპინძლებმა 19 წუთში გაათანაბრეს ტიმ შერვუდის მეცადინეობით, მაგრამ როი ჰოჯსონის ბიჭებს ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცათ: წუთიც არ იყო გასული, რომ დაბლინის ჭაპანი, ნოელ ვილანმა გასწია. ასე რომ, „ბლექბერნი" ბოლო სამეულში დაქვეითდა, „ქოვენთრი" კი ამ სამეულს მოექცა თავზე.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ნიუკასლი. კენი დალგლიშის ვაჟმა პოლმა (მარცხნივ) მსოფლიოს უძვირფასეს მცველ იააპ სტამს ჩაუქროლა

„ენფილდ როუდზე" მომხდარი ამბავი კი აგრძელებს წლევანდელი „ლივერპულის" აბურდულ კარდიოგრამას. ამ დიადი კლუბის ახლანდელ მენეჯერს, როი ევანსს უთქვამს, ორმოცდახუთი წლისა ვარ და აქედან ორმოცდაორი წელიწადი „ლივერპულის" ფანი ვარო. ჩანს, ფანობა არ კმარა. მიდლენდის ერთს რომელსამე საშუალო გუნდს, „დერბი ქაუნთის", 1970 წლის შემდეგ არ მოუგია „ენფილდზე". ბოლო ათი წელიწადია კი, ზედიზედ აგებს. მაგრამ აი, დაჰკრა ჟამმა და „დერბიმ" პირწმინდად დაამარცხა შუა კვირაში უეფას თასზე თავგამოჩენილი „ლივერპული". კევინ ჰარპერმა და კოსტარიკელმა პაულო სესარ ვანჩოპემ უკვე თამაშის 27-ე წუთისთვის შეუქმნეს თავიანთ გუნდს მარაგი. ორივე ბურთი თავურით გავიდა, ჰარპერი კი საერთოდაც პირველად იყო ძირითად შემადგენლობაში. ერთადერთი საპასუხო ჯეიმი რედნაპმა გაიტანა შეხვედრის მიწურულს. ბოლო რვა შეხვედრაში ერთადერთი მოგება კი ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ „ლივერპულს" ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალუძს.

„საუთჰემპტონი"— განა არსებობს უფრო ბედკრული გუნდი? წლიდან წლამდე, მეტლე ტისიეს მოხდენილი გოლების საშუალებით სამხრეთელი „წმინდანები" კვლავ და კვლავ ინარჩუნებენ ადგილს პრემიერლიგაში. ამ უქმეებზე „საუთჰემპტონს" შეეძლო მოეგო. მოეგო სეზონში მეორე თამაში აწყობილ „მიდლსბროსთან", რომელსაც „პატარა ბოროს" კი ვეძახით, მაგრამ სულაც აღარ ჩანს პატარა.

ჯერ ეს ერთი, რომ რაც პოლ გესქოინი განიკურნა, პოლ გესქოინს ველარ იცნობთ. „წმინდანთა" წინააღმდეგაც გაზა შეხვედრის მთავარი გმირი გახლდათ. ანგარიშიც მან გახსნა მოხდენილი საჯარიმო დარტყმით და 66-ე წუთზე შემდგარი კლაუს ლუნდეკვამის ავტოგოლიც, მის ჩაწოდებას მოჰყვა. მთელი თამაშის განმავლობაში გესქოინს დასარტყმელ პოზიციაზე გაჰყავდა პარტნიორები, მაგრამ ამ შეხვედრის ბედი სულ სხვაგვარად იწყებდა ტრიალს. ლუნდეკვამის ავტოგოლმა „ბორო" დააწინაურა — 2:1, მაგრამ როცა მოედანზე რეფერი პოლ ალკოკია, კაცი არ მოიწყენს. ალკოკი ის კაცია, ვისაც წითელი ბარათი ჯიბეს სწვავს და ასევე ის კაცია, ამასწინათ შეფილდელმა დი კანიომ რომ გაშხლართა მინდორზე. ლუნდეკვამის ავტოგოლამდე ოთხი წუთით ადრე მან ბოროელი რობი მუსტო გააძევა და ამან შეხვედრის ბოლო ოც წუთში ცხოვლად იჩინა თავი.

საკუთარ კარს მიჯაჭვული სტუმრები „წმინდანთა" შეტევებს ველარ უმკლავდებოდნენ. მატჩის დასასრულამდე რვა წუთით ადრე ჯეიმს ბიტიმ ანგარიში გაათანაბრა... შეცვლაზე შესულმა ნორვეგიელმა ეგილ ოსენსტადმა კი 85-ე წუთზე წინ გაიყვანა მასპინძლები... კიდევ სამ წუთში ალკოკმა კიდევ ერთი ბოროელი — ფილ სტამპი გააძევა.

და საკვირველიც ეს არის, რომ შეხვედრის ბოლო დარტყმა „ბოროსი" იყო. ცხრა ბოროელმა იმდენი მოახერხა, რომ 90-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. საგმირო გოლი ჯანლუკა ფესტამ გაიტანა — 3:3 და ბოროელთა თავკაცის, ბრაიან რობსონის სიტყვები: „დღეს პოლ გესქოინის დღე იყო. გახსოვთ ძველი გესქოინი? მოედანზე სწორედ ის იყო".

სამთვიანი გაფიცვის შემდეგ დაუბრუნდა „ნოტინგემს" ჰოლანდიელი „ინტელექტუალი" პიერ ვან ჰოიდონკი, თუმცა გუნდს ვერაფრით დაეხმარა. საშინაო მარცხმა „უიმბლდონთან" კიდევ უფრო დააქვეითა ოდესღაც დიდი გუნდი. „ლიდსმა" კვლავ ფრე მოახერხა. ამჯერად შინ — „შეფილდ უენსდეისთან". სტუმართა სქოთმა ენდი ბუთმა უკვე მესამე წუთზე გახსნა ანგარიში. საპასუხო ბურთი კი ტაიმის ბოლოს შეაგდო ჯიმიმ.

ტურის ფრეთაგან გამოსარჩევია „ჩელსის" მიერ „აპტონ პარკზე" ნაშოვნი ქულა „ვესტ ჰემთან" შეხვედრაში, სადაც მასპინძლები თამაშის მეოთხე წუთიდან უგებდნენ ვარსკვლავთა კრებულს და მხოლოდ სელესტინ ბაბაიაროს გვიანმა გოლმა იხსნა ვიალის გუნდი.

„ნიუკასლმა" კი აზრიანი და მედგარი დაცვითი რედუტი დააყენა „ოლდ ტრეფორდზე" და უგოლო ფრეს მიაღწია „მანჩესტერ იუნაიტედთან". ფერგიუსონის გუნდმა არა მხოლოდ ორი ქულა დაკარგა, არამედ ცხრილის მეორე საფეხურიდანაც ჩამოქვეითდა.

მისი ადგილი „არსენალმა" დაიკავა. ამ სეზონში პირველად არის, რომ მეთოფენი ამ სიმაღლეზე აფრინდნენ. ჩვენ კი რაც არ უნდა ვაკრიტიკოთ ნიკოლას ანელკა, მას ამით არაფერი მოაკლდება. უკვე მერამდენედ, ამ ბიჭს გამარჯვების გოლი გააქვს. ახლაც, „ჰაიბერიზე", ანელკამ უკვე მეექვსე წუთზე დააწინაურა კიევში შერცხვენილი მეთოფენი. როგორც გაირკვა, ეს შეხვედრის ერთადერთი გოლი იყო. წაგებული კი კვლავ „ევერტონი" გამოვიდა, გუნდი, რომელსაც ყველაზე ცოტა, 7 გოლი აქვს გატანილი წლევანდელ პრემიერლიგაში.

„არსენალი" ლიდერს წამოეწია. ასეთი რამ ტყუილად არ ხდება. თუმცა, „ვილას" კაპიტანი გარეთ საუთგეიტი გვაფრთხილებს: „ბევრს ჰგონია, რომ ჩვენი ბურთი გასკდა, მაგრამ ჩვენ კვლავ ცაში ვართ და თან ყველაზე მაღლა. ერთადერთ გუნდად ვრჩებით, ეგრეც რომ არ წაუგია არც ერთი თამაში და მეტი რა უნდათ?"

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 11 | 7 | 4 | 0 | 14:5 | +9 | 25 | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | +7 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 3:1 | +2 | 9 |
| 2 | არსენალი | 12 | 6 | 5 | 1 | 14:5 | +9 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:2 | +8 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | +1 | 9 |
| 3 | მანჩესტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 23:9 | +14 | 22 | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | +11 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | +3 | 8 |
| 4 | მიდლსბრო | 12 | 4 | 6 | 2 | 20:15 | +5 | 18 | 6 | 2 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:10 | 0 | 8 |
| 5 | ჩელსი | 10 | 4 | 5 | 1 | 14:10 | +4 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | +4 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 |
| 6 | ლიდსი | 12 | 3 | 8 | 1 | 13:9 | +4 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | +4 | 11 | 6 | 0 | 6 | 0 | 7:7 | 0 | 6 |
| 7 | დერბი | 12 | 4 | 5 | 3 | 12:10 | +2 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | +2 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 8 | ლესტერი | 12 | 4 | 5 | 3 | 11:10 | +1 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | +3 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 |
| 9 | ვესტ ჰემი | 12 | 4 | 5 | 3 | 13:13 | 0 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | +1 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 8 |
| 10 | უიმბლდონი | 12 | 4 | 5 | 3 | 17:19 | -2 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | +2 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:11 | -4 | 8 |
| 11 | ლივერპული | 12 | 4 | 4 | 4 | 19:14 | +5 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:7 | +5 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 7 |
| 12 | ჩარლტონი | 12 | 3 | 6 | 3 | 19:16 | +3 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:5 | +6 | 8 | 7 | 1 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 7 |
| 13 | ნიუკასლი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:16 | -1 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | +1 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 5 |
| 14 | ტოტენჰემი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:21 | -5 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:12 | -3 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 7 |
| 15 | ევერტონი | 12 | 2 | 6 | 4 | 7:11 | -4 | 12 | 6 | 0 | 4 | 2 | 1:5 | -4 | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 16 | შეფილდი | 12 | 3 | 2 | 6 | 9:12 | -3 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:2 | +2 | 8 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:10 | -5 | 3 |
| 17 | ქოვენთრი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:18 | -9 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 4 |
| 18 | ბლექბერნი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:17 | -5 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | +1 | 7 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | -6 | 2 |
| 19 | ნოტინგემი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:18 | -10 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 5 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 4 |
| 20 | საუთჰემპტონი | 12 | 1 | 4 | 7 | 9:26 | -17 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:14 | -13 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რიკარდი (მიდლსბრო) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| რაიტი (ვესტ ჰემი) | 7 |

**XIII ტური**

14 ნოემბერი
არსენალი - ტოტენჰემი
მანჩესტერი - ბლექბერნი
ლივერპული - ლიდსი
ჩელსი - უიმბლდონი
ვესტ ჰემი - ლესტერი
საუთჰემპტონი - ასტონ ვილა
ნიუკასლი - შეფილდი
ჩარლტონი - მიდლსბრო
15 ნოემბერი
ქოვენთრი - ევერტონი
16 ნოემბერი
ნოტინგემი - დერბი

## პირველი დივიზიონი

### XVIII ტური

**ბოლტონი 0:3 სანდერლენდი**
0:1 ჯონსტონი (27), 0:2 ქუინი (34), 0:3 ბრიჯესი (83)

**ბირმინგემი 1:1 ჰადერსფილდი**
1:0 ნდლოვუ (53), 1:1 სტიუარტი (61)

**ბრედფორდი 5:0 ბრისტოლი**
1:0 მილსი (7), 2:0 კერი (14ს.კ.), 3:0 რენკინი (51), 4:0 ბიგრი (57), 5:0 ბლეიკი (90)

**ბერი 1:3 უოტფორდი**
1:0 ელისი (7), 1:1 ბეიზლი (26), 1:2 ნგონგე (42), 1:3 სმარტი (84)

**გრიმსბი 2:0 კრისტალ პალასი**
1:0 უიდრინგტონი (13), 2:0 ლესტერი (53)

**იფსვიჩი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0, 2:0 ჯონსონი (66, 74)

**ოქსფორდი 1:1 ქრიუ**
1:0 ვინდასი (71), 1:1 ლიტლი (87)

**პორტ ვეილი 2:3 შეფილდი**
0:1 სტიუარტი (24), 0:2 კაჩურო (51), 1:2 ფოილი (56), 2:2 ბიდლი (71), 2:3 საუნდერსი (87)

**სვინდონი 3:1 ქუინზ პარკი**
0:1 შერონი (10), 1:1 უოლტერსი (45პ), 2:1 ონუორა (79), 3:1 უოლტერსი (90)

**ტრანმერი 1:1 სტოკპორტი**
0:1 ეინჯელი (87), 1:1 ტეილორი (88)

**ვულვერჰემპტონი 1:1 ბარნსლი**
1:0 მუსკატი (5პ), 1:1 უირდი (52პ)

**პორტსმუთი — ნორვიჩი**
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 17 | 10 | 7 | 0 | 40:12 | 37 |
| იფსვიჩი | 17 | 9 | 5 | 3 | 25:10 | 32 |
| ბირმინგემი | 18 | 9 | 5 | 4 | 25:16 | 32 |
| უოტფორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:26 | 31 |
| ჰადერსფილდი | 18 | 8 | 5 | 5 | 25:25 | 29 |
| შეფილდი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:25 | 27 |
| ბრედფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 30:20 | 25 |
| ვულვზი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:17 | 25 |
| ნორვიჩი | 15 | 7 | 4 | 4 | 25:20 | 25 |
| გრიმსბი | 17 | 7 | 4 | 6 | 22:20 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 7 | 3 | 7 | 33:32 | 24 |
| ბოლტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 31:27 | 24 |
| კრ. პალასი | 15 | 7 | 2 | 6 | 26:25 | 23 |
| სტოკპორტი | 17 | 4 | 9 | 4 | 22:23 | 21 |
| პორტ ვეილი | 18 | 6 | 3 | 9 | 21:34 | 21 |
| ბერი | 18 | 5 | 6 | 7 | 13:17 | 21 |
| სვინდონი | 18 | 5 | 5 | 8 | 27:30 | 20 |
| ბარნსლი | 18 | 4 | 8 | 6 | 22:26 | 20 |
| ტრანმერი | 16 | 4 | 8 | 4 | 21:23 | 20 |
| პორტსმუთი | 17 | 4 | 5 | 8 | 25:29 | 17 |
| ბრისტოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 26:42 | 15 |
| ქუინზ პარკი | 17 | 4 | 3 | 10 | 15:27 | 15 |
| ოქსფორდი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:33 | 14 |
| ქრიუ | 17 | 2 | 5 | 10 | 19:35 | 11 |

# მიუნხენი მიწაზე დაეშვა

## გერმანია

XI ტური

**ვერდერი 1:1 დორტმუნდი**

0:1 რიკენი (8), 1:1 ბოგდანოვიჩი (62)

ვერდერი: ბრაზასი, ტრარესი, სკრიპნიკი, ვიკი, ტოდტი, აილტსი, ფლოკი, ბოდე, ა. ჰერცოგი (ფლო 65), ბოგდანოვიჩი (საიდელი 87), ფრინგსი (როემბიაკი 79)

დორტმუნდი: კლოსი, როიტერი, ნიეგუსი, კოლერი, კ. ბაუმანი, ფროინდი, დედე, ნერლინგერი (ჰენგენი 64), რიკენი (ჰერლიხი 80), ვ. ბუტი, სალუ (შაპუიზა 74)

გაფრთხილება: აილტსი, სკრიპნიკი, ტოდტი, ფროინდი, ნიეგუსი

მსაჯი: ცერი

**დუისბურგი 1:1 ნიურნბერგი**

0:1 გერბერი (24), 1:1 ვანა (78)

დუისბურგი: გილი, ჰაიტო, ვანა, ვოლერტი, ნოინი, კომლიენოვიჩი, ჰირში (ჰოერსენი 65), ოსტჰოფი, ფრიდეკი (ვედაუ 46), ბაიერლე, ანდერსენი (შპისი 46)

ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, რანერი, გრასერი (ვაიგლი 46), ლიოში (შტორცენჰოფეკერი 74), გიუნტერი, რიხტერი, ვისინგერი, გერბერი, კუკა, დრილერი

გაფრთხილება: კომლიენოვიჩი, ოსტჰოფი, ვანა, ვაიგლი

მსაჯი: ვაინერი

**ბოხუმი 2:0 ჰერტა**

1:0 სუნდერმანი (60), 2:0 დრინჩიჩი (89)

ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, ვალდოხი, კრახტი, შინდცილორცი, ფარენჰორსტი, რაისი, გაუდინო (ნ. ჰოფმანი 40), იონი (ტოპლაკი 66), დრინჩიჩი, ბუკლი (პეშელი 80)

ჰერტა: კირალი, რეკდალი (ჩამი 77), ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი (სვერისონი 87), ვაიტი, შმიდტი, ტომი, ტრეჩოკი, ვოში, პრეტცი, ოლიჩი (დარდაი 46)

გაფრთხილება: ფარენჰორსტი, სუნდერმანი, ჰერცოგი, რეკდალი

გაძევება: ვოში (79)

მსაჯი: ფლაიშერი

**ბაიერნი 3:1 მიუნხენი**

1:0 იერემისი (60), 2:0 ციკლერი (64), 3:0 ლინკე (87), 3:1 კინტცი (90)

ბაიერნი: კანი, კუფური, მათეუსი (ჰელმერი 82), ლინკე, ლისარასუ, შტრუნცი, იერემისი (ფინკი 75), ეფენბერგი, ბასლერი, ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 75), ელბერი

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ვანენბურგი, კინტცი, ტაისი (ჰელდტი 47), სტევიჩი (ბორიმიროვი 72), ზელიჩი, ჩერნი, ოუაკილი (დინზეი 61), ვინკლერი, შროტი

გაფრთხილება: ლისარასუ, შტრუნცი, სტევიჩი, ვანენბურგი, ზელიჩი

მსაჯი: ფანდელი

**ფრაიბურგი 0:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ხრისტოვი (37)

ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, კორელი, შ. მიულერი, პავლინი (შუმანი 65), გიუნეში (ბენ სლიმანი 46), კობიაშვილი, ფრონცეკი, ბაია, სელიმი (ვასმერი 74), ვაისჰაუპტი

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, რამზი, სამირი, ბუკი (ჟუნიორი 64), როოსი, ბალაკი, რიდლი, ხრისტოვი, რიშე (როსლერი 46), მარშალი

გაფრთხილება: ფრონცეკი, პავლინი, ბუკი, ხრისტოვი, მარშალი

მსაჯი: შტრამპე

**ჰამბურგი 2:2 შალკე**

1:0 ჰოლერბახი (39), 2:0 იებოა (67), 2:1 მულდერი (77), 2:2 მაქსი (81)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, ფ. ერნსტი, ჰერტჩი (ფოგელი 80), ფიშერი, გროთი, ბიოგერი, ჰოლერბახი, იებოა, კირიაკოვი, დალინი (დემბინსკი 60)

შალკე: შობერი, ვან ჰოგდალემი, აიგენრაუხი, ა. მიულერი (ტონი 68), ტაპალოვიჩი (ანდერბრიუგე 58), ლატალი, ჰამი (მაქსი 62), ვან კერკჰოვენი, ბიუსკენსი, აიკელკამპი, მულდერი

გაფრთხილება: ერნსტი, ჰოლერბახი, აიგენრაუხი, აიკელკამპი, ლატალი, ტაპალოვიჩი, ვან ჰოგდალემი

მსაჯი: კოოპი

**ვოლფსბურგი 7:1 გლადბახი**

0:1 პოლსტერი (3), 1:1 აკონორი (6), 2:1 იუსკოვიაკი (14), 3:1 პრეგერი (41), 4:1 იუსკოვიაკი (45), 5:1 ონილი (52), 6:1 პრეგერი (69), 7:1 აკონორი (72)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ონილი (კრიგერი 66), ტომსენი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი, აკონორი (რეინა 72), პრეგერი (ბაუმგარტი 70), იუსკოვიაკი

მიონხენგლადბახი: ენკე, კლინკერტი, ასანინი, ვიტეჩეკი (ჰაგნერი 64), სოპიჩი, ვინჰოფი, პასლაკი (კეტელაერი 46), პფლიპსენი, მ. შნაიდერი, პოლსტერი, პეტერსონი (ჩიქუინო 79)

გაფრთხილება: ონილი, პრეგერი, ჰაგნერი, კეტელაერი, პასლაკი, პფლიპსენი

მსაჯი: დარდენე

**ჰანზა 2:2 აინტრახტი**

0:1 პედერსენი (26), 1:1 ელერსი (44), 2:1 ლანგე (86), 2:2 ბ. შნაიდერი (87)

ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, განსაუგე (ცალმანი 46), ელერსი (ბიკანიჩი 71), ლანგე, იასერი, დოვე, მაიაკი, პამიჩი, ნოივილი

აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კუჩერა, ბრინკმანი, შური, პედერსენი, ვებერი (ცამპახი 37), ბ. შნაიდერი, სობოტჩიკი, იანგ ჩენი (ვესტერჰალერი 76)

გაფრთხილება: განსაუგე, იასერი, პედერსენი

გაძევება: პამიჩი (68)

მსაჯი: იანსენი

**ლევერკუზენი 0:0 შტუტგარტი**

ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჰაპე, რამელო, ნ. კოვაჩი (ემერსონი 51), ზე რობერტო, რეები, ბაინლიხი (მამიჩი 51), კირსტენი, მაიერი (რაიხენბერგერი 78)

შტუტგარტი: ვოლფარტი (ტრაუტნერი 46), კელერი, შპანრინგი (ლისტეში 46), ბერთჰოლდი, ტიამი, ცაიერი, პოშნერი, ტ. როსტი, ბალაკოვი, ჯორჯევიჩი (რისტიჩი 61), აკპობორი

გაფრთხილება: ჰაპე, კირსტენი, ბალაკოვი, ბერთჰოლდი

მსაჯი: ბერგი

შაბათს „ბაიერნმა" თანაქალაქელ და ამბიციამოჭარბებულ „მიუნხენ 1860"-ს თავისი ადგილი მიუჩინა. ერთი ტურის წინ „მიუნხენ 1860" მრისხანე „ბაიერნს" ხუთი ქულით ჩამორჩებოდა და დეფიციტის ალმოფხვრის იმედი ჰქონდა, მაგრამ...

— პირველი ოცი წუთის შემდეგ მივხვდი, „ბაიერნი" იოლად გაგვიმკლავდებოდა, მეტოქე აშკარად გვჯობდა. ჩვენმა გუნდმა მიცემული დავალება ვერ შეასრულა, ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, ამას კი „ბაიერნი" არავის პატიობს. მატჩის შემდეგ დამარცხებული გუნდის მეორე მწვრთნელი პეტერ პაკულტი დალონებული ჩანდა. თავად ვერნერ ლორანტი, კლუბის თავკაცი, უგუნებოდ იყო და ჟურნალისტებთან შეხვედრა არ ინება.

ტურის და ალბათ პირველი წრის ცენტრალური მატჩი, რომელსაც გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკიც ესწრებოდა, თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. „ბაიერნს" უკვე მე-3 წუთზე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ციკლერმა თავით მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს. ცოტა ხანში შროტი საეჭვოდ წაიქცა „ბაიერნის" საჯარიმოში, მაგრამ მსაჯმა ყურადღება არ მიაქცია. მალე „მიუნხენი" ნალდ გოლს გადაურჩა. ბასლერის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ელბერმა შეუჩერებლივ დაარტყა, მაგრამ კარის ხაზზე მდგომმა ტაისმა იმარჯვა და ბურთი მოიგერია. შუაგულ ტაიმში ბასლერმა დაარტყა ლამაზად, „ლომები" („მიუნხენ 1860"-ის მეტსახელია) ჰოფმანმა ჩინებული ნახტომით იხსნა. დროდადრო სტუმრებიც იჩხვლიტებოდნენ, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე და მით უმეტეს, გოლამდე საქმე არ მისულა.

მეორე ტაიმში „ბაიერნის" უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა, თუმცა გოლის გატანა მე-60 წუთამდე ვერავინ შეძლო. მე-60-ზე კი „მიუნხენის" იმედები ისევ მისივე აღზრდილმა დაამსხვრია. იენს იერიმისი „ბაიერნში" სწორედ მეორე მიუნხენური კლუბიდან მივიდა. მივიდა და მშობლიურ კლუბს ბურთი გაუტანა. თავისი დაწყებული შეტევა უძლიერესი თავური დარტყმით დააგვირგვინა. იერემისს ასისტენტობა თავყვითელა შტრუნცმა გაუწია. ოთხ წუთში ციკლერმა შორიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტა — 2:0. მანამდე კი „ბაიერნი" აშკარა გოლს გადაურჩა. ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, ჰიტცფელდის გუნდმა შეტევები გააგრძელა. ერთ-ერთი იერიშისას ბოსნიელი ჰასან სალიჰამიჯიჩი ჰოფმანთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარემ აჯობა. 87-ე წუთზე სტადიონზე შეკრებილმა 70 000 ქომაგმა კიდევ ერთი ლამაზი გოლი იხილა. ლინკეს მიერ ძლიერად გასროლილ ბურთს მეკარემ თვალიც ვერ გააყოლა. შეხვედრის მიწურულს „მიუნხენმა" პრესტიჟის გოლის გატანაღა მოახერხა. ბორიმიროვის თავურს კინტცმა დაუმატა. საბოლოოდ მატჩიც 3:1 დასრულდა. ისე, ამ გუნდების შარშანდელი მატჩიც 3:1 მოიგო „ბაიერნმა". იმ შეხვედრას ვგულისხმობთ, რომელშიც „ბაიერნი" პირობით მასპინძლად ითვლებოდა. პირობითად იმიტომ, რომ „ოლიმპიაშტადიონი" „მიუნხენ 1860"-ის საკუთრებაცაა.

მატჩის შემდეგ ოტმარ ჰიტცფელდი, „ბაიერნის" მწვრთნელი, უზომოდ გახარებული იყო: „მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს და გასაქანი არ მივეცით. იერემისის გოლი საოცარი იყო, იენსმა სეზონში და, ალბათ, კარიერაშიც საუკეთესო მატჩი ითამაშა. ბრწყინვალე იყო ციკლერიც და საერთოდ, ოთხშაბათის უმძიმესი შეხვედრის შემდეგ თუ ასე ითამაშებდა მთელი გუნდი, არ მეგონა, ყველას უდიდეს მადლობას ვუხდი".

„ბაიერნმა" ოთხი დღის განმავლობაში ორი მართლაც უმძიმესი შეხვედრა ჩაატარა და ქომაგთა სასიხარულოდ, ორივე მოიგო. ჯერ „ბარსელონას" სძლია „კამპ ნოუზე" 2:1, ახლა „მიუნხენს" 3:1. „ბაიერნი" ამჟამად ისეთ ფორმაშია, ძნელი სავარაუდოა, ჩემპიონის სინს, ვინმე შეეცილოს.

თითქოს წინა ტურში ნაჭამი სირცხვილი არ ეყოფოდა, კიდევ ერთხელ განადგურდა მიონხენგლადბახის „ბორუსია". გლადბახელები ამჯერად „ვოლფსბურგმა" შეიწირა — 7:1. შეიწირავს თუ არა „ვოლფსბურგი" მათ თავკაც ფრიდელ რაუშს, ეს უახლოეს დღეებში გამოჩნდება. ამ მატჩის დასრულების შემდეგ გლადბახელი ფანები გასახდელში შესვლას ლამობდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს. ისე, მათი აღშფოთება ნამდვილად გასაგებია, შინ 2:8 დამარცხების შემდეგ მეორე მატჩს თავმოყვარე გუნდი 1:7 აღარ უნდა აგებდეს. ეტყობა, შტეფან ეფენბერგი მიხვდა, რა გუნდშიც იყო და სეზონის წინ „ბაიერნში" გაქცევით უშველა თავს.

კვლავ ფრედ ითამაშა დორტმუნდის „ბორუსიამ", ამჯერად „ვერდერთან". ისევ ვერ ვიხილეთ დორტმუნდელთა შორის თომას ჰესლერი. ანგარიში მატჩის დებიუტშივე რიკენმა გახსნა და სტუმრები დააწინაურა, მაგრამ მეორე ტაიმის შუაგულში ბრემენელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

უგოლოდ დასრულდა მატჩი ლევერკუზენში, სადაც „ბაიერმა" „შტუტგარტი" მიიღო. არადა, გატანის შანსი ორივეს ბევრი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად „შტუტგარტის" ავსტრიელი მეკარე ფრანც ვოლფარტი დაასახელეს, რომელმაც, პირველ ნახევარში საოცრებები ჩაიდინა, ტაიმის ბოლოს კი ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. „სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს და გამარჯვებას ვიმსახურებდით. მეორე ტაიმის ბოლოს ცოტა დავიღალეთ, ეს „რეინჯერსთან" ხუთშაბათს ჩატარებული მატჩის ბრალია. მეტოქემაც ისარგებლა ამით და შეგვიტია, მაგრამ გავუძელით" — ასეთი გახლდათ ლევერკუზენის მწვრთნელის კრისტოფ დაუმის კომენტარი.

„ჰამბურგი" საკუთარ მინდორზე 77-ე წუთამდე 2:0-ს უგებდა „შალკეს", მაგრამ სამი ქულის მოპოვება მაინც ვერ შეძლო. ჰოლერბახსა და იებოას სტუმრებმა მულდერისა და მაქსის გოლებით უპასუხეს.

კვლავ ვერ მოიგო საშინაო შეხვედრა კობიაშვილის და იაშვილის „ფრაიბურგმა", რომელიც ამჯერად „კაიზერსლაუტერნს" ხვდებოდა. მთელი მატჩის განმავლობაში მცირე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, რაც ერთ გატანილ გოლში გამოიხატა. 37-ე წუთზე ბუკის ჩაწოდებული ბურთი ხრისტოვმა ძლიერი თავურით კარში გადაგზავნა. მეორე ტაიმში ხრისტოვს კიდევ ერთი რეალური შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ახლოდან კარს ააცილა. იაშვილის გარეშე კი „ფრაიბურგი" აშკარად ვერ გამოიყურება სათანადოდ. ბევრი ტრავმების გამო რეჰაგელი იძულებული გახდა შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა ლიბეროდ დაეყენებინა, თუმცა სფორცამ ყველასათვის მოულოდნელად ჩინებულად ითამაშა და კიკერისგან ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

— დღევანდელი შეხვედრის შედეგით კმაყოფილი ვარ. მართალია, უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება, მაგრამ იქნებ სულაც წაგვეგო — საგოლე შანსი მეტოქესაც ჰქონდა. ბოლო დროს ტრავმები მოგვიმრავლდა და თუ ასე გაგრძელდა, გამარჯვება სანატრელი გაგვიხდება — ჩიოდა შეხვედრის შემდეგ ოტო რეჰაგელი, „კაიზერსლაუტერნის" დამრიგებელი.

**ვანო ოქრობირიძე**




ბაიერნი — მიუნხენ 1860. შროტის „მიუნხენი" კუფურის „ბაიერნთან" ბრძოლის მიუხედავად ვერას გახდა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 11 | 9 | 1 | 1 | 30:10 | +20 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 23:8 | +15 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | +5 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 11 | 5 | 5 | 1 | 25:14 | +11 | 20 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | +3 | 9 | 5 | 3 | 2 | 0 | 15:7 | +8 | 11 |
| 3 | მიუნხენ 1860 | 11 | 6 | 2 | 3 | 22:15 | +7 | 20 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | +3 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | +4 | 11 |
| 4 | ლაუტერნი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:20 | -4 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:10 | +2 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 8 |
| 5 | ჰამბურგი | 10 | 4 | 5 | 1 | 16:12 | +4 | 17 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:5 | +5 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 6 | ჰერტა | 11 | 5 | 2 | 4 | 16:13 | +3 | 17 | 5 | 5 | 0 | 0 | 13:2 | +11 | 15 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | -8 | 2 |
| 7 | შტუტგარტი | 11 | 4 | 4 | 3 | 16:12 | +4 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | +6 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 8 | ბოხუმი | 11 | 5 | 1 | 5 | 15:14 | +1 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | +3 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 9 | ფრაიბურგი | 11 | 3 | 6 | 2 | 14:13 | +1 | 15 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | +4 | 11 |
| 10 | ვოლფსბურგი | 11 | 3 | 5 | 3 | 21:16 | +5 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | +5 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 9:9 | 0 | 6 |
| 11 | დორტმუნდი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:12 | +2 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | +4 | 9 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:10 | -4 | 4 |
| 12 | ნიურნბერგი | 11 | 2 | 6 | 3 | 15:20 | -5 | 12 | 5 | 0 | 4 | 1 | 5:9 | -4 | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | -1 | 8 |
| 13 | დუისბურგი | 11 | 2 | 6 | 3 | 13:18 | -5 | 12 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | +3 | 10 | 5 | 0 | 1 | 2 | 5:13 | -8 | 2 |
| 14 | შალკე 04 | 11 | 2 | 5 | 4 | 11:17 | -6 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 6 |
| 15 | აინტრახტი | 11 | 2 | 4 | 5 | 14:19 | -5 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 7 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 |
| 16 | ჰანზა | 11 | 2 | 3 | 6 | 16:25 | -9 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:10 | +2 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | -11 | 0 |
| 17 | ვერდერი | 11 | 1 | 4 | 6 | 14:19 | -5 | 7 | 6 | 0 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 18 | გლადბახი | 11 | 1 | 2 | 7 | 15:34 | -19 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:14 | -6 | 4 | 6 | 0 | 1 | 5 | 7:20 | -13 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 8 |
| ვინკლერი (მიუნხენი) | 7 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |
| პოლსტერი (გლადბახი) | 7 |

### XII ტური

10 ნოემბერი

ლაუტერნი - ჰამბურგი
გლადბახი - ბაიერნი
მიუნხენი - ჰანზა
შალკე - ვერდერი

11 ნოემბერი

ნიურნბერგი - ბოხუმი
აინტრახტი - ფრაიბურგი
დორტმუნდი - დუისბურგი
ჰერტა - ლევერკუზენი
შტუტგარტი - ვოლფსბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

XIII ტური

**კიკერსი 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 ვინკლერი (71)

**ვატენშაიდი 0:0 კარლსრუე**

**ფიურტი 2:0 არმინია**

1:0 ტიური (36), 2:0 ვან ლენტი (83პ)

**ფორტუნა 2:0 მაინცი**

1:0 იოუნგა (25), 2:0 სუტერლე (52)

**ობერჰაუზენი 3:2 ზანქტ პაული**

0:1 ტრულსენი (35), 1:1 ლიპინსკი (46), 2:1 ვებერი (54), 3:1 ტობორგი (67), 3:2 შერცი (81)

**დიუსელდორფი 1:3 ულმი**

0:1 როსლერი (53), 0:2 ტრკულია (58), 0:3 ბუტერინი (84), 1:3 ნერბაუერი (89)

**გიუტერსლო 1:1 კოტბუსი**

1:0 ვატერინკი (78), 1:1 ირგანგი (89)

**ბერლინი 1:1 კიოლნი**

1:0 დერმეხი (20), 1:1 ბულაიიჩი (45)

**ურდინგენი — ჰანოვერი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 13 | 7 | 6 | 0 | 31:17 | 27 |
| უნტერჰახინგი | 13 | 8 | 2 | 3 | 19:10 | 26 |
| არმინია | 13 | 8 | 2 | 3 | 24:17 | 26 |
| ბერლინი | 13 | 8 | 2 | 3 | 21:14 | 26 |
| ფიურტი | 13 | 8 | 2 | 3 | 19:12 | 26 |
| კარლსრუე | 13 | 7 | 1 | 5 | 24:17 | 22 |
| კიკერსი | 13 | 7 | 1 | 5 | 12:16 | 22 |
| ფორტუნა | 13 | 6 | 2 | 5 | 22:21 | 20 |
| მაინცი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:19 | 18 |
| კოტბუსი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:15 | 15 |
| კიოლნი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:25 | 15 |
| ჰანოვერი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:15 | 14 |
| ზანქტ პაული | 13 | 4 | 2 | 7 | 15:20 | 14 |
| ვატენშაიდი | 13 | 2 | 6 | 5 | 9:12 | 12 |
| ობერჰაუზენი | 13 | 2 | 5 | 6 | 11:22 | 11 |
| გიუტერსლო | 13 | 2 | 4 | 7 | 17:23 | 10 |
| დიუსელდორფი | 13 | 2 | 4 | 7 | 16:22 | 10 |
| ურდინგენი | 12 | 1 | 3 | 8 | 10:20 | 6 |

## იტალია

VIII ტური

# ბებერმა ქალბატონმა შხაპი მიიღო

### ბარი 1:1 პარმა

0:1 ფუზერი (46), 1:1 მასინგა (76)
ბარი: მანჩინი, დე როზა, განსია (ოლივარესი 75), ნექროიზი, დე ასკენტისი, მარკოლინი, ანდერსონი, ბრეშანი (კნუდსენი 54), ძამბროტა, ოსმანოვსკი (ინოკენტი 62), მასინგა
პარმა: ბუფონი, ბენარივო, სენსინი, მუსი, ტურამი, ბოგოსიანი, ფიორე (ლონგო 74), ფუზერი, ვერონი (ბალბო 80), კიეზა, კრესპო (სტანიჩი 67)
გაფრთხილება: მუსი, მარკოლინი, ტურამი, კნუდსენი
გაძევება: ფუზერი (61), ნექროიზი (61)
მსაჯი: როდომონტი

### ბოლონია 1:1 რომა

0:1 პაულუ სერჟიო (15), 1:1 სინიორი (17)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (ბოზელი 62), ინგესონი, მაროკი, ფონტოლანი (მაინი 73), ანდერსონი, სინიორი (კაპიოლი 73)
რომა: კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა (ალეინიჩევი 77), ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულო სერჟიო (გაუტიერი 84), დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: ტომაზი, ალეინიჩევი
გაძევება: ბია (59)
მსაჯი: ტრენტალანგი

### კალიარი 3:2 პიაჩენცა

1:0 მუცი (20), 1:1 ბუზო (36), 2:1 კალონი (54), 2:2 ს. ინძაგი (57), 3:2 მუცი (61)
კალიარი: სკარპი, ძანონკელი, გრასადონია, ძებინა, ვაზარი (კენტურიონი 78), კავეცი, ნიატი (ძანეტი 60), ონილი, მაკელარი, მუცი, კალონი (მაცეო 64)
პიაჩენცა: ფიორი, საკეტი, პოლონია, დელი კარი (რიციტელი 73), მანიგეტი (კაინი 57), ბუზო, კრისტალინი, მაცოლა, სტროპა, ს. ინძაგი (დიონიჯი 80), რასტელი
გაფრთხილება: ონილი, სტროპა, მაცოლა, რასტელი, მუცი, კავეცი

### ფიორენტინა 4:1 ვენეცია

1:0 პადალინო (22), 2:0 ბატისტუტა (40), 2:1 შვო (42პ), 3:1 რუი კოშტა (62პ), 4:1 ბატისტუტა (64)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე (ფირიკანო 46), რეპკა, ტაროცი, რუი კოშტა (რობიატი 76), ამორუზო (ამორი 68), ჰაინრიხი, ედმუნდო, ბატისტუტა, ოლივეირა
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, პავანი, ლუპი, ბალარინი, ბრეშიანი (მარანგონი 67), ვოლპი (მიკელი 76), იაკინი, პედონე, შვო, ჯიოაკინი (მანიერო 61)
გაფრთხილება: პადალინო, პავანი, ამორი, ბატისტუტა, ტოლდო
მსაჯი: დე სანტისი

### ლაციო 4:1 ემპოლი

1:0, 2:0 ნეგრო (22, 26), 3:0 სალასი (30), 4:0 მანჩინი (61), 4:1 კარპარელი (81)
ლაციო: მარკეჯანი (ბალოტა 46), პანკარო (ლომბარდი 52), ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფავალი, სტანკოვიჩი, ვენტურინი (კონსეისაო 73), ალმეიდა, ნედვედი, მანჩინი, სალასი
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, ლუკენტი (კრიბარი 66), პანე, მორონე, დი ნაპოლი, ზალაიეტა (კარპარელი 46), ბონომი (მარტუშელო 60)
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ბიანკონი, სტანკოვიჩი
მსაჯი: ბორიელო

### მილანი 2:2 ინტერი

0:1 რონალდო (6), 1:1 ვეა (12), 1:2 მორიერო (48), 2:2 ალბერტინი (64პ)
მილანი: როსი, ნგოტი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ბობანი, ციგე (კოკო 56), მორფეო (განცი 56), ბირჰოფი, ვეა
ინტერი: პალიუკა, სიმეონე, ვესტი, გალანტე, კოლონეზე, მორიერო, ვინტერი, კოე, ძანეტი, რონალდო (ჯორკაეფი 46), სამორანო (ვენტოლა 80)
გაფრთხილება: ჰელვეგი, კოე, ბირჰოფი, ბობანი, პალიუკა, მორიერო, ჯორკაეფი
მსაჯი: ტომბოლინი

### პერუჯა 3:1 ვიჩენცა

1:0 რაპაიჩი (26), 1:1 ამბროზეტი (30), 2:1 ნაკატა (52პ), 3:1 მელი (75)
პერუჯა: როკატი, ზე მარია, მატრეკანო, რივასი, კოლონელო, პეტრაკი (სტრადა 72), ოლივე (რიპა 82), კამპოლო, რაპაიჩი, ნაკატა, ბუჩი (მელი 46)
ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო, დიჩარა, სტოვინი, მორაბიტო, სკენარდი (ბეგეტო 87), ვივიანი, მელოზი, ამბროზეტი (მეცანოტი 87), ძაული, ოტერო (პალადინი 90)
გაფრთხილება: კამპოლო, ამბროზეტი, ოლივე
გაძევება: სტოვინი (50)
მსაჯი: ფარინა

### სამპდორია 1:0 სალერნიტანა

1:0 ორტეგა (50პ)
სამპდორია: ფერონი, ლასისი, გრანდონი, კასტელინი, ბალერი (ნავა 92), ფიკინი (ვერგასოლა 80), ფრანჩესკეტი, ლაილი, პეკია, ორტეგა, პალმიერი (იაკოპინო 85)
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, ფრეზი, ფუსკო, ტოსტო (ამეტრანო 80), გატუზო, ბრედა, ვანუჩი (დი მიკელე 74), ჯამპაოლო, ბელმონტე (ტოდესკო 59), დი ვაიო
გაფრთხილება: პეკია, ვანუჩი, პალმიერი, დი მიკელე
გაძევება: ლასისი (64)
მსაჯი: ბეტინი

### უდინეზე 2:2 იუვენტუსი

0:1 ზიდანი (43), 0:2 ფ. ინძაგი (49), 1:2 ბაკინი (65), 2:2 სოსა (94)
უდინეზე: ტურჩი, პიერინი, კალორი, ბერტოტო, ძანკი, ბაკინი, ვალემი, აპია (ნავასი 80), იორგენსენი (ლოკატელი 56), ამოროზო, პოჯი (სოსა 76)
იუვენტუსი: პერუცი, ფერარა (მირკოვიჩი 67), ტუდორი, იულიანო, ბირინდელი (ბლანშარი 78), კონტე, ტაკინარდი, დი ლივიო, ზიდანი, დელ პიერო, ფ. ინძაგი (პეროტა 85)
გაფრთხილება: ბერტოტო, კონტე, ტუდორი, ამოროზო
მსაჯი: ჩეზარი

„იუვენტუსმა" უდინეში ვერ მოიგო, „ფიორენტინამ" კი „ვენეციას" იოლად აჯობა და ცხრილის სათავეში დაბრუნდა, თუმცა ჩვენი მიმოხილვა ჯობს მილანიდან დავიწყოთ.

სეზონის განმავლობაში იტალიის პირველობაზე 34 ტური ტარდება. ვიღაც ყოველ ტურში ჰკარგავს ქულას, ვიღაც პირიქით, მდგომარეობას იმტკიცებს, ხან ლიდერი იცვლება, ხან მდევარი, „სან სიროს" დერბი კი სექტემბრიდან მაისამდე მხოლოდ ორჯერ იმართება.

მილანში „შავ-წითლებისა" და „შავ-ლურჯების" პაექრობა ოთხგოლიანი გამოდგა. ანგარიში პირობითად სტუმარმა, „ინტერმა" გახსნა. უფრო ზუსტად რონალდომ, მაგრამ მალე „მასპინძელმა" ჯორჯ ვეამ გაათანაბრა. საინტერესოა, რომ ამ ორი გოლის გატანას 13 წუთი ეყო: რონალდოს შედეგიანი დარტყმა მე-7 წუთის ამბავი გახლდათ, ვეას პასუხი კი ექვს წუთში შედგა. პირველ ტაიმში, ტაბლოზე აღარაფერი შეცვლილა.

შესვენების შემდეგ, „ინტერმა" პირველივე იერიშით ერთხელაც გადააკვეთინა ბურთს „მილანის" კარის ხაზი. ეს ფრანჩესკო მორიერომ შეძლო, მაგრამ მე-60 წუთზე დემეტრიო ალბერტინიმ თერთმეტი მეტრიდან ისევ გაქვითა.

პენალტი, მოგეხსენებათ, მარად კამათის თემაა. ამჯერადაც ასე მოხდა. „ინტერის" თავკაცმა ლუიჯი სიმონიმ არ მოიწონა არბიტრის გადაწყვეტილება, როდესაც მან „შავ-ლურჯთა" მეორედ დაწინაურებული გუნდის კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა.

— ვგონებ, მსაჯები მატჩებს წინასწარი განწყობით ემსახურებიან. ეს ისეთი საკითხია, რომელსაც ვერაფრით ვეგუები. მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ დღევანდელმა შეხვედრამ უსიამოვნების გრძნობა დამიტოვა. ნუ იფიქრებთ, თითქოს დამავიწყდა, ადრე რომ ვამბობდი, მშვიდი გუნდი ყოველთვის გამარჯვებულია-მეთქი, მაგრამ ძალიან ძნელია მშვიდად უცქირო, როგორ იცვლება მოვლენები შენს საზიანოდ. უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანს გაბრაზების უფლებას ვერავინ წაართმევს — განაცხადა სიმონიმ პრესკონფერენციაზე, როდესაც 80 ათასი გულშემატკივრის ხმაური და ვნებათაღელვა ჩაცხრა.



მილანი — ინტერი. „მილანის" გერმანელი თავდამსხმელი ოლივერ ბიჰოფი (№10) პერსონალურ მეურვეს, ფაბიო გალანტეს დაუსხლტა

ახლა, შეხვედრის ყველაზე თვალსაჩინო მომენტებზე ცოტა უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

მე-4 წუთი: „ინტერის" ჩილელმა თავდამსხმელმა ივან სამორანომ მოწინააღმდეგის საჯარიმოსათან გრძელი პასი მიიღო, შემობრუნდა და ბურთი ბრაზილიელ თანაგუნდელს, რონალდოს გადააწოდა. რონალდო ორ მეტოქეს, შვედ თომას ჰელვეგსა და ფრანგ ბრუნო ნგოტის შორის გაძვრა, მარჯვენა ფეხით დროულად დაარტყა და „მილანის" გოლკიპერი, სებასტიანო როსი დაამწუხრა.

მე-13 წუთი: „მილანის" გერმანელი თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი პერსონალურ მეურვეს, ფაბიო გალანტეს დაუსხლტა. მან გონივრული პასი გადააწოდა ლიბერიელ თანაგუნდელს, ჯორჯ ვეას, რომელმაც საბოლოო დარტყმას სიზუსტე არ დააკლო.

35-ე წუთი: „ინტერის" მარჯვენა ნახევარმცველი, ფრანჩესკო მორიერო მცველებს დაუსხლტა, მაგრამ მისმა თავურმა მიზანს ვერ მიაღწია.

38-ე წუთი: ბირჰოფი „ინტერის" მეკარისგან, ჯანლუკა პალიუკასგან რვა მეტრში მეურვის გარეშე დარჩა — ძლიერად დარტყმული გოლკიპერმა მოიგერია.

47-ე წუთი: რონალდოს ნაცვლად მოედანზე შესული ფრანგი იური ჯორკაეფი, რომელსაც ოქტომბრის, მოსკოვის „სპარტაკთან" ჩემპიონთა თასის შეხვედრის შემდეგ აღარ უთამაშია, კარგ პასს აწვდის მორიეროს, ის კი დაახლოებით თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან, მარჯვენა ფეხით, როსისგან მარცხენა მხარეს არტყამს ზუსტად.

60-ე წუთი: მაურიციო განცი, თავდამსხმელი, რომელიც ადრე „ინტერში" თამაშობდა, მას მერე კი „მილანშია", „შავწითელთა" თავკაცს, ალბერტო ძაკერონის სამოცი წამის შეყვანილი ჰყავს მოედანზე. განცი დაუოკებელი ენერგიით უტევს ძველი გუნდის კარს. ფრანჩესკო კოლონეზე მასთან ორთაბრძოლას მართავს. მსაჯი თვლის, რომ კოლონეზემ განცი წააქცია და პენალტს ნიშნავს. ბუნებრივია, არბიტრის გადაწყვეტილებამ „ინტერის" ფეხბურთელთა დიდი პროტესტი გამოიწვია. ორწუთიანი დავა-კამათის შემდეგ დემეტრიო ალბერტინი ანგარიშს ხელმეორედ ათანაბრებს.

უდინეში კი „იუვენტუსმა" თავიდან ძლს გაარტყა ბურთი: ალესანდრო დელ პიეროს საჯარიმო პასით ანტონიო კონტემ ვერ მიაღწია საწადელს.

„უდინეზემაც" ჯერ ძელს დაუმიზნა: ბრაზილიელი მარსიო ამოროზოს დარტყმული, მე-20 წუთზე, „ბებერი ქალბატონის" მეკარემ, ანჯელო პერუცციმ ვერ მოიგერია, მაგრამ გოლი არ გასულა.

მოგვიანებით, 38-ე წუთზე, ვეტერანმა მცველმა ჩირო ფერარამ დაამტკიცა, რომ გასულ სეზონში მიღებული სერიოზული ტრავმა, რომლის გამოც მან მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა, წარსულსაა ჩაბარებული — სწორედ მან შეუშალა ბოლოწამს ხსენებულ ამოროზოს ხელი ანგარიშის გახსნაში.

ექვს წუთში ტურინელები დაწინაურდნენ — ალესანდრო ბირინდელის პასს, შორეულ ძელთან ზინედინ ზიდანმა უხელთა და თავურით მატჩის პირველი გოლი შეაგდო. 50-ეზე ფილიპო ინძაგიმ ალესიო ტაკინარდის დარტყმულს ფეხი მიაშველა — 2:0. „ბებერ ქალბატონს" თითქოს სამი ქულის ტურინში წაღებაღა აკლდა, მაგრამ 15 წუთის მერე მის კარში პირველი საპასუხო გოლი გავიდა: იტალიის ნაკრების ახალწვეულმა ჯონათან ბაკინიმ ბელგიელი იოჰან ვალემის პასი გოლად შეცვალა.

ამ დროისთვის დაღლილი ფერარა „იუვეს" თავკაცმა, მარჩელო ლიპიმ მოედნიდან გაიყვანა. ვეტერანის გამოკლება სტუმართა დაცვას თავიდან თითქოს არ შეეტყო, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებული დროის მეორე წუთზე ის მაინც გატყდა — მოუხელთებელი ამოროსოს პასით არგენტინელმა რობერტო კარლოს სოსამ მატჩის კიდევ ერთი თავური გოლი გაიტანა.

„იუვენტუსის" ცივი შხაპი ამით არ დასრულებულა. დარჩენილ წამებში მისმა ვარსკვლავმა ალესანდრო დელ პიერომ კოჭის ამობრუნებაც მოასწრო. იგი შემდეგ მატჩს გამოტოვებს, არადა მეტოქე „რომა" იქნება.

„რომამ" ბოლონიაში ვერ მოიგო. მართალია, ანგარიში დედაქალაქელებმა გახსნეს, და ეს მე-14 წუთზევე მოახერხეს, როდესაც ბრაზილიელმა პაულუ სერჟიომ თავური დაარტყა სწორედ, მაგრამ სამი წუთის შემდეგ ჯუზეპე სინიორის დიდებულმა სოლომ წონასწორობა აღადგინა.

სინიორი ხომ ადრე რომის მეორე გუნდში „ლაციოში" თამაშობდა და „რომას" კარზე საგანგებოდაა დაგეშილი.

ბოლონიელებს მეორე ნახევრის შუაში ჯოვანი ბია გაუძევეს მოედნიდან.

„ფიორენტინაზე" თავიდანვე ვთქვით, ვენეციელებს იოლად გაუმკლავდაო. აქ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ მისმა არგენტინელმა თავდამსხმელმა, გაბრიელ ბატისტუტამ ორჯერ მიაღწია მიზანს და შედეგად, რვა ტურში გატანილი ათი გოლით სერია A-ს ბომბარდირთა შორის პირველია.

**ბაპუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 8 | 6 | 0 | 2 | 17:7 | +10 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | +10 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 |
| 2 | იუვენტუსი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:7 | +5 | 17 | 4 | 4 | 0 | 0 | 5:0 | +5 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 |
| 3 | რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 15:8 | +7 | 14 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | +9 | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 4 | მილანი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | +4 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | +2 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | +2 | 7 |
| 5 | ლაციო | 8 | 3 | 4 | 1 | 15:9 | +6 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | +5 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | +1 | 5 |
| 6 | პარმა | 8 | 3 | 4 | 1 | 7:3 | +4 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | +5 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 7 | კალიარი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:12 | +3 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 14:7 | +7 | 11 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |
| 8 | ბარი | 8 | 2 | 5 | 1 | 9:8 | +1 | 11 | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | +1 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 |
| 9 | ინტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:13 | 0 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 0 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 |
| 10 | პერუჯა | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | +3 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 11 | სამპდორია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:15 | -5 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | +5 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:13 | -10 | 1 |
| 12 | უდინეზე | 8 | 2 | 4 | 2 | 11:12 | -1 | 10 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | +2 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 |
| 13 | ბოლონია | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | -1 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 |
| 14 | ვიჩენცა | 8 | 2 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 |
| 15 | პიაჩენცა | 8 | 2 | 2 | 4 | 11:11 | 0 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | +5 | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 0 |
| 16 | ემპოლი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:12 | -7 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | +1 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | -8 | 1 |
| 17 | სალერნიტანა | 8 | 1 | 1 | 6 | 4:15 | -11 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:12 | -10 | 0 |
| 18 | ვენეცია | 8 | 0 | 2 | 6 | 2:13 | -11 | 1 | 3 | 0 | 1 | 3 | 0:4 | -4 | 1 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | -7 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 10 |
| ამოროზო (უდინეზე) | 6 |
| ბირჰოფი (მილანი) | 6 |
| ვენტოლა (ინტერი) | 5 |
| დელვეკიო (რომა) | 5 |

IX ტური

15 ნოემბერი

ბარი - მილანი
ემპოლი - კალიარი
ინტერი - სამპდორია
პარმა - უდინეზე
პიაჩენცა - ფიორენტინა
რომა - იუვენტუსი
სალერნიტანა - პერუჯა
ვენეცია - ლაციო
ვიჩენცა - ბოლონია

## სერია B

IX ტური

### ატალანტა 1:0 ლუკეზე

1:0 დონი (83)

### კიევო 1:1 ჯენოა

0:1 ვუკოია (40), 1:1 ვერონეზე (78)

### კრემონეზე 3:1 ჩეზენა

1:0 ჯირარდელო (22), 1:1 სერა (52), 2:1 უნგარი (77), 3:1 ჯირარდელო (80)

### ლეჩე 0:2 ვერონა

0:1 იტალიანო (38), 0:2 გუიდონი (85)

### მონცა 0:2 ტორინო

0:1 ფერანტე (74), 0:2 სკარკილი (82)

### ნაპოლი 1:1 ფ. ანდრია

0:1 მანკა (90), 1:1 ბელუჩი (92)

### პესკარა 5:1 ტერნანა

1:0, 2:0 პიზანო (24, 27), 3:0 ჯელსი (35), 4:0 პიზანო (46), 5:0 პალუმბო (65), 5:1 ბორგობელო (85)

### რავენა 2:1 კოზენცა

0:1 ჯანატალე (31), 1:1 სილენცი (78), 2:1 დელანო (92)

### რეჯინა 3:0 რეჯანა

1:0 არტიკო (55პ), 2:0 პინკარელი (73), 3:0 ტომიჩი (79)

### ტრევიზო 1:0 ბრეშა

1:0 ლანტინოტი (92)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრევიზო | 9 | 6 | 3 | 0 | 14:6 | 21 |
| ვერონა | 9 | 6 | 2 | 1 | 18:8 | 20 |
| ტორინო | 9 | 6 | 1 | 2 | 16:6 | 19 |
| რავენა | 9 | 5 | 2 | 2 | 13:12 | 17 |
| პესკარა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 14 |
| ლეჩე | 9 | 4 | 2 | 3 | 8:6 | 14 |
| ბრეშა | 9 | 3 | 4 | 2 | 8:5 | 13 |
| ატალანტა | 9 | 3 | 4 | 2 | 5:5 | 13 |
| კოზენცა | 9 | 3 | 3 | 3 | 8:7 | 12 |
| კრემონეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| ტერნანა | 9 | 3 | 3 | 3 | 8:11 | 12 |
| ნაპოლი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| რეჯინა | 9 | 2 | 4 | 3 | 10:11 | 10 |
| მონცა | 9 | 2 | 4 | 3 | 4:7 | 10 |
| კიევო | 9 | 3 | 1 | 5 | 6:10 | 10 |
| რეჯანა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:11 | 9 |
| ჯენოა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | 9 |
| ფ. ანდრია | 9 | 1 | 3 | 5 | 4:11 | 6 |
| ლუკეზე | 9 | 0 | 4 | 5 | 2:7 | 4 |
| ჩეზენა | 9 | 0 | 4 | 5 | 5:13 | 4 |

# შავი ჭირი — ქოლერა

## ესპანეთი

### IX ტური

### ესპანიოლი 1:0 ბეტისი

1:0 სერანო (6)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, ვილა, ივან ელგუერა, გალკა (ბრნოვიჩი 62), პაჩეტა (კაპდევილა 11), სერანო (სერჟიო 66), ესნაიდერი, ბენიტესი, კიკე მარტინი
ბეტისი: პრატსი, აიალა, ლუის ფერნანდესი, ოტერო, სოლოსაბალი, ბენჯამინი, იტო, კანიასი (ფერნანდო 50), ფინიდი, დენილსონი, გალვესი (ოლი 46)
გაფრთხილება: ტონი, კრისტობალი, ესნაიდერი, სოლოსაბალი, ოლი
მსაჯი: გარსია არანდა

### ალავესი 1:1 რეალი

1:0 კანაბალი (34), 1:1 რობერტო კარლოსი (50)
ალავესი: კიკე, ხოსეტე, კარმონა, ალბისტეგი (მორალესი 55), გალონი (ივან როჩა 57), ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი, მანიო, სივორი (ძერარი 51)
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო (სანსი 28), სანჩისი, პანუჩი, იარნი, რედონდო, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი, სავიო (შუკერი 73)
გაფრთხილება: ხოსეტე, გალონი, რედონდო, მიატოვიჩი
მსაჯი: მეუტო გონსალესი

### სოსიედადი 3:1 ბილბაო

1:0 დე პაულა (3), 2:0 სა პინტუ (12), 2:1 ლარასაბალი (14პ), 3:1 კოვაჩევიჩი (90)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ანტია (პიკაბეა 84), ლოპეს რეკარტე, გომესი, იარეგი, დე პედრო (იდიაკესი 75), დე პაულა (ცვიტანოვიჩი 79), კოვაჩევიჩი, სა პინტუ
ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, ლაკრუსი (ესკუერო 50), ფერეირა (ხ. ეჩებერია 50), რობერტო რიოსი, ურუტია, იმასი, გერერო, კარლოს გარსია, ალკისა, ურსაისი (ხორხე პერესი 76)
გაფრთხილება: ლორენი, ლოპეს რეკარტე, კოვაჩევიჩი, სა პინტუ, ფერეირა, რობერტო რიოსი, იმასი, კარლოს გარსია, ალკისა
გაძევება: ი. ეჩებერია, იმასი
მსაჯი: პრადოს გარსია

### სალამანკა 1:2 სარაგოსა

1:0 მუნტეანუ (37), 1:1 გ. ლოპესი (79), 1:2 ჯამელი (90)
სალამანკა: სტელეა, ლუპიდიო, კორინო, ლორენი, ლუნარი, მუნტეანუ, ედუ ალონსო, ჯოვანელა, კარდეტი, ველისკა, სილვანი
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, სოლანა, აგუადო, სუნდგრენი, არაგონი, ხოსე იგნასიო, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ჯამელი, მარკოს ვალესი, გ. ლოპესი
მსაჯი: ჯაპონ სევილია

### ვალენსია 3:0 რასინგი

1:0 ჟუკიჩი (46), 2:0 შვარცი (47), 3:0 კ. ლოპესი (62)
ვალენსია: კანისარესი, ჟუკიჩი, კარბონი, სორია (კამარასა 73), შვარცი, ხუანფრანი (ლუკარელი 46), მენდიეტა, მილა, კ. ლოპესი, ილიე, ანგულო (პოპესკუ 80)
რასინგი: სებალოსი, არსენო, ნერუ, მერინო, ტაისი, ვიქტორი (სანჩეს იარა 67), შუსტიკოვი, ჩემა, ისმაელი, მუნიტისი (პრესიადო 71), ბესჩასტნიხი (ვივარ დორადო 67)
გაფრთხილება: ანგულო, ისმაელი
გაძევება: ისმაელი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### სელტა 5:1 ესტრემადურა

1:0 მოსტოვოი (47), 2:0 სანჩესი (57), 3:0 მოსტოვოი (66), 3:1 მანუელი (68), 4:1 ტომასი (82), 5:1 კარპინი (83)
სელტა: დუტრუელი, კასერესი, მიჩელ სალგადო, ბერხესი, გ. ჟოროვიჩი, მაკელელე, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (კადეტე 85), პენევი (გუდელი 72), სანჩესი (ტომასი 72)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, სოტო (გაბრიჩი 78), ბელენგუერი, დავიდი (პოლი 70), კალა, ფელიქსი, ოსკარი, პედრო ხოსე (ტონი ველამანსინი 60), ტორილი, დურელი, მანუელი
გაფრთხილება: გ. ჟოროვიჩი, კარპინი, ბელენგუერი, პოლი, ტორილი
მსაჯი: პერეს ლასა

### მალიორკა 1:0 ვილიარეალი

1:0 დანი (32პ)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, ფერნანდო ნინო, ოლაისოლა, იბაგასა (არპონი 57), სტანკოვიჩი, ლორენი, ენგონგა. (ფ. სოლერი 60), დანი, ბიაჯინი (ჩუპა ლოპესი 60)
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი (ალბერტო 65), ტასევსკი, აიტორ არეგი, იმანოლი (კრაიოვეანუ 52), რობერტო, ალბელდა, დიასი (გარსია სანხუანი 85), ხერარდო, ალფარო, მოიზესი
გაფრთხილება: სივიერო, ფერნანდო ნინო, ალბერტო, პასკუალი, იმანოლი, ალბელდა
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### ატლეტიკო 1:1 დეპორტივო

1:0 ხოსე მარი (75), 1:1 ჯალმინია (82)
ატლეტიკო: მოლინა, ტორიზი, სერენა, შამოტი, ტონი, ვალერონი, რობერტო (კორეა 87), ჟუნინიო, ლარდინი (ხოსე მარი 74), ბეიბლი, კიკო
დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, არმანდო, ნაიბეტი, ზიანი (დონატო 80), ჯალმინია, მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო (სკალონი 66), პაულეტა (ტურუ ფლორესი 66)
გაფრთხილება: არმანდო, მაურო სილვა
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ოვიედო 2:1 ბარსელონა

0:1 რივალდო (34), 1:1 ფაბიო პინტუ (86), 2:1 მიოლერი (90)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ივან იგლესიასი (ივან ანია 56), პომპეი, პაულო ბენტო, ონოპკო, ხაიმე (ფაბიო პინტუ 65), დელი ვალდესი (მიოლერი 46), დუბოვსკი
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო, აბელარდო, სერხი, ხავი, კოკუ (ზენდენი 79), ფიგუ (ჩირიჩი 83), ჯოვანი (ანდერსონი 85), სელადესი, კლუივერტი, რივალდო
გაფრთხილება: მანელი, პაულო ბენტო, ფიგუ, ჯოვანი
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ტენერიფე 2:2 ვალიადოლიდი

1:0 მაკაი (2), 1:1 ტორეს გომესი (13), 1:2 პეტერნაკი (74პ), 2:2 ხუანელე (88)
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, პაბლო პასი, ვიერკლო, იოკანოვიჩი, ფელიპე (დომინგუში 82), ემერსონი, დანი, სლოვაკი (კოდრო 74), ხუანელე, მაკაი
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, სანტა მარია, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო (გარსია კალვო 60), კამინერო (ტურიელი 46), ტორეს გომესი, ჩემა, პეტერნაკი, ვიქტორი (კლიმოვიჩი 80)
გაფრთხილება: პაბლო პასი, იოკანოვიჩი, ფელიპე, ემერსონი, სლოვაკი, ხუანელე, მარკოსი, ტურიელი, ტორეს გომესი
მსაჯი: მეგა დავილა

რაც ჩემპიონატი დაიწყო, გათამაშების ლიდერი, ვინც უნდა იყოს ის, პირველ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება. თავდაპირველად სარაგოსელები ლიდერობდნენ, მერე, ყველასთვის მოულოდნელად, „მალიორკა" ალზევდა, მალე კი ესპანეთის თასის ფინალისტი „რეალმა" შეცვალა. დღეს თავად „რეალი" დააქვეითეს, ცხადია, დროებით. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლიდერის პოზიცია პრიმერა დივიზიონის ყველა კლუბისთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ არც ისეა სიტუაცია, ერთი შეხედვით რომ ჩანს — პირველი ადგილი მხოლოდ რამდენიმე გუნდისთვისაა ხელმისაწვდომი და დავაც, სავარაუდოდ, ოთხ-ხუთ კლუბს შორის წარიმართება.

გასულ სეზონში ლუის ფერნანდესის შეკოწიწებული ბილბაოს „ატლეტიკო" სწორედ იმ კლუბთაგან გახლდათ, სეზონის დასაწყისიდანვე ჩემპიონობისთვის რომ იბრძოდა და ლიდერთა შორის ტრიალებდა, მაგრამ დღესდღეობით სიტუაცია შეიცვალა, თანაც ისე, რომ ბასკები დაამწუხრა. დღევანდელი „ბილბაო" შორსაა იმ კლუბისგან, გაზაფხულზე მეორე ადგილზე რომ გავიდა.

— ერთი წელიწადიც არაა გასული, რაც ევროპაში უმაღლეს დონეზე გვიწევს თამაში. შარშან როგორღაც მოვახერხეთ და სტაბილურობა შევინარჩუნეთ, ახლა კი, სამწუხაროდ, ეს ალარ გამოგვდის. „ბილბაო" ჯერ ნამდვილად არაა მზად უმაღლესი მიზნების მისაღწევად, თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ჩვენ მდგომარეობის გამოსასწორებლად ვიბრძვით. მალე, იმედია, სიტუაცია ჩვენდა სასიკეთოდ შეიცვლება — იტყვის ბასკურ დერბში დამარცხებული „ბილბაოს" თავკაცი ლუის ფერნანდესი.

თბილისის „დინამოს" დამმარცხებლებმა გასვლითი მატჩი კვლავ წააგეს. შინ, „სან მამესზე", „ბილბაო" იშვიათი გამონაკლისის გარდა სულ იგებს, სტუმრად კი, ასევე იშვიათი გამონაკლისის გარდა მუდამ მარცხდება, ხანდახან გაცილებით სუსტ გუნდებთანაც, ვიდრე თავად არის. ეტყობა, „ბილბაოსთვის" სხვაგან თამაში საძნელო საქმეა. რა როგორ, არავინ იცის. ფაქტი გნებავთ? ფაქტები კი იმაზე მეტყველებენ, რომ სტუმრად მოთამაშე „ბილბაო" გაცილებით სუსტია, ვიდრე მშობლიურ ქალაქში.

„სოსიედადიც" ბასკური კლუბია და ეს გუნდების დაპირისპირებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა. ამასთან, თუ „ბილბაო" გაზაფხულზე მეორე იყო, „სოსიედადი" მესამე, პრიზიორთა შეხვედრა კი ძალიან საინტერესო გახლდათ.

მასპინძლებმა გულშემატკივრები დასაწყისში ორჯერ გაახარეს. ჯერ დე პაულამ დალაშქრა მოგვიანებით გაძევებული იმანოლ ეჩებერიას კარი, მალე კი პორტუგალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის არტურ ჟორჟეს მცემელმა სა პინტუმ მეორეც გაიტანა. ბილბაოელებმა მალე ერთი გოლი გაქვითეს — ლარასაბალმა ერთობ სადავო პენალტიდან გაიტანა, თუმცა სოსიედადელებმა მაინც მოიგეს. მასპინძელთა გამარჯვებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მსაჯმა გაგდებულ იმანოლ ეჩებერიას გზას კიდევ ერთი ბილბაოელი იმასიც გაუყენა.

— თავის მართლება ახლა უადგილოა, თუმცა მსაჯს მოქმედებაც არ გახლავთ გამართლებული. ჩემი აზრით, არც ეჩებერია გახლდათ გასაგდები და მით უმეტეს, არც იმასი. „ბილბაოს" მარცხიც ძირითადად კაცნაკლულობამ განაპირობა. მეორე ტაიმში ერთი პირობა უპირატესობაც ვიგდეთ ხელთ, მაგრამ ძალა ალარ გვეყო — კვლავ ლუის ფერნანდესი.

სხვათა შორის, ბილბაოში უკვე დაირხა ხმები, თუ კლუბის წარუმატებლობა კიდევ გაგრძელდება, ფერნანდესი თანამდებობას დაემშვიდობებაო. „ელ მუნდომ" კი ისიც დაწერა, ლუის ფერნანდესის სამომავლო კარიერა ბილბაოში, მეტწილად კლუბის ჩემპიონთა ლიგაში დარჩენილ ორ თამაშზეა დამოკიდებულიო. ერთი სიტყვით, ფრანგი მწვრთნელის პოზიციები საგრძნობლად შეირყა.





ალავესი — რეალი. ჩემპიონთა თასის მფლობელ კრისტიან პანუჩის (შუაში) მასპინძლები ძნელად უმკლავდებოდნენ

ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული მადრიდის „რეალი", 1 დეკემბერს საკონტინენტთაშორისო თასზე ბრაზილიის „ვასკუ და გამას" რომ უნდა შეერკინოს, ვიტორიაში შერცხვა. ქვეყნის ფეხბურთის გრანდის ფრე პრიმერა დივიზიონის დებიუტანტთან ძალიან ძნელი წარმოსადგენი გახლდათ, თუმცა კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბურთი მრგვალია.

გრაცში „შტურმის" 5:1 დამმარცხებელი „რეალიდან" ალარაფერი დარჩენილიყო. კლუბი, რომელიც მანამდელ შეხვედრებში მეტოქეს მეტოქეზე ანადგურებდა, დაზავდა გუნდთან, რომელიც არსებობის მანძილზე ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში პირველადაა. თუ ლიდერი, სახელოვანი გუნდი, გნებავთ ფავორიტი, ცუდად თამაშობს, მისი დამარცხება არავის უჭირს. ასე იყო ახლაც — მოცემულ შეხვედრაში „ალავესმა" უკეთესად ითამაშა, ვიდრე „რეალმა" და უფრო მონდომებულმა მასპინძლებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს. მოსაწყენ პირველ ნახევარში კანაბალის შეგდებული გოლის წყალობით მასპინძლები იგებდნენ კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში რობერტ იარნიმ და სავიომ ერთ მომენტში რობერტო კარლოსს დასარტყმელად მიართვეს ბურთი და ბრაზილიელმაც გაისროლა — 1:1.

სტუმართა თავკაცი გუს ჰიდინკი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადებულა. მოიმიზეზა, მადრიდში მეუღლე გამიხდა ცუდადო. ჟურნალისტთა კითხვებს მის ნაცვლად ჰიდინკის თანაშემწე ხორხე დელ ვირნომ უპასუხა, რომელმაც ბოლოს განაცხადა, მატჩი ვიტორიაში ფრედ ჩვენს გამო დასრულდა, შეხვედრას ზერელედ მოვეკიდეთო.

თუ „რეალი" აუტსაიდერთან მარცხს გადაურჩა და ფრედ მაინც ითამაშა, რაც სამეფო კლუბისთვის ნუგეში სულაც არ გახლავთ, „ბარსელონა", ესპანური ფეხბურთის მეორე სახე, ოვიედოში დამარცხდა. კატალონიელები საერთოდაც შერცხვნენ.

— არაორგანიზებულობის ნიშნები შევნიშე დაცვაში და მარცხიც ამის გამო ვიწვნიეთ. კლუბში ცვლილებებია მოსალოდნელი. ზოგი, ეტყობა, ვერ აცნობიერებს რამხელა პასუხისმგებლობაა კლუბის ძირითადში თამაში. ასეთი ფეხბურთელები არ მჭირდება — ლუის ვან გაალი, რომელმაც „ბარსელონას" მწვრთნელის პოსტის დაკარგვის რეალური საფრთხე იგრძნო, ჟურნალისტებს საკმაოდ ემოციურად ესაუბრებოდა.

თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კატალონიელები იგებდნენ შეხვედრას — რივალდოს პირველ ტაიმში გაეტანა, მაგრამ 86-ე წუთზე ჯერ იყო და ბრაზილიელმა ფაბიო პინტუმ, მოატყუა რა არგენტინელი მაურისიო პელეგრინო, რუდ ჰესპს გაუტანა გოლი, მერე კი მსაჯის მიერ წამატებულ დროში „ოვიედომ" მერეც შეაგდო. იმავე ჰესპმა, რომელიც მანამდე ბრწყინვალედ თამაშობდა, ბოლო წამებზე მასპინძელთა საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ცუდად მოიგერია. პელეგრინომ მოშორება სცადა, მაგრამ დანიელმა პეტერ მოილერმა დაასწრო და გოლიც გაიტანა — 2:1. „ბარსელონამ" წააგო. მეორე გოლის ავტორი მიოლერი პრიმერა დივიზიონში პირველ შეხვედრას თამაშობდა.

ტურის სხვა თამაშებს რაც შეეხება, ალსანიშნავია „ვალენსიას" ზედიზედ მესამე დიდი ანგარიშით მოგებული შეხვედრა. კლაუდიო რანიერის ბიჭებმა ბოლო სამ ტურში 12 გოლი გაიტანეს და მხოლოდ ორი გაუშვეს.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მალიორკა | 9 | 5 | 4 | 0 | 12:3 | +9 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | +8 | 13 | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | +1 | 6 |
| 2 | რეალი | 9 | 5 | 3 | 1 | 22:13 | +9 | 18 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | +2 | 5 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:7 | +7 | 13 |
| 3 | სელტა | 9 | 4 | 5 | 0 | 18:8 | +10 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | +7 | 11 | 4 | 1 | 3 | 0 | 8:5 | +3 | 6 |
| 4 | ბარსელონა | 9 | 4 | 4 | 1 | 16:10 | +6 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | +4 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | +2 | 8 |
| 5 | ვალენსია | 9 | 5 | 0 | 4 | 16:11 | +5 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | +7 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | −2 | 3 |
| 6 | სარაგოსა | 9 | 5 | 0 | 4 | 16:14 | +2 | 15 | 4 | 2 | 0 | 2 | 9:9 | 0 | 6 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | +2 | 9 |
| 7 | ატლეტიკო | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | +3 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | +10 | 13 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | −6 | 1 |
| 8 | დეპორტივო | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | +2 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | +6 | 10 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | −4 | 3 |
| 9 | ვალიადოლიდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:8 | +1 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | +3 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | −2 | 3 |
| 10 | სოსიედადი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:16 | −2 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | +4 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:11 | −6 | 2 |
| 11 | ოვიედო | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | −2 | 12 | 5 | 2 | 1 | 1 | 6:3 | +3 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:9 | −5 | 2 |
| 12 | რასინგი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | −3 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | +3 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | −6 | 4 |
| 13 | სალამანკა | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | −5 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | +3 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | −8 | 1 |
| 14 | ტენერიფე | 9 | 2 | 4 | 3 | 14:14 | 0 | 10 | 5 | 0 | 4 | 1 | 7:8 | −1 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | +1 | 6 |
| 15 | ბილბაო | 9 | 3 | 1 | 5 | 13:15 | −2 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | +3 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | −5 | 3 |
| 16 | ესპანიოლი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | −3 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | −4 | 1 |
| 17 | ალავესი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:10 | −5 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | −1 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | −4 | 3 |
| 18 | ბეტისი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:14 | −9 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | −4 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | −5 | 4 |
| 19 | ვილიარეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 11:14 | −3 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | +2 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | −5 | 2 |
| 20 | ესტრემადურა | 9 | 1 | 2 | 6 | 5:18 | −13 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | −7 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | −6 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 6 |
| ურსაისი (ბილბაო) | 6 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 5 |
| ხუან სანჩესი (სელტა) | 5 |
| მაკაი (ტენერიფე) | 5 |

### X ტური

15 ნოემბერი

დეპორტივო - ალავესი
ვილიარეალი - ატლეტიკო
ვალიადოლიდი - მალიორკა
ბარსელონა - ტენერიფე
ბილბაო - ოვიედო
ბეტისი - სოსიედადი
სარაგოსა - ესპანიოლი
რასინგი - სალამანკა
ესტრემადურა - ვალენსია
რეალი - სელტა

## მეორე დივიზიონი

### X ტური

### ლეიდა 1:0 მალიორკა B

1:0 ხოსემი (13)

### ნუმანსია 0:0 ლას პალმასი

### კომპოსტელა 2:2 სპორტინგი

1:0 კაბრეხო (33), 2:0 ჩიბა (53), 2:1 რუბინი (64პ), 2:2 კამაჩო (67)

### რეკრეატივო 1:0 ალბასეტე

1:0 პუნტასი (56)

### მალაგა 1:3 რაიო

1:0 დე ლოს სანტოსი (15), 1:1 ლორენსი (41პ), 1:2 პაბლო სანსი (49), 1:3 მიჩელი (55)

### ლეგანესი 2:2 ერკულესი

0:1 სანდრო (3), 1:1 პედრო (15), 2:1 ჯეიმსი (28), 2:2 ლედი (43)

### ლოგრონიესი 2:3 ატლეტიკო B

1:0 ხორდი (3), 2:0 მანელი (42), 2:1 კარსედო (57), 2:2 ტევენე (65პ), 2:3 ბარახა (90პ)

### სევილია 2:0 ეიბარი

1:0 მარჩენა (4), 2:0 იურიჩი (70)

### ორენსე 0:1 ტოლედო

0:1 კინი (88)

### მერიდა 4:2 ბარსელონა B

1:0 საბასი (7), 2:0 ალდანა (20), 3:0 ბრაულიო (46), 3:1 ჟოფრეი (50), 4:1 საბასი (51), 4:2 მარიო (75პ)

### ბადახოსი 0:1 ოსასუნა

0:1 პალასიოსი (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 11 | 8 | 3 | 0 | 22:5 | 27 |
| ტოლედო | 11 | 6 | 4 | 1 | 16:7 | 22 |
| სევილია | 11 | 6 | 3 | 2 | 13:7 | 21 |
| ატლეტიკო B | 11 | 6 | 2 | 3 | 21:15 | 20 |
| ლეიდა | 11 | 6 | 2 | 2 | 15:11 | 20 |
| რაიო | 11 | 5 | 5 | 1 | 16:13 | 20 |
| ლას პალმასი | 11 | 5 | 4 | 2 | 16:8 | 19 |
| ოსასუნა | 11 | 5 | 3 | 3 | 12:7 | 18 |
| მალაგა | 11 | 5 | 3 | 3 | 15:14 | 18 |
| კომპოსტელა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:14 | 16 |
| რეკრიატივო | 11 | 4 | 4 | 3 | 7:6 | 16 |
| ლოგრონიესი | 11 | 4 | 4 | 3 | 13:14 | 16 |
| მერიდა | 11 | 3 | 5 | 3 | 10:10 | 14 |
| მალიორკა B | 11 | 4 | 1 | 6 | 17:16 | 13 |
| ორენსე | 11 | 4 | 1 | 6 | 9:14 | 13 |
| ალბასეტე | 11 | 3 | 3 | 5 | 9:12 | 12 |
| ლეგანესი | 11 | 3 | 1 | 7 | 9:19 | 10 |
| ბადახოსი | 11 | 2 | 3 | 6 | 8:10 | 9 |
| ერკულესი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:18 | 9 |
| სპორტინგი | 11 | 1 | 3 | 7 | 6:17 | 6 |
| ბარსელონა B | 11 | 1 | 3 | 7 | 12:25 | 6 |
| ეიბარი | 11 | 1 | 2 | 8 | 9:20 | 5 |

## შოტლანდია

XIII ტური

**აბერდინი 2:1 დანფერმლაინი**

1:0 ჯესი (2), 1:1 სქუაირზი (81), 2:1 ჯესი (83)

**სელტიკი 6:1 დანდი**

1:0, 2:0 ლარსონი (8პ, 18პ), 2:1 ანანდი (21), 3:1, 4:1 ბარჩილი (27, 53), 5:1 ლარსონი (58), 6:1 დონელი (65)

**დანდი იუნაიტედი 2:2 მოზერველი**

0:1 კოილი (4), 1:1 დოდსი (48), 1:2 კოილი (50), 2:2 იონსონი (60)

**ჰართსი 2:1 კილმარნოკი**

1:0 ადამი (6), 2:0 ფულტონი (86), 2:1 რაიტი (87)

**სენტ ჯონსტონი 0:7 რეინჯერსი**

0:1 უოლესი (10), 0:2 იოჰანსონი (29), 0:3 ალბერცი (31პ), 0:4 კანჩელსკისი (64), 0:5, 0:6 გივარში (70, 79), 0:7 ალბერცი (82პ)

ჩემპიონატის მე-13 ტური ლიდერთაგან თარსი მხოლოდ „კილმარნოკისთვის" აღმოჩნდა, რომელიც თასის მფლობელ „ჰართსს" ეწვია და 1:2 წააგო. ალი მაკოისტსა და მის თანაგუნდელებს „ჰართსისთვის" რომ მოეგოთ, ერთი დღით გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცეოდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით, ვინაიდან მეორე დღეს, კვირას, „რეინჯერსმა" „სენტ ჯონსტონი" გამოიჭირა მისსავე მოედანზე და საშინელი დღე აყარა.

იმ შეხვედრაში გოლი ყველამ გაიტანა, ვისაც კი არ ეზარებოდა. გლაზგოელთა ახალწვეულმა, მსოფლიოს ჩემპიონმა სტეფან გივარშმა და გერმანელმა იორგ ალბერცმა ორჯერ იხეირეს. „ნიუკასლ იუნაიტედიდან" სულ ახლახან 3,5 მილიონ გირვანქად „რეინჯერსში" გადასული ფრანგი შეცვლაზე შევიდა და მატჩის მე-5 და მე-6 გოლები გაიტანა. მანამდე კი ოთხი ბურთი სტუმრებს უკვე გატანილი ჰქონდათ — ანგარიში მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირმა როდ უოლესმა გახსნა, მისი წამოწყებული საქმე ფინეთის ნაკრების წევრმა ჯონათან იოჰანსონმა გააგრძელა, ამას ალბერცის ტრადიციული პენალტიდან გატანილი მოჰყვა. მეორე ტაიმში პირველად რუსმა კანჩელსკისმა ივარგა, შემდეგ გივარშმა რაც ქნა, უკვე გითხარით, საბოლოოდ კი ისევ ალბერცმა, ისევ თერთმეტმეტრიანიდან მასპინძლების განადგურებას წერტილი დაუსვა. „წმინდანები" თითქმის ერთი საათის განმავლობაში ათნი იყვნენ — 31-ე წუთზე კეინი გააძევეს, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა კიდეც მატჩის ასეთი არასაფეხბურთო ანგარიშით დამთავრებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ შოტლანდიის თასის ფინალში ერთმანეთს სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდება.

რაც ქვეყნის ჩემპიონმა მთელი სეზონი ვერ მოახერხა (ჩვეულ თამაშს ვგულისხმობთ), შაბათს „დანდისთან" შეხვედრაში ერთბაშად გააკეთა. „სელტიკმა" მართლაც უმაღლეს დონეზე იბურთავა, როგორც ჩემპიონს შეშვენის, ისე.

მასპინძელთაგან კვლავ გამოიჩინა თავი შვედმა ჰენრიკ ლარსონმა, ოღონდ არა საგოლე გადაცემებით, არამედ თავად გოლებით, რომელთაგან ორი მან პენალტიდან გაიტანა. თავის მხრივ, ეს თერთმეტმეტრიანები მატჩის მეორე გამორჩეულმა ფიგურამ, გლაზგოელთა 18 წლის ფორვარდმა მარკ ბარჩილმა დაიმსახურა, ვინც ესეც არ იკმარა და ზედ ორი გოლიც დაუმატა. კიდევ ერთი ბურთი მასპინძელთაგან საიმონ დონელიმ გაიტანა, ხოლო „დანდის" რიგებიდან თავი ისევ და ისევ ანანდმა გამოიჩინა, რომელიც ლარსონთან ერთად საუკეთესო მეგოლეთა შორის მესამე საფეხურზე იმყოფება. შეხვედრის დასრულების შემდეგ თინეიჯერი ბარჩილი სიხარულს ვერ მალავდა და შოტლანდიელ ჟურნალისტებს ასეთი რამ განუცხადა.

— თითქმის მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე ვიმყოფებოდი, რაზეც ძალიან მწყდებოდა გული, რადგან მგონია, რომ კარგ ფორმაში ვიმყოფები და შემიძლია, გუნდს დავეხმარო. დღეს, როგორც იქნა, მომეცა თამაშის საშუალება და ვფიქრობ, ურიგო შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. მზად ვარ, მომავალშიც ასეთივე შემართებით ვითამაშო და „სელტიკს" ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაში ხელი შევაშველო.

**დავით ძოგზირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 13 | 8 | 3 | 2 | 26:7 | 27 |
| კილმარნოკი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:9 | 23 |
| სელტიკი | 13 | 5 | 5 | 3 | 24:14 | 20 |
| სტ. ჯონსტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:20 | 17 |
| ჰართსი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| დანდი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:19 | 15 |
| დანდი იუნაიტედი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:15 | 14 |
| აბერდინი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:18 | 14 |
| მოზერველი | 13 | 3 | 5 | 5 | 10:18 | 14 |
| დანფერმლაინი | 13 | 1 | 8 | 4 | 10:17 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| უოლესი (რეინჯერსი) | 9 |
| ჯესი (აბერდინი) | 7 |
| ლარსონი (სელტიკი) | 6 |
| ანანდი (დანდი) | 6 |



REUTERS

სელტიკი — დანდი. გლაზგოელთა შვედმა ლეგიონერმა ჰენრიკ ლარსონმა ჰეთ-თრიქი შეასრულა

## შვეიცარია

XVII ტური

**ქსამაქსი 3:1 ბაზელი**

1:0 ნდიაე (8), 1:1 ფრიკი (25), 2:1 ისაბელა (90), 3:1 ნდო (92)

**ლუგანო 1:1 ლუცერნი**

0:1 ჯიანინი (51), 1:1 კნეცი (70)

**სენტ გალენი 0:0 სერვეტი**

**იანგ ბოისი 3:0 სიონი**

1:0 კერლი (3), 2:0 მოზერი (90), 3:0 სმაჯიჩი (93)

**ლოზანა 2:1 არაუ**

1:0 ტურე (64), 1:1 ალექსანდროვი (66), 2:1 გერბერი (70)

**გრასჰოპერი 1:2 ციურიხი**

0:1 შასო (9), 1:1 დე ნაპოლი (59), 1:2 ოპანგო

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ფოგელი, მაცარელი, გრენი (სმილიანიჩი 46), კრისტი, ტიკვა, ესპოზიტო, ტარარახე, კომიზეტი (მანინი 46), დე ნაპოლი (ბერნერი 86), თურქილმაზი

შვეიცარიის ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩს „ციურიხთან" „გრასჰოპერი" კარგ ხასიათზე შეხვდა. სიხარულის მიზეზი „კალიებს" უეფას სადისციპლინო კომისიამ მისცა, რომელმაც კვირას „ფიორენტინა" გულშემატკივართა ხულიგნობისათვის სამაგალითოდ დასაჯა — გუნდი უეფას თასის გათამაშებას ჩამოაშორა და მისი ადგილი „გრასჰოპერს" უბოძა. ასე რომ, 24 ნოემბერსა და 8 დეკემბერს შვეიცარიელები ფრანგულ „ბორდოს" შეხვდებიან.

რაც შეეხება თავად „გრასჰოპერი" — „ციურიხის" მატჩს, იგი დაძაბული და საინტერესო გამოდგა და საბოლოოდ სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. მასპინძელთა შემადგენლობაში ვერც გიორგი ნემსაძე ვიხილეთ და ვერც მიხეილ ყაველაშვილი. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი „გრასჰოპერში", ალბათ, აღარც ითამაშებს, იმდენად გაღრმავდა მასსა და კლუბის თავკაც როლფ ფრინგერს შორის კონფლიქტი. ყაველა კი შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

ციურიხელთა ბრძოლამ „ლეტციგრუნდზე" წლევანდელ სეზონში მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა შეკრიბა — 17 500 ქომაგი არც ერთ მატჩზე არ მისულა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. მე-9 წუთზე შასოს თავით ძლიერად დარტყმულ ბურთს ცუბერბიულერმა ვერაფერი მოუხერხა. მანამდე „გრასჰოპერს" შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ პატრიკ დე ნაპოლიმ ვერ ივარგა. „ციურიხის" დაწინაურების შემდეგ თამაში დაიძაბა, ორივე გუნდი უხეშობდა, რის გამოც არბიტრს თერთმეტჯერ მოუხდა ყვითელი ბარათის ამოღება, აქედან ორჯერ იგი ესპოზიტოს უჩვენა და 81-ე წუთზე მოედანიც დაატოვებინა. ამ დროს ანგარიში უკვე 1:1 იყო. საპასუხო გოლი თურქილმაზს ჩინებული თამაშის შემდეგ დე ნაპოლიმ გაიტანა. „კალიებმა" გათანაბრების შემდეგაც ბევრი მომენტი შექმნეს „ციურიხის" კართან, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენეს, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში კი გოლი საკუთარ კარში მიიღეს. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ოპანგომ მასპინძელთა კარის ბადეში მიუჩინა ადგილი და შეხვედრაც საბოლოოდ 1:2 დასრულდა.

ვერ მოიგო გათამაშების ლიდერმა „სერვეტმა", რომელიც „სენტ გალენს" სტუმრობდა. შეხვედრა ფრედ — 0:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ „სერვეტი" 52-ე წუთიდან ათი კაცით თამაშობდა, მსაჯმა უხეშობა ვარელას არ აპატია. ეს ფრე ლიდერისთვის ზედიზედ მეორე იყო.

„გრასჰოპერის" მარცხით ისარგებლეს „ქსამაქსმა" და „ლოზანამ". „ქსამაქსმა" შინ „ბაზელი" 3:1 დაამარცხა, თუმცა 90-ე წუთამდე ანგარიში 1:1 იყო. ხოლო „ლოზანამ" ასევე საკუთარ მინდორზე 2:1 მოუგო „არაუს".

ფრედ 1:1 დასრულდა „ლუგანო" — „ლუცერნის" შეხვედრა. თუმცა მოსალოდნელია, რომ „ლუცერნს" 3:0 მოგება ჩაეთვლება, რადგან მატჩის 82-ე წუთზე მასპინძელთა მწვრთნელმა კარლ ენგელმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა — მინდორზე მეექვსე უცხოელი შეიყვანა, დებულების თანახმად კი ხუთის ყოლაა ნებადართული. ამ საკითხზე შესაბამისი კომისია კვირის დასაწყისში იმსჯელებს და განაჩენსაც გამოიტანს.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 17 | 10 | 6 | 1 | 31:19 | 36 |
| ქსამაქსი | 17 | 7 | 8 | 2 | 28:18 | 29 |
| გრასჰოპერი | 17 | 8 | 5 | 4 | 29:20 | 29 |
| ლოზანა | 17 | 8 | 5 | 4 | 30:29 | 29 |
| ციურიხი | 17 | 7 | 6 | 4 | 23:16 | 27 |
| სენტ გალენი | 17 | 7 | 4 | 6 | 29:24 | 25 |
| ბაზელი | 17 | 6 | 3 | 8 | 15:27 | 21 |
| ლუგანო | 17 | 4 | 7 | 6 | 29:29 | 19 |
| ლუცერნი | 17 | 4 | 6 | 7 | 21:24 | 18 |
| სიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:32 | 17 |
| იანგ ბოისი | 17 | 3 | 5 | 9 | 28:28 | 14 |
| არაუ | 17 | 2 | 4 | 11 | 23:37 | 10 |

## პორტუგალია

X ტური

**ბეირა მარი 2:1 კამპომაიორენსე**

1:0, 2:0 სიმიჩი (15, 40), 2:1 მონტანინი (43)

**ფარენსე 0:1 რიუ ავე**

0:1 ბრაგა (37)

**მარიტიმუ 1:1 ამადორა**

1:0 ბუნბურუ (77), 1:1 ჟილბერტუ (87პ)

**ალვერკა 2:1 აკადემიკა**

1:0 ფრიეტასი (45), 2:0 აზევედუ (77), 2:1 აბაზაი (84)

**უნიაუ 0:1 სეტუბალი**

0:1 კასუმოვი (45)

**გიმარაეში 1:1 სპორტინგი**

0:1 იორდანოვი (24), 1:1 პაივა (61)

**ბოავიშტა 4:1 შავეში**

1:0 კოუტუ (29), 2:0 ტიმოფტე (44პ), 2:1 სება (48), 3:1 ტიმოფტე (77პ), 4:1 კვამე (86)

**ბრაგა — პორტუ**

*გვიან გაიმართა*

**სალგეირუში — ბენფიკა**

*გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 10 | 7 | 3 | 0 | 16:4 | 24 |
| სპორტინგი | 10 | 6 | 4 | 0 | 18:6 | 22 |
| პორტუ | 9 | 6 | 1 | 2 | 21:8 | 19 |
| უნიაუ | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 15:6 | 17 |
| ამადორა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:12 | 17 |
| სალგეირუში | 10 | 3 | 5 | 2 | 13:13 | 14 |
| ალვერკა | 10 | 2 | 6 | 2 | 10:13 | 12 |
| რიუ ავე | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | 12 |
| შავეში | 10 | 3 | 3 | 4 | 13:18 | 12 |
| სეტუბალი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:14 | 12 |
| ბეირა მარი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:12 | 10 |
| გიმარაეში | 10 | 2 | 3 | 5 | 15:14 | 9 |
| კამპომაიორენსე | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | 9 |
| ბრაგა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | 9 |
| აკადემიკა | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| მარიტიმუ | 10 | 1 | 4 | 5 | 10:14 | 7 |
| ფარენსე | 10 | 2 | 1 | 7 | 9:18 | 7 |

## თურქეთი

მე-11 ტური: ბურსა — ქოჯაელი 2:1; დარდანელი — გალათასარაი 0:5; ბეშიქთაში — ადანა 2:0; ალთაი — ისთანბული 2:1; გაზიანთეფი — ერზურუმი 3:0; საქარია — სამსუნი 0:1; ანკარაგიუჯიუ — გენჩლერბირლიგი 0:1; ტრაბზონი — ქარაბუქი 1:0; ანთალია — ფენერბაჰჩე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 11 | 8 | 3 | 0 | 24:10 | 27 |
| გალათასარაი | 11 | 8 | 2 | 1 | 35:10 | 26 |
| ტრაბზონი | 11 | 6 | 3 | 2 | 16:8 | 21 |
| გენჩლერბირლიგი | 11 | 7 | 0 | 4 | 19:14 | 21 |
| ფენერბაჰჩე | 11 | 6 | 2 | 3 | 25:11 | 20 |
| ქოჯაელი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:13 | 20 |
| გაზიანთეფი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:9 | 18 |
| ანთალია | 11 | 5 | 3 | 3 | 14:11 | 18 |
| ისთანბული | 11 | 5 | 2 | 4 | 17:15 | 17 |
| ბურსა | 11 | 5 | 2 | 4 | 17:19 | 17 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 4 | 1 | 6 | 14:16 | 13 |
| ერზურუმი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:25 | 12 |
| ალთაი | 11 | 3 | 2 | 6 | 17:22 | 11 |
| სამსუნი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:22 | 11 |
| ადანა | 11 | 2 | 2 | 7 | 6:16 | 8 |
| ქარაბუქი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:20 | 7 |
| საქარია | 11 | 1 | 3 | 7 | 9:20 | 6 |
| დარდანელი | 11 | 0 | 4 | 7 | 2:17 | 4 |

## ალბანეთი

მე-9 ტური: აპოლონია — პარტიზანი 1:0; ლაჩი — ფლამურტარი 4:2; ბილიში — ლუშნია 1:0; სკენდერბუ — ელბასანი 2:0; დინამო — ტირანა 0:3; შკუმბინი — ბურელი 1:0; ტეუტა — ბესა 2:0; ტომორი — ვლაზნია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბილიში | 9 | 6 | 0 | 3 | 12:8 | 18 |
| ტირანა | 9 | 5 | 2 | 2 | 12:10 | 17 |
| ლუშნია | 9 | 5 | 1 | 3 | 21:11 | 16 |
| ვლაზნია | 9 | 5 | 1 | 3 | 13:7 | 16 |
| დინამო | 9 | 4 | 3 | 2 | 16:15 | 15 |
| ლაჩი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 14 |
| ელბასანი | 9 | 4 | 1 | 4 | 8:8 | 13 |
| პარტიზანი | 9 | 3 | 4 | 2 | 9:10 | 13 |
| ტეუტა | 9 | 4 | 1 | 4 | 10:18 | 13 |
| ტომორი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:5 | 12 |
| შკუმბინი | 9 | 4 | 0 | 5 | 7:10 | 12 |
| ბესა | 9 | 4 | 0 | 5 | 8:12 | 12 |
| სკენდერბუ | 9 | 3 | 0 | 6 | 12:13 | 9 |
| აპოლონია | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | 9 |
| ბურელი | 9 | 2 | 1 | 6 | 15:17 | 7 |
| ფლამურტარი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:13 | 7 |

# ბლატერმა ბრძანა

ფრანგული „ლე ფიგაროს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ფიფას პრეზიდენტის, ზეპ ბლატერის ინტერვიუ, რომელშიც იგი ამბობს, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი აფრიკაში უნდა გაიმართოს.

— თუ აფრიკა ამოცანას თავს გაართმევს ანუ ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მერწმუნეთ, დიდებული ჩემპიონატი გველის — ბრძანებს პრეზიდენტი — ამ კონტინენტს ფეხბურთისთვის იმდენი გაუღია, რომ მსოფლიოს პირველობის მასპინძლობას იმსახურებს.

ბლატერი ნიადაგ იმას ცდილობს, დაინტერესებულ ხალხს „შავი კონტინენტის" სასარგებლო არგუმენტები შესთავაზოს. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრთან, ტონი ბლეირთან შეხვედრის დროსაც მას აფრიკელთა მხარდასაჭერად ბევრ საკითხზე ჩამოუგდია სიტყვა.

გარდა ამისა, „ლე ფიგაროს" ფურცლებიდან პრეზიდენტი გვამცნობს, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ერთდროულად ორი ქვეყნისთვის, იაპონიისა და კორეისთვის ბოძება შეცდომა იყო.

— ეს აღარ უნდა განმეორდეს. აბა კითხეთ ჰოლანდიელებსა და ბელგიელებს უხარიათ თუ არა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთობლივი მასპინძლობა. თუ გულწრფელად გიპასუხებენ, „არა"-ს იტყვიან, რადგან თანამასპინძლობა სირთულეებს იწვევს. ვინ უნდა უმასპინძლოს ფინალს? ვინ უნდა უმასპინძლოს გახსნის შეხვედრას? ბოლოს და ბოლოს, კორეას და იაპონიას ხომ ურთიერთ ანტიპათიის ძველი ტრადიცია აქვთ.

ბლატერმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა მექსიკაში დანიშნულ კონფედერაციათა თასს უგანა.

— როდესაც ფიფას დამაარსებელი და მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანა, გარეგანი ზეწოლის გამო, მსოფლიოს ჩემპიონატიდან ორ თვეში შეჯიბრებაზე უარს ამბობს, ძალიან სამწუხაროა — დასძინა პრეზიდენტმა.

საფრანგეთმა, მოგეხსენებათ, კონფედერაციათა თასზე თამაში იმიტომ იუარა, რომ ეს ტურნირი 8-20 იანვრისთვისაა დანიშნული, მისი საუკეთესო მოთამაშეები კი ამ დროს თავიანთ, ფრანგულ თუ უცხოურ კლუბებში ძლიერ დაკავებულნი არიან.



იოზეფ ბლატერი

## პოლონეთი

მე-14 ტური. ვისლა — გურნიკი 2:1; ხოჟუვი — ლკს 1:2; ვიძევი — ლეხი 3:0; ამიცა — ზაგლებიე 2:1; რაძიონკოვი — სტომილი 1:0; გკს (ბელხატოვი) — პოგონი 2:0; გკს (კატოვიცე) — პოლონია 1:3; ლეგია — ოდრა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 13 | 12 | 1 | 0 | 32:10 | 37 |
| ლეხი | 13 | 10 | 0 | 3 | 32:13 | 30 |
| ლეგია | 13 | 7 | 3 | 3 | 20:14 | 24 |
| ამიცა | 13 | 6 | 2 | 5 | 21:17 | 20 |
| გურნიკი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:16 | 20 |
| რაძიონკოვი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | 19 |
| ვიძევი | 13 | 6 | 1 | 6 | 23:18 | 19 |
| პოლონია | 13 | 5 | 3 | 5 | 20:21 | 18 |
| რუხი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:21 | 18 |
| გკს (კ) | 14 | 5 | 1 | 8 | 14:23 | 16 |
| გკს (ბ) | 13 | 5 | 1 | 7 | 16:23 | 16 |
| პოგონი | 13 | 4 | 3 | 6 | 20:23 | 15 |
| ლკს | 13 | 3 | 4 | 6 | 14:22 | 13 |
| სტომილი | 13 | 3 | 2 | 8 | 10:20 | 11 |
| ზაგლებიე | 13 | 2 | 4 | 7 | 20:28 | 10 |
| ოდრა | 13 | 1 | 5 | 7 | 14:24 | 8 |

## ჰოლანდია

XII ტური

**ჰერენვენი 2:0 სიტარდი**

1:0 ტალანი (14), 2:0 სამარჯიჩი (20)

**ტვენტე 2:2 ეინდჰოვენი**

1:0 ავესტი (1), 1:1 ივანი (6), 2:1 ბოსმანი (68), 2:2 ვან ნისტელროოი (86)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, სკერლა, ნიკიფოროვი, ოიენი, ხოხლოვი (ბრუგინკი 76), ვან დერ დოელენი (კოლკა 73), ფუჩსი, ივანი (დე ბილდე 87), ნილისი, ვან ნისტელროოი

**სპარტა 0:0 მაასტრიხტი**

**ალკმაარი 1:1 აიაქსი**

0:1 ბენი (29), 1:1 მუტსაერსი (85)

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, სპლინტერი, ფ. დე ბური, სიერი, დანი, რ. დე ბური (გორი 68), ვიჩხე, ბენი, ვამბერტო (გრონკიაერი 46, ჰუქსტრა 80), ქინქლაძე

**ვიტესი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 მახლასი (48)

**გრააფსხაპი 2:2 ტილბურგი**

1:0 ტუმბა (47), 2:0 გერიტსენი (55), 2:1 ბომბარდა (69), 2:2 არტსი (83პ)

**როდა 1:0 კამბური**

1:0 ვან უდტი (16)

**ვალვაიკი 2:5 უტრეხტი**

0:1 მოლსი (22), 1:1 დე გრაეფი (45), 1:2, 1:3 მოლსი (51, 63), 2:3 ლანკორი (70), 2:4 დე იონგი (83), 2:5 რობემონდი (84პ)

**ბრედა 1:1 ფეიენოორდი**

1:0 ტომასონი (12), 1:1 სტიუარტი (42)

*მატჩი შეწყდა მინდვრის უვარგისობის გამო*

ჩემპიონატის დაწყებამდე სპეციალისტები უპირატესობას ამსტერდამის „აიაქსს“ ანიჭებდნენ — წლეულსაც ოლსენის ბიჭები გახდებიან პირველებიო. დაიწყო ჩემპიონატი და მოულოდნელად წინ „ფეიენოორდი“ გაიჭრა, რომელიც საკმაოდ დიდხანს ლიდერობდა. „აიაქსიც“ ვერ თამაშობდა სათანადოდ და ამის შემყურე სპეციალისტებმა ფავორიტთა რიცხვი ორამდე გაზარდეს — ამსტერდამელებს თუ ვინმე შეეცილება, „ფეიენოორდიო“. შემდეგ როტერდამელებმაც უკლეს და აი, მე-12 ტურის მერე გათამაშების ცხრილს, ყველას გასაკვირად, „ჰერენვენი“ ჩაუდგა სათავეში, რომელმაც კვირას „სიტარდს“ სძლია 2:0.

არადა, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგამომცხვარ ლიდერს ძლიერ გაუმართლა — ან „აიაქსს“ რომ მოეგო, ან „ტვენტეს“, ანაც ბრედაში არჩილ არველაძის გუნდისა და „ფეიენოორდის“ შეხვედრა რომ არ შეწყვეტილიყო და სტუმრებს ემარჯვათ, „ჰერენვენი“ ახლა ასეთ უჩვეულო ადგილზე არ იქნებოდა.



ალკმაარი — აიაქსი. გიორგი ქინქლაძემ (მარჯვნივ), როგორც იქნა ძირითადში ითამაშა

„აიაქსით“ დავიწყოთ. ტრავმირებული შოთა არველაძის გარეშე დარჩენილი ამსტერდამელები „ალკმაარს“ ეწვივნენ და სამხრეთაფრიკელი ბენედიქტ მაკართის 29-ე წუთზე გატანილი გოლის შემდეგ იგებდნენ კიდეც, მაგრამ ეს ანგარიში ვერ შეინარჩუნეს — მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ჯონ მუტსაერსმა გაქვითა, თავისიანებს ქულა მოუტანა, სტუმრებს კი ორი დააკარგვინა.

„ბრედასა“ და „ფეიენოორდის“ შეხვედრა შეწყდა. მსაჯმა დიკ იოლმა 67-ე წუთზე მოთამაშეებს განუცხადა, მინდვრის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და შეიძლება ტრავმა მიიღოთო. ამ დროს ანგარიში 1:1 იყო.

თბილისის „დინამოელთა“ ძველზე ძველი ნაცნობი „ტვენტე“ გოგა გახოკიძის „ეინდჰოვენს“ ორჯერ უგებდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ფრეს მიაღწია. პირველივე წუთზე ავესტის გატანილს ხუთ წუთში ივანმა უპასუხა, ხოლო ბოსმანის 68-ე წუთზე ნაშრომი მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ნიკოს მახლასთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რუუდ ვან ნისტელროიმ გადაყარა წყალში.

ამრიგად, ზემოხსენებულმა გუნდებმა თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს და ახლა უსახურ „ჰერენვენს“ მისდევენ კუდში. თუმცა ორ კლუბს კვლავ შეუძლია ლიდერად ქცევა — „ფეიენოორდს“, რომელსაც 10 თამაშიდან 23 ქულა აქვს და „ვიტესს“ — 11 მატჩიდან ასევე 23 ქულა. ჯერჯერობით კი ჰოლანდიის პირველობის სათავეში ყოფნით „ჰერენვენი“ იწონებს თავს.

ნოდარ ძასრაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერენვენი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:12 | 25 |
| აიაქსი | 12 | 7 | 3 | 2 | 27:9 | 24 |
| ტვენტე | 12 | 7 | 3 | 2 | 18:12 | 24 |
| ფეიენოორდი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:10 | 23 |
| ვიტესი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:11 | 23 |
| როდა | 11 | 5 | 3 | 3 | 16:12 | 18 |
| ალკმაარი | 12 | 4 | 6 | 2 | 20:19 | 18 |
| ნაიმეგენი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:17 | 16 |
| ტილბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 21:21 | 16 |
| ეინდჰოვენი | 11 | 4 | 3 | 4 | 22:20 | 15 |
| უტრეხტი | 12 | 4 | 3 | 5 | 23:21 | 15 |
| მაასტრიხტი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:18 | 14 |
| გრააფსხაპი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:20 | 14 |
| სპარტა | 12 | 3 | 2 | 7 | 13:21 | 11 |
| ბრედა | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | 9 |
| კამბური | 12 | 2 | 3 | 7 | 12:24 | 9 |
| სიტარდი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:22 | 8 |
| ვალვაიკი | 12 | 0 | 3 | 9 | 11:26 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მახლასი (ვიტესი) | 10 |
| ვან ნისტელროოი (ეინდჰოვენი) | 10 |
| ვან უდტი (როდა) | 8 |
| ლანგერაკი (ალკმაარი) | 7 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 7 |

## ბელგია

XIII ტური

**ოსტენდე 0:2 ანდერლეხტი**

0:1 ზეტერბერგი (62პ), 0:2 გოერი (88)

**სტანდარდი 1:0 ლომელი**

1:0 გოდფრუა (51)

სტანდარდი: რუნიე, აფობალი, ბილიჩი, ბლეი (გოდფრუა 37), მედვედი, ალიაი, რემაკლი, ერნსტი, ფილა (ჰალდერმანსი 62), დე კონდე, მბო მპენზა (ლუკენკუ 83)

**გენტი 1:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 ენგლებერი (45), 1:1 დეგრიზი (48)

**გენკი 3:2 ეკერენი**

1:0 ორიჯი (10), 1:1 ჰოფმანსი (44), 2:1 ულარი (67), 3:1 ჰენდრიკსი (77), 3:2 მარეი (78)

**შარლერუა 1:3 ვესტერლო**

1:0 გეიე (25), 1:1 ბერგი (44), 1:2 პორტი (73), 1:3 მიტროვიჩი (76)

**ბევერენი 1:4 მუსკრონი**

1:0 ზევლაკოვი (1), 1:1 ბანი (51), 1:2 ელ იდრისი (71), 1:3 კასტო (88), 1:4 ვიდოვიჩი (90)

**ლიერსი 3:1 ჰარელბეკი**

0:1 ზანგიონოვი (15), 1:1 ვან მეირი (17), 2:1 კავენსი (45), 3:1 ვან მეირი (51)

ლიერსი: მენცო (დემანი 89), ბროკენი, ჰოფკინსი, ვან მეირი, დაემსი, სერნეელსი, ლარემანსი (ვან დე ვეიერი 73), ზდებელი, ჰააგდორენი (სომერსი 64), ჰუისმანსი, კავენსი

**აალსტი 3:3 ლოკერენი**

0:1 კოლერი (4), 1:1 დე ოლივეირა (9), 2:1 ვან დერ ჰეიდენი (29), 2:2 ვან გენეუგდენი (40 პ), 3:2 დიასი (62), 3:3 ურბანი (72 პ)

**კორტრაიკი 2:4 ბრიუგე**

1:0 დემკინი (10), 1:1 კლასენსი (24), 1:2 დე კოკი (45), 1:3 ვერმანტი (48), 1:4 კლასენსი (56), 2:4 ჰეიმანსი (83)

ბელგიის მე-13 ტურმა განსაკუთრებული სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. მოიგეს ქართველი ლეგიონერების გუნდებმაც, თუმცა ჩვენებურები არც ამჯერად გამოსულან მინდორზე.

„ბრიუგე“ ჩემპიონატის აუტსაიდერს კი სტუმრობდა, მაგრამ უეფას თასზე გერმანულ „შტუტგარტთან“ დამღლელი თამაშის შემდეგ კორტრაიკშიც თუ გაიმარჯვებდა, ძნელი სათქმელი იყო. ყოველ შემთხვევაში, მატჩის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. მასპინძლები უკვე მე-10 წუთზე დაწინაურდნენ და თავიანთ ფანებს იმედიც მისცეს. თუმცა ქვეყნის ჩემპიონი გონს მალე მოეგო და კლასენსმა ფადიგას ჩაწოდებულის მერე თავურით წონასწორობაც აღადგინა. გაშვებულმა გოლმა „კორტრაიკი“ ვერ გატეხა და შეტევაზეც გადავიდა, მაგრამ გუნდის მთავარი ბომბარდირი კეიტას არყოფნა მასპინძლებს ძალიან ეტყობოდათ. ბრიუგელები კი ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ. ახალგაზრდა დე კოკმა 25 მეტრიდან ბურთი ცხრიანში გაახვია. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე კლასენსმა, იანკაუსკასმა და ვერმანტმა მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც „ბრიუგეს“ მესამე გოლით დამთავრდა. მეოთხე ბურთი კი კვლავ კლასენსმა გაიტანა და კვლავ თავურით. მატჩის ბოლოს „კორტრაიკმა“ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო, მაგრამ სეზონის მე-9 მარცხს მაინც ვერ გადაურჩა.

გენკში თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა ოლივიერის ჩაწოდებულზე ყველაზე მაღლა კენიელი ორიჯი ახტა და ბურთი თავურით „ეკერენის“ კარში მოათავსა. ტაიმი მთავრდებოდა, მასპინძელთა უნგრელი მეკარის, ბროკჰაუზერის მუშტებით მოგერიებულ ბურთს ჰოფმანსმა რომ თავი დაჰკრა და მეტოქეებიც შესვენებაზე დაზავებულნი გავიდნენ — 1:1. მეორე ტაიმში ულამაზესი გოლით „გენკი“ ულარიმ დააწინაურა, რასაც ჰოფმანსის კიდევ ერთი, ოღონდ ამჯერად მსაჯისგან ჩაუთვლელი, გოლი მოჰყვა. მალე კი, ორ წუთში, მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს და „გენკმაც“ მოგებულმა დატოვა მინდორი.

ხორვატი მწვრთნელის, ივიჩის, ხელში „სტანდარდი“ მშვენივრად გამოიყურება. ლიეჟელებმა ბოლო ექვს მატჩში თვრამეტი შესაძლებლიდან 16 ქულა აიღეს და მესამე ადგილამდეც აღზევდნენ. ლაშა ჯაკობიას გუნდს მარცხის სიმწარე 20 სექტემბრის მერე აღარ განუცდია. მატჩის ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესული გოდფრუას ანგარიშზეა. „სტანდარდმა“ ასე თუ გააგრძელა, მისი სახით „ბრიუგესა“ და „გენკს“ საშიში კონკურენტი ეყოლებათ ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. „ბოდიშს ვუხდი მაყურებელს, რადგან სანახაობრივი თამაშით ვერ ვასიამოვნეთ. თუმცა ჩემი ფეხბურთელებისთვის გატანილი გოლის შემდეგ დაცვაში ჩაჯდომა ნამდვილად არ მითხოვია“ — თავი იმართლა ივიჩმა მატჩის მერე.

გელა შეყილაძის „ლიერსმა“ „ჰარელბეკს“ მოუგო, თუმცა თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. „ლიერსის“ მწვრთნელი მეუვსიც თავისი ხორვატი კოლეგასავით საკუთარი შეგირდების თამაშით იმედგაცრუებული იყო გამარჯვების მიუხედავად: „კმაყოფილი ვარ, მიუხედავად უფერული მატჩისა. კომბინაციური თამაში და თავისუფალი ზონების გამოყენება ვერ მოვახერხეთ. იმედია, ამ შეცდომებს მომავალ შეხვედრებში აღარ გავიმეორებთ.“

დავით სიჭინავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 13 | 9 | 2 | 2 | 27:12 | 29 |
| გენკი | 13 | 9 | 2 | 2 | 25:14 | 29 |
| ვესტერლო | 13 | 8 | 1 | 4 | 33:22 | 25 |
| სტანდარდი | 13 | 8 | 1 | 4 | 21:10 | 25 |
| ლოკერენი | 13 | 7 | 3 | 3 | 30:18 | 24 |
| სტ. ტრუიდენი | 13 | 6 | 3 | 4 | 18:12 | 21 |
| ანდერლეხტი | 13 | 5 | 5 | 3 | 21:19 | 20 |
| მუსკრონი | 13 | 5 | 5 | 3 | 24:23 | 20 |
| ლიერსი | 13 | 6 | 1 | 6 | 22:22 | 19 |
| აალსტი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:21 | 19 |
| გენტი | 13 | 4 | 5 | 4 | 21:27 | 17 |
| ეკერენი | 13 | 4 | 2 | 7 | 21:23 | 14 |
| ბევერენი | 13 | 4 | 2 | 7 | 17:23 | 14 |
| შარლერუა | 13 | 3 | 5 | 5 | 18:18 | 14 |
| ლომელი | 13 | 3 | 2 | 8 | 14:19 | 11 |
| ჰარელბეკი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:24 | 10 |
| ოსტენდე | 13 | 1 | 4 | 8 | 9:33 | 7 |
| კორტრაიკი | 13 | 1 | 3 | 9 | 19:37 | 6 |

# არავითარი გადათამაშება!

განაჩენი სასტიკია: „ფიორენტინა“ გაძევებულია უეფას თასის 1998-99 წლების გათამაშებიდან.

შემდეგ ეტაპზე ბრძოლას შვეიცარიული „გრასჰოპერი“ განაგრძობს, რომელიც მერვედფინალში ფრანგულ „ბორდოს“ შეხვდება.

შევახსენებთ იტალიური გუნდის დასჯის მიზეზს: მისი და „გრასჰოპერის“ მეთექვსმეტედფინალური, საპასუხო შეხვედრის დროს, როდესაც ანგარიში 2:1 იყო ფლორენციელთა სასარგებლოდ, ტრიბუნიდან ნასროლმა და აფეთქებულმა საგანმა (ზოგი ვერსიით სანთებელამ) დააშავა თანამსაჯი. შეხვედრა შეწყდა.

პირველი მატჩის ანგარიში გახლდათ 2:0 „ფიორენტინას“ სასარგებლოდ.

ამრიგად, თითქმის იოლად დაძლეული მეთექვსმეტედფინალური ეტაპი იტალიელთათვის, ვიღაც გულშემატკივრის ხულიგნური ვნებების გამო, გადაულახავი გამოდგა.

თავიდან იყო ლაპარაკი, რომ შეხვედრას გადაათამაშებდნენ, მაგრამ საბოლოოდ უეფამ უკიდურესი ზომის მიღება ამჯობინა.

უეფას პოზიცია გასაგებია. „ფიორენტინასა“ და „გრასჰოპერის“ შეხვედრა ხომ ფლორენციის ნაცვლად ქალაქ სალერნოში მიმდინარეობდა, რადგან ფლორენციის „არტემიო ფრანკის“ სახელობის სტადიონი 1997 წლის ინციდენტის გამო დისკვალიფიცირებული გახლდათ. გავიხსენოთ ეს ინციდენტიც: თასების თასის 1996-97 წლის გათამაშების ნახევარფინალში, სადაც „ფიორენტინა“ „ბარსელონას“ ეთამაშებოდა, ფლორენციელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნიდან ბოთლების სროლა დაიწყეს. ერთი ბოთლი „ბარსელონას“ იმდროინდელ მწვრთნელს, ინგლისელ ბობი რობსონს მოხვდა.

შესაბამისად, „გრასჰოპერთან“ შეხვედრის გადათამაშება მესამე ქალაქის მოძებნასა და ტიფოზების დაუსჯელობას ნიშნავდა.

უეფას მკაცრმა ვერდიქტმა „ფიორენტინას“ ხელმძღვანელები გაანაწყენა. კლუბის მენეჯერმა ლუჩანო ლუნამ განაცხადა:

— ხომ დადგინდა, რომ ცეცხლოვანი საგანი თანამსაჯს კი არა, ჩვენს ფეხბურთელებს ესროლეს, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია! ახლა საშუალება გვაქვს თავი დავიცვათ.

როგორც ირკვევა, ის, რომ საგანი ფეხბურთელებს ესროლეს, უეფას უკვე გაითვალისწინა, თორემ კლუბს ევროთასების მომდევნო ორ გათამაშებაში მონაწილეობის აკრძალვა ემუქრებოდა.

თითქოს პოლიციამ გამოიკვლია, რომ იხულიგნა არა ფლორენციელმა, არამედ სალერნოელმა ქომაგმა, რომელსაც „ფიორენტინასთვის“ „სალერნიტანასთან“ 4:0 გამარჯვება ვერ ეპატიებინა.

— ჩვენ უდანაშაულონი ვართ — ამბობს კლუბის ვექილი ნინო დავერო.

მონტე კარლოს ტელევიზიამ, რომლის პატრონიც „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი გახლავთ, ეს ისტორია ჰოლანდიისა და კვიპროსის ნაკრებების 1987 წლის შეხვედრის ამბავს შეადარა. მაშინ, 87-ში, როტერდამში ჰოლანდიელებს გამარჯვება სჭირდებოდათ, რათა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულიყვნენ. მატჩის დროს მავანმა როტერდამელმა ხულიგანმა მეტოქის მეკარეს სახეში მაშხალა გაარტყა. უეფამ თავიდან მასპინძელთა გამარჯვება 8:0 კვიპროსელების მოგებად ჩათვალა, მაგრამ მერე გადათქვა და შეხვედრის ხელმეორედ, ოღონდ უმაყურებლო სტადიონზე გამართვა ბრძანა. უმაყურებლო მატჩში ისევ ჰოლანდიამ იმარჯვა — 4:0.

— არადა, „ბორდოსთან“ თამაშს „ფიორენტინა“ იმსახურებდა — თქვა ფრანგული გუნდის ვიცე-მენეჯერმა მარიუს ტრეზორმა.

**მიხეილ სურგულაძე**



„ფიორენტინას“ თავკაცები ლუჩანო ლუნა და ჯანკარლო ანტონიონი იმედის ხავსს ებღაუჭებიან

**EURO 2000**

**ჩვენი ჯგუფი**

### ზოგს წასვლა აქარებს, ზოგს დარჩენა

ნორვეგიის ნაკრები 18 ნოემბერს ეგვიპტეს ესტუმრება ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ნორვეგიელთა შემადგენლობაში სიახლეა: პირველად ითამაშებს 19 წლის თავდამსხმელი ჯონ კერიუ, რომელმაც ამ შემოდგომაზე, ახალგაზრდული ნაკრების მაისურით, ალბანელ და სლოვენ თანატოლებს ექვსი გოლი გაუტანა.

— ბოლო დროს, როგორც ახალგაზრდულ გუნდში, ასევე „ვალერენგას“ შემადგენლობაში მან ისე კარგად ითამაშა, რომ უთუოდ ღირსია ეროვნულ ნაკრებშიც მოვასინჯინოთ ძალა — განაცხადა ნორვეგიელთა მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბმა.

ეგვიპტეში არ ჩავა ინგლისური „ლივერპულის“ მცველი სტიგ ინგე ბიორნებიუ. იგი ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობას დაეთხოვა, ოჯახთან დროს ვეღარ ვატარებ და იქნებ, ამჯერად შელავათი გამიწიოთო.

## ავსტრია

მე-15 ტური. ლუსტენაუ — რიდი 0:2, გრაცერი — შტურმი 0:5, ლინცერი — შტაირი 2:1, ზალცბურგი — აუსტრია 2:0, რაპიდი — ტიროლი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 15 | 11 | 1 | 3 | 32:10 | 34 |
| ლინცერი | 15 | 10 | 2 | 3 | 29:16 | 32 |
| რაპიდი | 15 | 9 | 4 | 2 | 24:10 | 31 |
| გრაცერი | 15 | 9 | 3 | 3 | 21:13 | 30 |
| აუსტრია | 15 | 5 | 4 | 6 | 16:20 | 19 |
| ტიროლი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:19 | 17 |
| ზალცბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 21:24 | 17 |
| რიდი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:18 | 15 |
| ლუსტენაუ | 15 | 1 | 5 | 9 | 11:31 | 8 |
| შტაირი | 15 | 1 | 2 | 12 | 12:37 | 2 |

*შტაირს დაკლებული აქვს სამი ქულა.*

## სლოვენია

მე-13 ტური. კოროტანი — ბელტინჩი 5:0; მურა — ტრიგლავი 4:0; ოლიმპია — დომზალე 5:0; კოპერი — ველენიე 1:0; მარიბორი — აიდოვშინა 1:1; ნოვა გორიცა — ცელიე გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 13 | 9 | 3 | 1 | 31:11 | 30 |
| ნოვა გორიცა | 12 | 8 | 2 | 2 | 25:11 | 26 |
| მურა | 13 | 6 | 4 | 3 | 25:14 | 22 |
| ოლიმპია | 13 | 6 | 2 | 5 | 24:21 | 20 |
| აიდოვშინა | 13 | 4 | 4 | 5 | 13:13 | 16 |
| კოროტანი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | 16 |
| ბელტინჩი | 13 | 5 | 1 | 7 | 16:25 | 16 |
| ველენიე | 13 | 4 | 3 | 6 | 13:15 | 15 |
| ცელიე | 12 | 3 | 5 | 4 | 11:14 | 14 |
| კოპერი | 13 | 4 | 2 | 7 | 14:24 | 14 |
| დომზალე | 13 | 3 | 4 | 6 | 11:22 | 13 |
| ტრიგლავი | 13 | 1 | 6 | 6 | 10:21 | 9 |

## საფრანგეთი

XII ტური

**მარსელი 1:0 მონაკო**

1:0 მორისი (90)

**ბორდო 3:1 ტულუზი**

1:0 ვილტორდი (19), 2:0 ბენარბია (38), 2:1 ოსეანუ (58), 3:1 ვილტორდი (90)

**რენი 4:0 სოშო**

1:0 ბარდონი (30), 2:0 ნონდა (34), 3:0 ფლაშესი (55 ს.კ.), 4:0 ბარდონი (89 პ)

**ოსერი 1:1 ნანტი**

1:0 კარნო (15), 1:1 სიბიერსკი (16)

**მეცი 3:2 ლიონი**

1:0, 2:0 როდრიგესი (20, 28), 2:1 კოკარი (44), 3:1 ტუა (45), 3:2 კანუტე (88)

**მონპელიე 2:1 პსჟ**

1:0 დელეი (30), 2:0 ძიდიჩი (46), 2:1 ოკოჩა (65)

**ბასტია 2:1 ლორიანი**

0:1 კამადინი (2), 1:1 ანდრე (28 პ), 2:1 ნე (50)

**ლე ავრი 3:1 ლანსი**

1:0 ბეკანოვიჩი (36), 1:1 ელუა (73), 2:1 მერიდი (82 ს.კ.), 3:1 მამუნი (90)

**სტრასბური 1:2 ნანსი**

0:1, 0:2 კასკარინო (14, 26), 1:2 კოლე (86)

# რენი აღარ ხუმრობს

„მარსელმა" ამ ჩემპიონატში პირველად ითამაშა ლიდერის როლში და თავიც არ შეირცხვინა — პირველი ადგილი შეინარჩუნა. „ბორდოს" „ტულუზთან" გამარჯვების შემდეგ ისევ ორად ორი ქულა აშორებს კონკურენტისგან, ხოლო „სოშოსთან" დიდი ანგარიშით გამარჯვებული „რენი" კვლავ მესამეა 26 ქულით. დანარჩენი კი ამ სამ გუნდს უკვე საკმაოდ ჩამორჩნენ. მეოთხე ადგილზე მყოფი „მონაკო" „მარსელთან" უკვე 10 ქულას აგებს. ვერც „ოსერი" დაეწია წინწასულებს, რადგან სეზონში პირველად ვერ გაიმარჯვა შინ და „ნანტთან" ფრეს დასჯერდა. ამ ტურში სტუმრად მხოლოდ „ნანსიმ" შეძლო გამარჯვების მოპოვება და მე-12 ადგილზე აინაცვლა. „მეცმა" და „ლე ავრმა" შესაბამისად „ლიონი" და „ლანსი" დაამარცხეს და გათამაშების ცხრილის საშიშ ზონასაც გასცდნენ. ეს ტური კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ თითქმის ყველა თამაში მეტად უხეშად წარიმართა, რის გამოც მსაჯებმა 7 ფეხბურთელი გააძევეს, რაც სეზონის რეკორდია.

ტურის გუნდი კი უდავოდ „მარსელია". „ოლიმპიკი" მეზობელ „მონაკოს" მასპინძლობდა და მეტად დაძაბულ შეხვედრაში გაიმარჯვა, თუმცა 30-ედან 87-ე წუთამდე რიცხობრივ უმცირესობაში იყო. 30-ე წუთზე უხეშობისთვის პეტერ ლუქსენი გააძევეს, 87-ეზე კი „მონაკოს" ხორვატმა შპეჰარმაც წითელი ბარათი მიიღო. ახლა უფრო დაწვრილებით მატჩის მსვლელობის შესახებ. „მარსელის" კარში პორატო იდგა, რამაც გერმანელი კეპკე ძალიან აღაშფოთა. ფრანგი ჟურნალისტების აზრით, იგი მალე დატოვებს ფრანგულ გუნდს. თავიდან სათამაშო უპირატესობა სტუმართა მხარეს იყო. მასპინძელთაგან მხოლოდ პირესი და ბრანდო ცდილობდნენ თამაშის თავიანთ სასარგებლოდ წარმართვას, სხვები კი პასიურობდნენ. სწორედ პირესი გადიოდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ დიუმამ უხეშად იმთამაშა, თუმცა მსაჯს მისთვის წითელი ბარათი არ უჩვენებია. სამაგიეროდ, 30-ე წუთზე შავონანს წამითაც არ უყოყმანია და ახალგაზრდა ლუქსენი, რომელიც ბოსნიელ კონჯიჩს ისე ჩაუხტა გაშლილი ფეხით, რომ ყველაზე გამოუსწორებელი სერბი ნაციონალისტიც კი გაოცდებოდა, გასახდელის გზას გაუყენა.

ათნი თერთმეტის წინააღმდეგ — „მარსელი" საკმაოდ კარგად იცავდა თავს, მაგრამ ბოლომდე გაძლებდა თუ არა, საკითხავი იყო. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მასპინძლებმა ძალიან მაღალი ტემპი მოახვიეს თავს მეტოქეს, რაც „მონაკოსთვის" ნამდვილად მოულოდნელი იყო და სტუმრებიც ზედიზედ იღებდნენ ყვითელ ბარათებს. ტრეზეგეს და მორისის მოედანზე გასვლამ ცხადყო, რომ ორივე მწვრთნელი მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა. მაგრამ სწორი და იღბლიანი შეცვლა კურბისს გამოუვიდა. მატჩის ბოლო წუთზე კამარამ ასევე შეცვლაზე შესულ გურვენეკს მიაწოდა. ექსნანტელმა ექსლანსელს ქუსლით დაუბრუნა „მონაკოს" საჯარიმოში ბურთი. კამარას კარის გასწვრივ დაბალ პასს მორისი ადგილზე დახვდა და „ველოდრომზე" მოსული 60 000 გულშემატკივრის გასახარად სამი ქულის მომტანი გოლიც გაიტანა. ეს „მარსელის" ზედიზედ მეექვსე მოგება იყო.

„ბორდომ" ზედიზედ მეშვიდე საშინაო მოგება იზეიმა. ამჯერად მას არც ლამაზად უთამაშია, თავიც დაზოგა, ისე დაამარცხა „ტულუზი". გამარჯვების მიუხედავად, მასპინძელთა თავკაცი ელი ბოპი მაინც შეფიქრიანებული იყო, რადგან მისი ფეხბურთელები ძალიან გადაღლილები ჩანდნენ და თუ ასე გაგრძელდა, „მარსელთან" ოქროს მედლებისთვის ბრძოლა გაჭირდება. „ვიცოდით, რომ მეორე ტაიმში დაღლა თავს იჩენდა. საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ, მაგრამ სეზონის დაწყების მერე ყველაზე მეტად ეს თამაში გაგვიძნელდა" — თქვა მატჩის შემდეგ ელი ბოპმა და თავის უფროსობას ახალი ფეხბურთელების ყიდვას სთხოვს. „ფული არ გვაქვს. ახლების მოსაწვევად ერთადერთი საშუალება ვინმეს გაყიდვაა. თუ უეფას თასის მეოთხედფინალში გავალთ, მაშინ კი შევძლებთ მწვრთნელის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თუმცა ძალიან ძლიერი მოთამაშეების ყიდვას მაშინაც ვერ მოვახერხებთ" — განცხადა ჟირონდელთა თანაპრეზიდენტმა ჟანდიდიე ლანჟმა. ჯერჯერობით კი „ბორდოს" ახლების გარეშე მოუწევს ფონს გასვლა და თუ რამდენად შეძლებს ამას, დრო გვიჩვენებს.



მონპელიე — პსჟ. ოკოჩას (მარჯვნივ) გოლი პსჟ-ს ისტორიაში მე-2000 იყო

კვლავ აოცებს ფეხბურთის სპეციალისტებს და გულშემატკივრებს ლე გუენის გაწვრთნილი „რენი". ბრეტონელებმა ზედიზედ მეხუთედ მოახერხეს სამი ქულის აღება. ამჯერად მათ პირველ დივიზიონში წლეულს აღზევებული „სოშო" გაანადგურეს 4:0. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. წლეულს ლისაბონის „სპორტინგიდან" სამშობლოში დაბრუნებული დიდიე ლენგის ჩაწოდებული კუთხური ლისინამ კინაღამ გოლად აქცია. „რენმა" მალე მთლიანად შეძლო მატჩის სადავეების ხელში აღება და 30-ე წუთზე ანგარიში სედრიკ ბარდონმა გახსნა. ექსლიონელმა პატრიკ ვეიზერის მიერ შესრულებული კუთხურის შემდეგ იხეირა. ეს ბარდონის პირველი გოლი იყო ახალი კლუბის შემადგენლობაში. რამდენიმე წუთში კი ნონდამ მეორედ დალაშქრა სტუმართა კარი. საგოლე პასი ანტონი რევეიერმა შეასრულა. მეორე ტაიმში „სოშომ" მატჩის ბედის შემობრუნება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 55-ე წუთზე კი მესამე გოლი ექსპარიზელი სისეს დარტყმას მოჰყვა. ბურთი ფლაშესს მოხვდა და პსჟ-ში სისეს თანაგუნდელი ფერნანდესი უსაქმოდ დარჩა. თამაშს წერტილი კი 89-ე წუთზე ბარდონმა დაუსვა პენალტით. წინა ოთხი გამარჯვებისას „რენი" მეტოქეს მხოლოდ ერთი ბურთით სჯობდა, ამჯერად კი აიწყვიტა და მედლებისთვის ბრძოლაში ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

„სენ სიმფორიენის" სტადიონზე გამართული მატჩი „მეცსა" და „ლიონს" შორის საიუბილეო იყო ლოტარინგიელთა კაპიტნის სილვენ კასტენდოჩისათვის. შაბათ საღამოს მასპინძელთა ლიბერომ მე-500 მატჩი ითამაშა საფრანგეთის პირველ დივიზიონში. თანაგუნდელებმაც იუბილე არ ჩაამწარეს და წლეულს მეორე გამარჯვებაც მოიპოვეს. „ძალიან გვჭირდებოდა მოგება" — თქვა მატჩის შემდეგ კასტენდოჩმა. ორი გოლი „მეცის" კორსიკელმა თავდამსხმელმა ბრუნო როდრიგესმა გაიტანა, ვისაც შარშანდელივით ხშირად ვეღარ გაჰქონდა და ამიტომაც შაბათს ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს.

როდრიგესის კუნძულის გუნდმა კი ლორიანს" მოუგო. „ბასტიას" აშკარად დაეტყო ახალი მწვრთნელის ხელი. კორსიკელებმა მესამე მატჩი ჩაატარეს ახალბედა ლორან ფურნიეს თავკაცობით და შვიდი ქულის მოპოვება შეძლეს. თავიდან სტუმრებმა შეუტიეს და უკვე მეორე წუთზევე დაწინაურდნენ. პედრონ-ბედროსიან-კამადინის კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა და „ლორიანმაც" ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა 28-ე წუთზე გაათანაბრეს — ფრანკ ჟურიეტის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი პიერ-ივ ანდრემ გამოიყენა. თუ ანგარიში ბრეტონული „ლორიანისთვის" კორსიკელმა კამადინიმ გახსნა, მისი გაქვითვა კორსიკული „ბასტიასთვის" ბრეტონელმა ანდრემ შეძლო. გამარჯვების გოლი ნემ გაიტანა პიერ ლორანის ჩაწოდების შემდეგ.

„მონპელიემ" ძირითადის ოთხი კაცი მოისაკლისა დედაქალაქელებთან. ამის გამო იყო, რომ მატჩის დასაწყისიდანვე პსჟ-ს უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ თავდამსხმელები შეტევათა დაგვირგვინებისას ძალიან უნიჭოდ ირჯებოდნენ. უკვე მე-3 წუთზე ნიკოლა უედეკი გავიდა ბრუნო მარტინის შემცვლელ ფლუკლინგერთან პირისპირ, მაგრამ ვერ გაიტანა. ამის მერეც პსჟ უტევდა, მაგრამ „მონპელიეს" მცველები და მეკარე კარგად თამაშობდნენ. 30-ე წუთზე კი მასპინძლებმა მარჯვენა ფლანგზე საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს: რობერის დარტყმულ ბურთს დელეიმ თავი შეაგება და თავისიანებიც დააწინაურა. მეორე საგოლე პასიც რობერმა შეასრულა. მისი მოწოდებული კუთხურიდან ბოდიჩმა ბურთი სტუმართა კარის ბადეში გაგზავნა. 65-ე წუთზე კი ალჟერინოს ჩაწოდებულის შემდეგ ნიგერიელმა ოკოჩამ მაკრატელათი გაქვითა ერთი ბურთი და პსჟ-ს ისტორიაშიც შევიდა, რადგან ეს გოლი პარიზული გუნდის მიერ პირველ დივიზიონში მე-2000 იყო. ამის მეტი დედაქალაქელებმა ვეღარაფერი მოახერხეს და სეზონში მეხუთე მარცხიც იწვნიეს. არტურ ჟორჟეს კი კიდევ ბევრი სამუშაო ელის ძლიერი, შეკრული გუნდის ჩამოსაყალიბებლად.

მომდევნო, მე-13 ტური საფრანგეთში სამშაბათს და ოთხშაბათს ჩატარდება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 12 | 9 | 3 | 0 | 25:8 | 30 |
| ბორდო | 12 | 9 | 1 | 2 | 27:12 | 28 |
| რენი | 12 | 8 | 2 | 2 | 17:11 | 26 |
| მონაკო | 12 | 6 | 2 | 4 | 18:9 | 20 |
| ოსერი | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 19 |
| ნანტი | 12 | 5 | 3 | 4 | 15:14 | 18 |
| ლიონი | 12 | 4 | 5 | 3 | 16:11 | 17 |
| მონპელიე | 12 | 5 | 2 | 5 | 23:22 | 17 |
| ბასტია | 12 | 5 | 2 | 5 | 14:13 | 17 |
| პსჟ | 12 | 4 | 3 | 5 | 10:10 | 15 |
| ლანსი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:20 | 14 |
| ნანსი | 12 | 3 | 4 | 5 | 12:15 | 13 |
| სტრასბური | 12 | 3 | 4 | 5 | 9:13 | 13 |
| ლე ავრი | 12 | 2 | 5 | 5 | 9:12 | 11 |
| მეცი | 12 | 2 | 5 | 5 | 8:15 | 11 |
| ტულუზი | 12 | 2 | 4 | 6 | 9:21 | 10 |
| ლორიანი | 12 | 1 | 5 | 6 | 10:19 | 8 |
| სოშო | 12 | 2 | 2 | 8 | 10:28 | 8 |


# სარბიელი
# სპორტული ლატარია
# "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. მე-12 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | | | |
| კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| მიუნხენ 1860 — ჰანზა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 11 ნოემბერი | | | |
| ნიურნბერგი — ბოხუმი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დორტმუნდი — დუისურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შტუტგარტი — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აინტრახტი — ფრაიბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰერტა — ლევერკუზენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**ინგლისის ლიგის თასის მერვედფინალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | | | |
| ლივერპული — ტოტენჰემი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლუტონი — ბარნსლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბოლტონი — უიმბლდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 11 ნოემბერი | | | |
| ლესტერი — ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მანჩესტერი — ნოტინგემი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| არსენალი — ჩელსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ევერტონი — სანდერლენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.** გადადებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | | | |
| პორტსმუთი — ნორვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტრანმერი — ბრედფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვულვერჰემპტონი — შეფილდ იუნაიტედი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** მე-13 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | | | |
| ნანტი — ლე ავრი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ნანსი — მარსელი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 11 ნოემბერი | | | |
| სოშო — ბასტია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მონაკო — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლანსი — რენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — მონპელიე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| პსჟ — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ტულუზი — სტრასბური | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ლორიანი — ბორდო | 3,8 | 2,8 | 1,9 |

**იტალიის თასის მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | | | |
| ლეჩე — ფიორენტინა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 11 ნოემბერი | | | |
| ვენეცია — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ბოლონია — სამპდორია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვიჩენცა — უდინეზე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პარმა — ბარი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| დი სანგრო — ინტერი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| მილანი — ლაციო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 12 ნოემბერი | | | |
| რომა — ატალანტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** მე-13 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 ნოემბერი | | | |
| კამბური — ალკმაარი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| მაასტრიხტი — ფეიენოორდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სიტარდი — გრააფსხაპი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტვენტე — ჰერენვენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| უტრეხტი — სპარტა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აიაქსი — როდა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბრედა — ნაიმეგენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 12 ნოემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — ვიტესი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** მე-16 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 ნოემბერი | | | |
| აუსტრია — გრაცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რიდი — ზალცბურგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| შტაირი — ლუსტენაუ | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| შტურმი — რაპიდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტიროლი — ლინცერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**ესპანეთის თასი.** საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 ნოემბერი | | | |
| ესტრემადურა — ლევანტე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| სალამანკა — სევილია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ტენერიფე — რეიესი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| სარაგოსა — სპორტინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვალიადოლიდი — მალაგა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| ალავესი — ლას პალმასი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვილიარეალი — ტალავერა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| რასინგი — ნუმანსია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| დეპორტივო — ხერესი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ოვიედო — ბადახოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ოსასუნა — ლეიდა | 2,1 | 2,8 | 3,3 |

**ჰოკეი - NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | | | |
| ბუფალო — ოტავა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| პიტსბურგი — აილენდერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ტამპა ბეი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სტ. ლუისი — ჩიკაგო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კალგარი — ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ფინიქსი — კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 11 ნოემბერი | | | |
| ტორონტო — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| დეტროიტი — სტ. ლუისი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| დალასი — ფინიქსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ანაჰაიმი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 12 ნოემბერი | | | |
| ოტავა — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| აილენდერსი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ფლორიდა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვაშინგტონი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ჩიკაგო — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ლოს ანჯელესი — ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| სან ხოსე — კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბობენ ოთხს, გულისხმობენ ორს

7, 8 და 9 ნოემბერს იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის მეოთხედფინალური ჯგუფების ყველა შეხვედრა გაიმართა და ოთხი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. ფინალში გასვლისთვის ხვალ ერთმანეთს რუსეთი — ჩინეთი და კუბა — ბრაზილია გაეჯიბრებიან. ფინალური მატჩი კი ზეგისთვისაა დანიშნული. ამ შეჯიბრის დაწყებამდე თუ სპეციალისტები კუბას, რუსეთს და ბრაზილიას მიიჩნევდნენ ოქროს მედლების მთავარ კანდიდატებად, ჩინეთის ოთხ საუკეთესოს შორის მოხვედრა შეიძლება პატარა მოულოდნელობად ჩაითვალოს. აზიელებმა ნახევარფინალში თამაშის უფლება ფაქტობრივად შაბათს გაინაღდეს, როცა იტალია საკმაოდ იოლად დაამარცხეს 3:0, მიუხედავად მათი ლიდერის, სიმონა რინიერის, ბრწყინვალე თამაშისა.

გუშინ კუბელემა ხორვატებს მოუგეს 3:0. მსოფლიოს ჩემპიონთა რიგებში საუკეთესო რეგლა ტორეს ერერა იყო, რომლის ანგარიშზეც 12 ქულაა. აქედან ერერამ შვიდი პირდაპირ მოწოდებიდან მოუტანა თავის ნაკრებს. „ვფიქრობ, მშვენიერ ფორმაშია ვარ, ისევე როგორც მთელი ჩვენი გუნდი. ალბათ, ტურნირის მოგებაც არ გაგვიჭირდება" — განუცხადა კუბელმა ჟურნალისტებს.

ჩემპიონობის მეორე უმთავრესი კანდიდატი რუსეთია. მისი მწვრთნელის, ნიკოლაი კარპოლის აზრით, რუსთა საწყისი ექვსეულის ყველა წევრი ჩინებულ ფორმაშია. ამის დასტურია სლავთა მიერ ნათამაშევი მატჩებიც. მათ ექვს შეხვედრაში მხოლოდ ერთი პარტია დათმეს და ისიც მასპინძელ იაპონელებთან.

აზიის ჩემპიონმა ჩინეთმა გუშინ ბულგარეთს სძლია, მაგრამ რომ არა ორი დღის წინ მათ მიერ დამარცხებული იტალიის მოგება კორეასთან, ნახევარფინალში მაინც ვერ გავიდოდა.

შესანიშნავი ოთხეულის ბოლო წევრია ბრაზილია. ფეხბურთის ქვეყნის მანდილოსნები ფრენბურთშიც ძალიან ძლიერები ყოფილან. მათ მიყოლებით დაამარცხეს ჰოლანდიელი, იაპონელი და პერუელი ქალები. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიელთა მოგება მხოლოდ რუსებმა შეძლეს პირველ ეტაპზე. ასე რომ კუბას ხვალ მეტად რთული მეტოქე ელის. თუმცა, რა თქმა უნდა, საქმე გაცილებით ძნელად ბრაზილიას აქვს.

სპეციალისტები ფინალში გასვლას რუსეთს და კუბას უწინასწარმეტყველებენ. გამართლდება თუ არა მათი პროგნოზი, ხუთშაბათის „სარბიელში" შეიტყობთ.

გაიოზ თალაკვაძე

### სატურნირო ვითარება

I მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 10 |
| ბრაზილია | 5 | 4 | 1 | 9 |
| იაპონია | 5 | 3 | 2 | 8 |
| ჰოლანდია | 5 | 2 | 3 | 7 |
| პერუ | 5 | 1 | 4 | 6 |
| დომინიკელთა რესპ. | 5 | 0 | 5 | 5 |

II მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კუბა | 5 | 5 | 0 | 10 |
| ჩინეთი | 5 | 3 | 2 | 8 |
| იტალია | 5 | 2 | 3 | 7 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | 7 |
| კორეა | 5 | 2 | 3 | 7 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 4 | 6 |

*გუნდებს პირველი ეტაპიდან ორი მატჩის შედეგი გადმოჰყვათ (მეოთხედფინალში გასულ მეტოქეებთან)*

### მეოთხედფინალური მატჩები

7 ნოემბერი

პერუ — დომინიკელთა რესპუბლიკა 3:2 (9:15, 15:12, 15:13, 8:15, 15:11)
ბრაზილია — ჰოლანდია 3:0 (15:5, 15:7, 15:3)
რუსეთი — იაპონია 3:1 (15:17, 15:7, 15:5, 15:8)
კუბა — კორეა 3:0 (15:8, 15:2, 15:5)
ჩინეთი — იტალია 3:0 (15:3, 15:8, 15:5)
ხორვატია — ბულგარეთი 3:1 (15:9, 16:14, 11:15, 17:15)

8 ნოემბერი

ჰოლანდია — დომინიკელთა რესპუბლიკა 3:0 (15:8, 15:4, 15:7)
რუსეთი — პერუ 3:0 (15:2, 15:9, 15:6)
ბრაზილია — იაპონია) 3:0 (15:10, 15:4, 15:7)
კუბა — ჩინეთი 3:0 (15:6, 15:8, 15:11)
ხორვატია — იტალია 3:2 (10:15, 15:13, 8:15, 15:12, 15:12)
ბულგარეთი — კორეა 3:1 (15:5, 12:15, 15:6, 15:12)

9 ნოემბერი

რუსეთი — ჰოლანდია 3:0 (15:9, 15:5, 15:2)
ბრაზილია — პერუ 3:0 (15:5, 15:5, 15:7)
იაპონია — დომინიკელთა რესპუბლიკა 3:0 (15:1, 15:13, 15:0)
კუბა — ხორვატია 3:0 (15:11, 16:14, 15:6)
ჩინეთი — ბულგარეთი 3:0 (15:12, 15:8, 15:2)
იტალია — კორეა 3:0 (16:14, 16:14, 15:8)



იტალიელი სიმონა რინიერი ქალიც მშვენიერია და მოთამაშეც, მაგრამ ჩინელებთან შეხვედრისას თავისიანებს ვერა უშველა



საქართველოს ჩემპიონატი

# ასე არ ჯობია?!

**„დათვებისა" და „ექსპრესის" შეხვედრისას ბევრი რამ იყო საფრთხილო, მაგრამ მეტოქეებმა ღირსეულად, კაცურად ჩაამთავრეს მატჩი**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ამაგიანი კაცია „ვიტალიჩი", ვინ დათვალოს, რამდენი ქუთაისელი მორაგბის აღმზრდელი რამაზ სვანაძე. აკი „დათვებსაც" და მთლიანად ჩემპიონატსაც მალევე დაატყო სასიკეთო ხელი

**დათვები — ექსპრესი 10:6**

დათვები: 2 ლ — დავლაძე, ჩუბინიძე
ექსპრესი: 2 ს — ასათიანი

ეს გუნდები რომ საპლეიოფო ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, კარგა ხანია, ცნობილია. ბათუმში კი ის უნდა გარკვეულიყო, მასპინძლობის უფლებას ამათგან რომელი მოიპოვებდა. ასე რომ, მატჩს მეტოქეთათვის მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჰოდა, ცოტა უცნაური იყო, რაგბის კავშირმა შეხვედრის მსაჯად თბილისელთა ერთ-ერთი მწვრთნელი რამაზ სანებლიძე რომ დანიშნა, აქაოდა, ადრე შეგულებული არბიტრებიდან საამმატჩოდ ყველა შემოგვეცალაო. რა თქმა უნდა, ყველას შეიძლება გამოუჩნდეს მოულოდნელი დაბრკოლება ანაც ავად გახდეს, მაგრამ ბავშვთა შეხვედრების გადატანა (რამაც თურმე იმ სავარაუდო მსაჯთაგან ერთ-ერთი — პაატა ნარიმანაშვილი მოაცდინა) ხომ მაინც შეიძლებოდა. ასეა თუ ისე, რაგბის კავშირის პოზიცია ჩემთვის აუხსნელი დარჩა, თუმცა იმასაც ვეჭვობ, რომ ბათუმში მსაჯობას ყველამ შეგნებულად აარიდა თავი. მორაგბეთა მმართველი ორგანოს მისამართით ერთიც მინდა ვთქვა: იმ დონეს, წარმატებას და პოპულარობას, რასაც ქართულმა რაგბიმ მიაღწია, ასეთი არაორგანიზებული ჩემპიონატი ნამდვილად არ ეკადრება.

ყოველივე ზემოთქმულის გამო კიდევ უფრო გაუმართლებელ რისკად ჩანდა თავად სანებლიძის თანხმობა მატჩის მსაჯობაზე. მართალია, ის და მისი გუნდიც ამ წინადადებას დიდი კამათის შემდეგ დათანხმდნენ, მაგრამ, ეტყობა, მსაჯად დანიშნულ მწვრთნელს საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და ამიტომაც გარისკა. საბოლოოდ მან ობიექტურად იმსაჯა და სახელიც შეინახა — არც მატჩის კომისარს და არც მასპინძელთა მწვრთნელს მსაჯის მიმართ სერიოზული პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. ეგ იყო, თანაკლუბელი კოლეგა თემურ ბენდიაშვილი შემოსწყრა ცოტათი. არა, სერიოზული არაფერი ყოფილა. უბრალოდ, „ბენდომ" მისთვის ჩვეულად იხუმრა, რამაზს დღეს ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ უმსაჯიაო. ღვთის მადლით, შეხვედრა ასე, შეხუმრებით დასრულდა, არადა, თავიდან ჰაერში აშკარად ტრიალებდა დენთის სუნი. სიტუაციის განმუხტვას ნამდვილად შეუწყო ხელი თავად ბატონ რამაზისა და მატჩის კომისარ გოგი სუთიაშვილის პირდაპირმა და კაცურმა პოზიციამ, მწვრთნელებისა და განსაკუთრებით „დათვების" პრეზიდენტ ილია წულუკიძის გონივრულმა ქცევამ. ბატონმა ილიამ სათითაოდაც დამოძღვრა თავისი გუნდის წევრები და თამაშისასაც არაერთხელ შეუძახა ზოგადად თუ პერსონალურად პოტენციურ ჩხუბისთავებს. საბოლოოდ მატჩმა უექსცესებოდ ჩაიარა. გადარჩა რამაზ სანებლიძეც, რადგან „დათვებმა" მოიგეს, ასე რომ არა, მას ალბათ შავი ზღვაც ვერ გაათეთრებდა. იმედია, რაგბის კავშირი ამიერიდან მაინც აღარ ჩააყენებს მწვრთნელებს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში.

მატჩის წინა ღამეს გაავდრებამ თამაშს თავისი კვალი დაატყო, თუმცა შეხვედრა მაინც დაძაბული და ლამაზი გამოდგა, განსაკუთრებით მეორე ტაიმი. მცირე შედეგიანობა სველ მინდორთან ერთად დამრტყმელთა უზუსტობისა და დაძაბულობის ბრალიც იყო. მთელ თამაშში ორად ორი ლელო გავიდა, ორივე მასპინძლებმა გაიტანეს — თითო ტაიმში თითო. ორივე ლელო ისეთი იყო, ნამდვილად ღირს აღწერად. პირველად ლევან შარვაშიძემ ივაჭკაცა: ჩინებული სოლორეიდით (რაც ისედაც ეხერხება მას) აუარა გვერდი ლამის ნახევარ „ექსპრესს" და ხელით ზუსტად გადააწოდა დავლაძეს, რომელმაც მიითვალა კიდეც ლელო.

ეს პირველი ლელო ხომ ღირდა ნახვად, მაგრამ მეორე უფრო ლამაზი, უფრო გონივრული კომბინაციის და რაც მთავარია, ძველებური, სამწუხაროდ, მივიწყებული სარაგბო ილეთის ნაყოფი იყო. ქართული რაგბის მიერ მოგვიანებით ასე პატივდებული ეს ილეთი სახელოვანმა ირაკლი კიზირიამ დანერგა და მისმა კიდევ ერთხელ ხილვამ ძველი თაობის მორაგბენი განსაკუთრებით ასიამოვნა. ყველაფერი კი ასე მოხდა — სალელოე მოედანს მიტანებულმა ბათუმელებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს მარჯვენა ფრთაზე. თბილისელები შერკინების ხაზის გუნდურ შემოტევას ელოდნენ და ყურადღებაც აქეთ გადმოიტანეს, შეტევის ნაცვლად კი მასპინძლებმა ფეხით სწრაფად გადააწოდეს კიჭა ჩუბინიძეს, რომელმაც იოლად შეაღწია თბილისელთა სალელოე მოედანში. აქ კიდევ ერთი თვალსასეირო ეპიზოდი გათამაშდა — კიჭის უნდოდა, ბურთი კარის ძელებთან დაემიწებინა, მაგრამ სიახლოვეს მყოფი მეტოქისგან შებოჭვის შიშით დაახანა, მეტოქის შემოტევას დაელოდა, რაც მის შანსებს გაზრდიდა. ანკესზე არც თბილისელი წამოეგო და იდგნენ ასე, შეჰყურებდნენ ერთმანეთს, სანამ თანაგუნდელს წაშველებულმა თბილისელებმა არ აიძულეს ჩუბინიძე, ბურთი რეალიზაციისთვის მეტად არახელსაყრელ ადგილას დაედო.

„დათვების" ამ გამარჯვებამ ბოლო ტურის შეხვედრები ფორმალობად აქცია, რადგან სატურნირო ცხრილში უკვე ყველაფერი ნათელია.

ირაკლი თავაძე

# არმია მაინც არმიაა

**დინამო — ასკ 13:27**

დინამო: 1ლ — ცხადაია; 1გ და 2ს — აბდუშელიშვილი
ასკ: 3ლ — იაშვილი (2), ზაქარიაძე; 3გ და 2ს — აბუსერიძე

ამ გუნდების შეხვედრას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან პრაქტიკულად შედეგს სატურნირო ცხრილში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეეძლო — არმიელები მყარად დამკვიდრდნენ მეოთხე ადგილზე და ახლა ნახევარფინალში „ყოჩებთან" შესარკინებლად ემზადებიან, „დინამო" კი ბოლო, მეექვსე ადგილზეა და აღზევების არავითარი შანსი არ გააჩნია.

არმიელები წამყვან მოთამაშეთა ნაკრებში გამოძახების გამო შესუსტებული შემადგენლობით გავიდნენ სათამაშოდ, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია მორიგი ორი ქულა ჩაეწერათ აქტივში.

სტუმართ უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და უკვე მე-15 წუთზე იაშვილმა დააწინაურა კიდეც თანაგუნდელები. არმიელები უმეტესად ხელით ათამაშებდნენ ბურთს და ლელოს გატანის მრავალი შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ. ასკ-ს ასეთი ტაქტიკის გამო მატჩი სანახაობრივად საკმაოდ კარგი გამოვიდა, თუმცა მასპინძლებსაც რომ აებათ მხარი სტუმართათვის... ისე კი ჩანდა, თითქოს მხოლოდ ერთი გუნდი იმყოფებოდა მინდორზე. პირველი ლელოდან ათიოდ წუთში იაშვილმა მეორედაც გაუტანა მეტოქეს. აბუსერიძემაც ზუსტად გარდასახა, ისევე როგორც პირველად. ორი გაშვებული ლელოს შემდეგ მასპინძლები შედარებით გამოცოცხლდნენ და სახიფათო მომენტებიც შექმნეს, რომელთაგან მხოლოდ ერთი გამოიყენეს — აბდუშელიშვილმა ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი შეამცირა სხვაობა ანგარიშში.

მეორე ტაიმში უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით სტუმრების უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. მასპინძლები მხოლოდ აუტებში ყოჩაღობდნენ და ერთი-ორჯერ ეს უპირატესობა გამოიყენეს კიდეც. ჯერ იყო და აბდუშელიშვილმა სამი ქულა მოუტანა გუნდს. მერე კი ცხადაიამ ლელოც გაიტანა, იმავე აბდუშელიშვილმა კი ზუსტად გარდასახა.

ეს ყველაფერი შუაგულ ტაიმში მოხდა, მანამდე კი ზაქარიაძემ თავისი პირველი, სულ კი მატჩში მესამე ლელო გაუტანა მასპინძლებს. სტუმრებმა ამის შემდეგაც მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს, აქედან ორი — მეტად რეალური, მაგრამ პირველად იაშვილმა ვერ ივარგა, მეორედ კი პავლიაშვილმა. თავის მხრივ, მასპინძლებმაც ორჯერ გაარღვიეს სტუმართა დაცვის ხაზი, მაგრამ ვერც ერთი შეტევის შედეგიანად დასრულება ვერ შეძლეს.

მატჩის ბოლოს კი აბუსერიძემ ორი ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი წერტილი დაუსვა შეხვედრას.

პირველობის მეორე ეტაპის გასრულებამდე ერთი ტურიღაა დარჩენილი, რომელსაც, ფაქტობრივად, არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ოთხივე ნახევარფინალისტი და ნახევარფინალების მასპინძელთა ვინაობა უკვე ცნობილია. ასე რომ, პლეი ოფში მონაწილეთ მომავალი თამაშებისთვის მომზადება მართებთ და ბოლო ტურსაც, ალბათ, ამ მიზნისთვის გამოიყენებენ.

ბაატა თოთაძე

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 23 | 21 | 2 | 0 | 907:224 | 128:22 | 44 |
| დათვები | 23 | 15 | 2 | 6 | 558:211 | 77:21 | 32 |
| ექსპრესი | 23 | 15 | 0 | 8 | 639:277 | 95:33 | 30 |
| ასკ | 23 | 13 | 0 | 10 | 455:391 | 65:54 | 26 |
| გუმარი | 23 | 10 | 0 | 13 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 23 | 3 | 0 | 20 | 129:896 | 9:138 | 5 |

*„გუმარს" და „დინამოს" დაკლებული აქვთ თითო ქულა*

მომდევნო ტური 13.11

დათვები — ასკ
გუმარი — დინამო
ექსპრესი — ყოჩები



# ვერცხლი და ბრინჯაო ესპანეთიდან

შაბათს ესპანეთიდან დაბრუნდნენ ქართველი მოჭადრაკე ბავშვები და იუნიორები, რომლებიც ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ. ჩვენებურმა ბიჭუნებმა და გოგონებმა ყველა ასაკობრივ ჯგუფში ითამაშეს და თუმც რამდენიმე თვის წინ ავსტრიაში, ევროპულ ჩემპიონატებზე მოპოვებულ შედეგებს ველარ შესწვდნენ, მთლად ხელცარიელები მაინც არ ჩამოსულან. 14 წლამდე გოგონებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა თელაველი ლელა ჯავახიშვილი, მისმა თანაქალაქელმა ბელა ხოტენაშვილმა კი 10-წლიანებში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. სამწუხაროდ, ბოლო ტურში ნაწვნევმა მარცხმა საბოლოოდ მხოლოდ მეშვიდე ადგილი არგუნა დავით ჯოჯუას (10 წლამდე ბიჭუნებში). საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ დანარჩენი ქართველებიც, არადა, რამდენიმე მათგანი, მაგალითად, რუსუდან გოლეთიანი, ანა მათნაძე, ნანა ძაგნიძე და სხვები პირველი ტურების შემდეგ მოწინავეთა შორის იყვნენ და მხოლოდ ფინიშზე უმტყუნათ ბედმა.

დავით გულუა

# გრაფი ვეღარ ითვლის



REUTERS პარიზიდან

გრეგ რუზეცკის პ(ა)რიზი კინაღამ შემოეჭამა

პარიზის ღია პირველობა. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2,55 მილიონი $

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (1) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:3, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი) — მარსელო რიოსი (2, ჩილე) 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — ანდრე აგასი (5, აშშ) 4:6, 6:4, 6:4; გრეგ რუზეცკი (13, ინგლისი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 6:2.**

მეოთხედფინალების დღე ჩოგბურთის მოყვარულთათვის უსიამოვნო ცნობით დაიწყო — ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე ხელი აიღო. „ეს ესაა პარიზში ექიმი ვნახე, რომელმაც მირჩია, რამდენიმე კვირას თამაშზე თავი შევიკავო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუხლი სიცოცხლის თუ არა, კარიერის ბოლომდე მაინც გაგაწამებსო — აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონს იგივე ტრავმა როლან გაროსიდან მოყოლებული აწუხებდა, ხან მეტად, ხან ნაკლებად, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ტკივილი გაუსაძლისი გახდა და იანვრის დასაწყისამდე შინ, ბერმუდაზე ქვიშაში კოტრიალი გამოუწერეს — რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, რომ ჰანოვერში ვერ წავალ. ეს სეზონის პირველ ჩოგნად დასრულების საუკეთესო შესაძლებლობა იქნებოდა."

რაფტერის გადაწყვეტილებამ ბევრ რამეზე მოახდინა ზეგავლენა: ჯერ ერთი, კლასიფიკაციის პირველი ადგილისთვის მებრძოლთა ტრიო (სამპრასი — რიოსი — რაფტერი) დუეტად იქცა, მეორეც, ამით სლოვაკმა კაროლ კუჩერამ ჰანოვერშიასპარეზობა გაინაღდა, მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილ ორ საგზურს კი სამი რეალური კანდიდატი გაუჩნდა — ტიმ ჰენმანი, გრეგ რუზეცკი და ევგენი კაფელნიკოვი.

პიტ სამპრასმა ჟერომ გოლმართან მერვედფინალურ შეხვედრაში ზურგის ტრავმა მიიღო, კორტზე გაწოლილს ექიმმა სამჯერ უწამლა და 25 წლის ფრანგის საჯობნად სამი ხელი დასჭირდა, ამიტომ ბევრს ეგონა, ამერიკელი საერთოდ ვერ ითამაშებსო, მაგრამ „პისტოლ პიტის" ნაადრევად ჩამოწერა სარისკო საქმე გამოდგა — ამერიკელმა „სკად" ფილიპუსისი ზედმეტი ოფლისღვრისა და მკვეთრი მოძრაობების გარეშეც იოლად სძლია.

სამაგიეროდ, მარსელო რიოსს ნაადრევად მოუხდა აბარგება ძნელი სათქმელია, მოურჩენელი ტრავმების ბრალი იყო, ევგენი კაფელნიკოვის კარგი თამაშის, თუ ჩილელის მოუწადინებლობის, მაგრამ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა რუსს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და „ბერსის" დარბაზი მაყურებლების სტვენაში დატოვა: „მე მგონი, ცუდად არ მითამაშია, მაგრამ კაფელნიკოვმა, უბრალოდ, დამჯაბნა. მაყურებლებს მოსწონთ, როდესაც ფავორიტები აგებენ, ამიტომ მათი რეაქცია სულაც არ გამკვირვებია."

**ნახევარფინალი: სამპრასი — მარტინი 6:4, 7:6 (7:5); რუზეცკი — კაფელნიკოვი 6:3, 4:6, 6:3.**

სამპრასს ტოდ მარტინის დამარცხება ზურგის სპაზმებით კი არა, ალბათ, თვალებახვეულსა და ცალ ფეხზე მდგარსაც არ გაუჭირდებოდა — მსოფლიოს პირველ ჩოგანს თანამემამულესთვის ზედიზედ თორმეტჯერ (აქედან ოთხჯერ წლეულს) მოეგო და ამ სერიას რაღა ნახევარფინალში შეწყვეტდა, მით უმეტეს, ტრავმაც თითქმის მოშუშებული ჰქონდა: „საოცარია, ჩემს ზურგს რა ემართება ამ ბოლო ხანებში. ორი დღის წინ მოძრაობა არ შემეძლო, დღეს კი აღარაფერი მაწუხებდა."

სამაგიეროდ, მეორე ნახევარფინალი საჭიროზე მეტად ემოციური და დაძაბულიც კი გამოდგა. მატჩის ბედი მესამე სეტის დასაწყისში გადაწყდა: კაფელნიკოვს ნერვებმა უმტყუნა, ჩოგანი კორტზე დაანარცხა და გატეხა, რისთვისაც მეორე შენიშვნა მიიღო და ავტომატურად ქულა მეტოქეს მიენიჭა. რაკილა ანგარიში 15:40 იყო რუსის მოწოდებაზე, რუზეცკიმ ერთბაშად ბრეიკიც გახერხა, ერთადერთი გადამწყვეტ პარტიაში.

ისეც დაძაბულმა სიტუაციამ აპოგეას ათიოდ წუთში მიაღწია — მსაჯმა ინგლისელის სასარგებლოდ საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც კაფელნიკოვის და ტრიბუნების საერთო აღშფოთება გამოიწვია: მაყურებლები კარგა ხნის მანძილზე ვერც მსაჯის თხოვნამ დააწყნარა, ვერც მოთამაშეებისამ და ჩოგბურთისთვის უჩვეულოდ, გეიმი გამარყუებელ ღრიანცელში ჩასრულდა, რომელიც გათამაშებების დროსაც კი არ წყდებოდა. საბოლოოდ დამარცხებული რუსი ოვაციებით გააცილეს კორტიდან, მსაჯი და გამარჯვებული კი სტვენით.

„თავიდანვე რომ აულელვებლად მეთამაშა, მატჩი სულ სხვანაირად დასრულდებოდა" — განაცხადა პრესკონფერენციაზე კაფელნიკოვმა და მეტოქეს ერთხელაც უკბინა — გამორიცხულია, მაგან სამპრასს რაიმე დააკლოსო.

**ფინალი: რუზეცკი — სამპრასი 6:4, 7:6 (7:4), 6:3.**

კაფელნიკოვის ბოლმით თუ ვაი-პროგნოზისტობით ნათქვამი ფინალში არ გამართლდა: მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონმა ინგლისელმა სამპრასი მარტო ეისების რაოდენობაში (18:14-თან) კი არა, თამაშის ყველა კომპონენტში დაჩაგრა — ბადესთანაც ხეირიანად გაისარჯა, უკანა ხაზიდან შემოვლებულებიც უკეთ ურტყა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, გადამწყვეტი მომენტებისთვის მეტი სიმშვიდეც შემორჩა.

ისევე როგორც შტუტგარტში, კრაიჩეკთან წაგებულ ნახევარფინალში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა საფლავი აქაც თავად გაითხარა — პირველი სეტის ერთადერთი ბრეიკი რუზეცკის ორმაგი შეცდომით გადაულოცა, მეორე ხელში 5:2-ით დაწინაურებულმაც მეტოქეს მორიგი ორმაგი შეაშველა და ანგარიში გაათანაბრებინა: „ზურგი სულაც არ მტკიოდა, უბრალოდ, მან ჩემზე უკეთ ითამაშა და შანსი არ დამიტოვა."

„ეს მატჩი საოცრება იყო. აქამდე არც პიტისთვის მომეგო და არც მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის. მგონი, გაისად კლასიფიკაციის პირველი ადგილისთვის თავადაც ვიბრძოლებ" — ოპტიმიზმით აივსო რუზეცკი. მან ხომ 393 ათას დოლართან ერთად კარიერის პირველი მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტიტული მოიპოვა და ამრიკელზე ექვსი მარცხისთვის იძია შური.

ლაიფციგი. გერმანია. სპარკასენის თასი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 450 ათასი $

**ნახევარფინალი: შტეფი გრაფი (გერმანია) — დომინიკ ვან რუსტი (3, ბულგია) 6:1, 3:6, 6:0; ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — ირინა სპირლეა (4, რუმინეთი) 2:6, 6:3, 6:2.**

შაბათს შტეფი გრაფი ისევ პირველი გახდა, ოღონდ კლასიფიკაციაში კი არა, ქალ სპორტსმენთა შორის კარიერის მანძილზე მოპოვებული საპრიზოებით. ლეგენდარულმა გერმანელმა ნახევარფინალში გასვლით თავისი შემოსავალი 20 366 842 დოლარამდე გაზარდა და ძველ რეკორდსმენს, ასევე ჩოგბურთელ მარტინა ნავრატილოვას გაუსწრო, რომლის ანგარიშზე 20 344 078 დოლარი იყო: „ასეთი რეკორდებით ხვდები, რას მიაღწიე, მაგრამ ეს ბევრს სულაც არ ნიშნავს ჩემთვის" — განაცხადა გრაფმა, რომლისთვისაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა მუხლის ოპერაციის შემდეგ ძალების სწრაფად აღდგენას აქვს — შესანიშნავად ვგრძნობ თავს, შევნიშნავად ვიბრძვი. იმაზე მეტ პროგრესს მივაღწიე ვიდრე თავად ველოდი."

**ფინალი: გრაფი — ტოზია 6:3, 6:4.**

იმ ფაქტს, რომ ბოლო 13 წლის მანძილზე პირველად შტეფი გრაფი ტურნირზე განთესილი არ იყო, ბევრი არაფერი შეუცვლია — დიდმა გერმანელმა ფინალში ზედიზედ მეოცედ, თანაც ამ ხნის განმავლობაში სეტის დაუკარგავად (!) მოუგო უიმბლდონის ფინალისტ ნატალი ტოზიას, თავისივე დაარსებულ სპარკასენის თასზე გამარჯვებათა სერია გააგრძელა (25 მოგება — არც ერთი მარცხი), კარიერის 105-ე ტიტული მოიპოვა და ნიუ-იორკში მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა ნუსხაში 22-იდან მე-17 ადგილზე გადაინაცვლა (სულ 16 მონაწილეა).

„მსოფლიოს ჩემპიონატის დროისთვის სამოგზაურო წასვლა მქონდა დაგეგმილი, მაგრამ არა უშავს. გაოცებული ვარ, რომ ფორმაში ასე სწრაფად ჩავდექი, თანაც მატჩიდან მატჩამდე ვუმატებდი. მეგონა, ფილადელფიაში გადაფრენა (სადაც მორიგ ტურნირზე უნდა იასპარეზოს) გაცილებით ადრე მომიხდებოდა, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთები უკვე მეოთხედ შევცვალე" — განაცხადა შტეფიმ პრესკონფერენციაზე.

**ავთანდილ სვანიძე**


საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს ბიძინა ბარათაშვილს დედის

მედეა ძიძიგურის

გარდაცვალების გამო.




# მეკარემ იზეიმა

6 ნოემბერი

**ვაშინგტონი — კაროლინა 2:3**

1:2 1:0 0:1

1:0 საიმონი 3'24 (1); 1:1 მანდერვილი 6'56 (2); 1:2 ონეილი 18'41 (3); 2:2 ბელოუზი 31'17 (2); 2:3 კაპანენი 51'28 (5)

**ტამპა — ჩიკაგო 2:2**

1:0 1:1 0:1 0:0

1:0 ლეკავალიე 11'31 (3); 2:0 სამუელსონი 23'31 (1); 2:1 ამონტე 36'44 (8); 2:2 ჩელიოსი 43'55 (2)

**კალგარი — ნეშვილი 1:2**

0:1 1:1 0:0

0:1 ვოპატი 1'49 (2); 1:1 იგინლა 28'33 (5); 1:2 ჩელბერგი 35'25 (2)

**ფინიქსი — დეტროიტი 3:1**

2:0 0:1 1:0

1:0 კამინსი 6'33 (1); 2:0 ტკაჩუკი 16'48 (6); 2:1 ლიდსტრიომი 26'36 (2); 3:1 კორკამი 59'23 (1)

ჩემპიონი დეტროიტი ზედიზედ ოთხჯერ 1993 წლის ოქტომბრის მერე არ დამარცხებულა.

**ედმონტონი — კოლორადო 2:5**

1:2 1:1 0:2

1:0 მირონოვი 5'34 (4); 1:1 კამენსკი 5'49 (2); 1:2 ფორსბერგი 19'37 (2); 2:2 კოვალენკო 26'00 (4); 2:3 ლემიე 34'59 (5); 2:4 კამენსკი 45'33 (3); 2:5 კამენსკი 57'46 (4)

კრიზისში მყოფმა კოლორადომ ედმონტონზე მაინც იძია შური — იგი შარშანდელ პლეი ოფში სწორედ „მენავთობეებმა" გამოწარეს.

**ანაჰაიმი — სან ხოსე 2:2**

1:0 1:1 0:1 0:0

1:0 სანდსტრიომი 10'15 (4); 2:0 სალეი 28'50 (1); 2:1 ფრიზენი 39'08 (3); 2:2 ლოური 50'27 (2)

სან ხოსეს მეკარემ სტივ შილდსმა 45 დარტყმა მოიგერია.

7 ნოემბერი

**ფლორიდა — ნიუ ჯერსი 3:4**

2:2 1:1 0:1

0:1 მაკეი 6'09 (2); 1:1 რ. ნიდერმაიერი 9'53 (4); 1:2 ანდრეიჩუკი 11'02 (5); 2:2 მელანბი 15'23 (1); 2:3 დანეიკო 22'42 (1); 3:3 მიულერი 28'52 (1); 3:4 პანდოლფო 51'49 (3).

**პიტსბურგი — ბოსტონი 0:0**

ბოსტონელმა ბაირონ დაფომ სეზონში მესამე შათაუტი მიითვალა.

**ფილადელფია — ბუფალო 2:2**

1:0 1:2 0:0 0:0

1:0 ბრინდამორი 10'47 (6); 1:1 სანდერსონი 23'33 (6); 1:2 ჰოლცინგერი 34'11 (4); 2:2 ლეკლერი 39'05 (8)

**მონრეალი — აილენდერსი 4:2**

1:1 2:0 1:1

1:0 რეკი 3'58 (4); 1:1 ლაპოინტი 9'24 (5); 2:1 რეკი 29'02 (5); 3:1 კორსონი 38'34 (2); 3:2 ბერარი 47'23 (2); 4:2 ბრისბუა 59'49 (1)

მარკ რეკი (2+2) შეუდარებელი იყო.

**ოტავა — ვაშინგტონი 5:8**

1:2 4:3 0:3

0:1 ჟიუნო 3'14 (5); 0:2 ბლექი 5'29 (1); 1:2 მაკიჩერნი 13'17 (5); 1:3 ბონდრა 20'49 (3); 2:3 ა. იუჰანსონი 23'26 (6); 3:3 ოლივერი 29,32 (1); 4:3 ოლივერი 30'59 (2); 5:3 იაშინი 31'49 (2); 5:4 ბონდრა 33'48 (4); 5:5 მირონოვი 34'54 (2); 5:6 ჟიუნო 46'45 (6); 5:7 იგლსი 50'17 (1); 5:8 ბონდრა 57'14 (5)

ამ უხვგოლიანი მატჩის მთავარი გმირი მეკარე იყო. მას შემდეგ, რაც ვაშინგტონელმა ოლაფ კოლციგმა ორ წუთში 3 შაიბა გაუშვა, მის ნაცვლად მოედანზე ლიგის 30 წლის დებიუტანტი, იტალიელი მაიკ როსატი გამოვიდა და თავისი საიმედო თამაშით ერთობ გაამხნევა და გამოაცოცხლა ბოლო ხანებში ყურებჩამოყრილი თანაგუნდელები, განსაკუთრებით კი პეტერ ბონდრა, რომელმაც შვიდმატჩიანი „მარხვის" მერე ჰეთ-ტრიკი შეასრულა.

**ლოს ანჯელესი — დალასი 3:4**

2:1 0:3 1:0

0:1 პრკაჩი 0'08 (1); 1:1 ციპლაკოვი 15'11 (2); 2:1 რობიტაიდი 18'26 (6); 2:2 ჰალი 23'55 (4); 2:3 ჰეჩერი 28'25 (1); 2:4 მარშალი 29'34 (1), 3:4 მიურეი 41'33 (4)



REUTERS ვანკუვერიდან

ნეშვილელმა კლიფ რონინგმა ვანკუვერის მეკარე გარტ სნოუ... გაიტანა

**ტორონტო — რეინჯერსი 6:6**

1:1 3:2 2:3 0:0

1:0 დ. კინგი 2'34 (4); 1:1 ჰარვი 9'35 (4); 2:1 კოროლიოვი 23'44 (3); 2:2 ჰარვი 26'49 (5); 3:2 ჯონსონი 29'45 (5); 4:2 კოროლიოვი 35'12 (4); 4:3 გრეივსი 39'00 (3); 4:4 გალჰოტრა 41'43 (2); 4:5 გრეივსი 46'57 (4); 5:5 ტომასი 47'55 (4); 6:5 იუშკევიჩი 53'28 (1); 6:6 გრეცკი 59'22 (2)

**ვანკუვერი — ნეშვილი 5:3**

1:0 2:1 2:2

1:0 მუკალტთი 14'56 (4); 2:0 ბრაშირი 24'24 (1); 2:1 ვოპატი 26'34 (3); 3:1 ოკუანი 34'33 (5); 4:1 მესიე 43'17 (7); 5:6 ნესლუნდი 46'05 (4); 5:2 ფიცჯერალდი 47'51 (2); 5:3 კრივოკრასოვი 59'37 (7)

**სან ხოსე — სენტ ლუისი 2:2**

0:1 0:0 2:1 0:0

0:1 ტარჯონი 14'42 (4); 0:2 პიკარი 45'27 (3); 1:2 მარლო 47'25 (4); 2:2 შტურმი 54'07 (3)

8 ნოემბერი

**ტამპა — ნიუ ჯერსი 3:1**

1:0 0:1 2:0

1:0 კლარკი 12'59 (9); 1:1 ვ. სიკორა 26'17 (4); 2:1 მ. სიკორა 42'21 (1); 3:1 ტაკერი 59'07 (5)

**კაროლინა — ბოსტონი 2:5**

0:0 1:2 1:3

1:0 ფრენსისი 31'19 (3); 1:1 ვან იმპი 32'23 (2); 1:2 ხრისტიჩი 33'42 (5); 1:3 ხრისტიჩი 48'16 (6); 1:4 ვან იმპი 51'05 (3); 2:4 ემერსონი 54'52 (3); 2:5 ელისონი 55'40 (4)

**კალგარი — კოლორადო 3:1**

2:1 0:0 1:0

1:0 ფლერი 7'12 (9); 1:1 დრური 9'39 (3); 2:1 შანტცი 12'49 (2); 3:1 იგინლა 59'24 (6)

**ჩიკაგო — ედმონტონი 2:3**

1:1 1:0 0:1 0:1

1:0 უენრიჩი 14'47 (1); 1:1 გერინი 18'53 (10); 2:1 ამონტე 31'55 (9); 2:2 ფალუნი 42'06 (4); 2:3 ბერანეკი 60'34 (6)

ედმონტონელმა ბილ გერინმა პირველმა მიაღწია 10-გოლიან ზღვარს.

**ანაჰაიმი — დეტროიტი 1:3**

1:0 0:1 1:2

1:0 სანდსტრიომი 11'55 (5); 1:1 აიზერმანი 23'03 (4); 1:2 შენაჰანი 49'43 (8); 2:2 მაკინისი 52'42 (2); 2:3 შენაჰანი 54'11 (9)


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი

ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29